შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი

შპს „რივერ ინვესტი“ (ს/ნ 405637967)

შპს „რივერ ინვესტი“ (ს/ნ 405637967)

ბრძანება

თბილისი **01.07.2025**

უსაფრთხოების პოლიტიკის დამტკიცების თაობაზე

შპს “რივერ ინვესტი“ - ს შრომის უსაფრთხოებისადმი მიდგომაა, რომ როგორც კომპანიის შიგნით, იერარქიის ყველა დონეზე, ასევე სამშენებლო ობიექტზე დაიცვას უსაფრთხოების მაღალი სტანდარტი და იქონიოს საერთაშორისო მიდგომებთან შესაბამისი უსაფრთხოების პოლიტიკა. აღმოფხვრას ლეტალური შემთხვევების რისკი და მაქსიმალურად შეამციროს სხვა სახის უბედური შემთხვევები. კომპანიის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა ასევე ავალდებულებს ყველა კონტრაქტორ თუ ქვეკონტრაქტორ კომპანიას იქონიონ და დაიცვან შპს “რივერ ინვესტი“ - ს შრომის უსაფრთხოების სტანდარტები.

შპს “რივერ ინვესტი“ - ს პრიორიტეტებია:

- სამშენებლო თუ სხვა სახის საქმიანობის უსაფრთხოდ შესრულება;
- უსაფრთხოების ნულოვანი ინციდენტის რისკის მქონდე სამუშაო გარემოს შექმნა.
- პერსონალის ჯანმრთელობის დაზიანების რისკის აღმოფხვრა;
- გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება;
- თანამშრომლებში უსაფრთხოების მაღალი კულტურის დანერგვა.

ამ დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს პასუხისმგებლობები და ნათლად განუმარტოს სამუშაო პროცესში ჩართულ ყველა პირს და კომპანიას ტექნიკური უსაფრთხოების ის ნორმები, რომელთა დაცვის ვალდებულებაც დაეკისრებათ ავტომატურად სამუშაოებში ჩართვისთანავე.

შპს „რივერ ინვესტი“- ს ხელმძღვანელობას სჯერა რომ, შრომის უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დანერგვა წარმატებული ბიზნესის განუყოფელი ნაწილია. ამისთვის ორგანიზაცია იმპლემენტირებას უკეთებს შრომის უსაფთხოების მართვის სისტემას და მისი გამართულად ფუნქციონირებისთვის გამოყოფს შესაბამის ადამიანურ და მატერიალურ რესურსს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობისა და ქვეყანაში მოქმედი შრომის უსაფრთხოების ნორმებსა და სტანდარტებზე დაყრდნობით, **ვბრძანებთ:**

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი

შპს „რივერ ინვესტი“ (ს/ნ 405637967)

1. დამტკიცდეს შპს “რივერ ინვესტი“ -ს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და თანდართული დოკუმენტაცია;
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომპანიის მენეჯმენტს და შრომის უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელ პირს.

ვამტკიცებ
დირექტორი:

თამარ გამგონეიშვილი ----------

შრომის უსაფრთხოების გეგმა

1. შესავალი

შპს „რივერ ინვესტი"-ს (ს/ნ 405637967) შრომის უსაფრთხოების გეგმა შემუშავებულია სამუშაო სივრცეში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფისათვის, რომელიც ეფუძნება საქართველოს კონონმდებლობას და კომპანიის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკას.

შრომის უსაფრთხოების გეგმა მოიცავს შემდეგ პროცედურებსა და ინფორმაციას:

- კომპანიის შესახებ ინფორმაცია
- კომპანიის მენეჯმენტის ფუნქცია-მოვალეობები და სტრუქტურა
- რისკების შეფასება და მართვა
- პერსონალის სწავლება
- უბედური შემთხვევების მოკვლევა
- პროფესიული დაავადებების პრევენცია და მოკვლევა
- კონტრაქტორები
- ვიზიტორები
- პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა
- სამუშაო ადგილის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები
- სისუფთავე და მოწესრიგებულობა
- საგანგებო სიტუაციები და ევაკუაცია
- სახანძრო უსაფრთხოება
- ელექტროუსაფრთხოება
- სიმაღლეზე მუშაობა
- ამწე სამუშაოები
- მძიმე ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოება
- მონიტორინგი და კონტროლი
- შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების ერთწლიანი გეგმა.

2. კომპანიის შესახებ ინფორმაცია

კომპანიის დასახელება	შპს „რივერ ინვესტი"
საიდენტიფიკაციო ნომერი	ს/ნ 405637967
მშენებლობის მისამართი	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, მდებარე: **ქალაქი თბილისი, ლომაურის ქ. N3-ის მიმდებარედ - საკადასტრო კოდი: 01.17.01.038.023**
დირექტორი	თამარ გამგონეიშვილი
ობიექტის ხელმძღვანელი/პროექტ მენეჯერი	ლევან კალმახელიძე

სამუშაოთა მწარმოებელი/ზედამხედველი	
შრომის უსაფრთხოების მენეჯერი	აკაკი დარჩია

3. მენეჯმენტის ფუნქცია-მოვალეობები და სტრუქტურა

კომპანიის დირექტორები

კომპანიაში შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის დირექტორები:

- უზურუნველყოფს წინამდებარე შრომის უსაფრთხოების გეგმის კომპანიის ყველა თანამშრომლამდე დაყვანას.
- გეგმავს და აკონტროლებს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ძირითად ღონისძიებებს.
- უზრუნველყოფს შრომის კოდექსითა და შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონით დამსაქმებლისთვის წაყენებული მოთხოვნების დაცვას.
- ამტკიცებს ინსტრუქციებსა და სხვა დოკუმენტებს.
- ახორციელებს რისკების საერთო მენეჯმენტს.
- აკონტროლებს კომპანიის თანამშრომელთა მხრიდან დისციპლინის დაცვას.
- უზრუნველყოფს შესაბამისი სამუშაოებისათვის საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით მუშა-მოსამსახურეთა აღჭურვას.
- საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების და სხვა დამცავი საშუალებების შეცვლას.
- უზრუნველყოფს ობიექტს პირველადი დახმარების საშუალებებით.
- კომპანიის ბიუჯეტში ითვალისწინებს სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოებასთან და სანიტარიულ-ჰიგიენურ ღონისძიებებთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს ;
- უზრუნველყოფს პერსონალისთვის სავალდებულო ტრენინგების ჩატარებას.
- სამუშაო პროცესში პერსონალისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში უზრუნველყოფს ზიანის ანაზღაურებას
- უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლის უბედურ შემთხვევაზე დაზღვევას.

შრომის უსაფრთხოების მენეჯერი (სპეციალისტი)

კომპანიაში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფისათვის შრომის უსაფრთხოების მენეჯერი:

- ახორციელებს კომპანიის პერსონალის მიერ უსააფრთხოების მოთხოვნების დაცვის კონტროლს.
- კომპანიის მენეჯმენტისთვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

შრომის უსაფრთხოების გეგმა

შპს "რივერ ინვესტი"

- მონაწილეობს საფრთხეების იდენტიფიცირებასა და რისკების შეფასებაში;
- უზრუნველყოფს სამუშაო სივრცეში ინციდენტების რეგისტრაციას, მოკვლევას და ინციდენტების გამომწვევი მიზეზების დადგენას და შესაბამისი ზომების მიღებისათვის რეკომენდაციებისა და მითითებების შემუშავებას.
- საფრთხის შემცველ სივრცეში შესასვლელზე და საფრთხის შემცველ ადგილებზე (ელ.გამანაწილებელი კარადა და სხვა) ათავსებს გაფრთხილების/შეზღუდვის/აკრძალვის შესაბამის ნიშნებს.
- უზრუნველყოფს საევაკუაციო გეგმის შემუშავებას.
- უზრუნველყოფს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორად გამოყენების კონტროლს.
- უზრუნვველყოფს კომპანიის შრომის უსაფრთხოების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების პერიოდული განახლებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- ახორციელებს კანონმდებლობით სავალდებულო ტრენინგების ორგანიზებასა და დოკუმენტირებას.
- ამზადებს და წარადგენს შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას.
- ზრუნავს საფრთხის შემცველი ფაქტორების აღმოფხვრასა და შემცირებაზე.
- ახორციელებს ობიექტების სისტემატიურ მონიტორინგს.
- აკონტროლებს რისკის შემცველ სამუშაო ადგილებზე მხოლოდ იმ პერსონალის დაშვებას, რომელთაც აქვთ გავლილი სათანადო ტრენინგი/ინსტრუქტაჟი.
- უზრუნველყოფს, რომ ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსამსახურეების ობიექტზე არ იქნას დაშვებული.
- ახორციელებს ინციდენტების მოკვლევის პროცედურებს.

პროექტის ხელმძღვანელი

- პროექტების ვადების დადგენას, გუნდის და რესურსის ფორმირებას;
- პროექტის გუნდის მართვას;
- პროექტების ვადების, ბიუჯეტის და ხარისხის კონტროლს;
- პროექტებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მართვას;
- პროექტის მსვლელობის შუალედური შედეგების განხილვას, სტატუს რეპორტების მომზადებას;
- პროექტის სამუშაოების მუდმივი მონიტორინგს და პროგრესის ანალიზს;
- ფაქტობრივად შესრულებული და დაგეგმილი სამუშაოების შედარებითი ანგარიშის მომზადებას;
- პროექტის მსვლელობის შუალედური შედეგების განხილვას და სხვადასხვა ეტაპზე ანგარიშის მომზადებას;

- პროექტის რისკების, რეპორტინგის და პრობლემების აქტიურად მართვას;
- მასალების მარაგების მართვას;
- პროექტში ჩართულ მესამე მხარეებთან ურთიერთობას;

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი შრომის უსაფრთხოების მენეჯერთან ერთად

- განსაზღვრავს გარემო პირობების თანხვედრას შესასრულებელ სამუშაოსთან;
- მოახდენს პირადი დაცვის აღჭურვილობის დათვალიერებასა და შეფასებას;
- მოახდენს საკუთარი ჯგუფის წევრების ვიზუალურ დათვალიერებას ალკოჰოლური და ნარკოტიკული თრობის გამოვლენის მიზნით;
- მოახდენს სამუშაო მოედნის ვიზუალურ დათვალიერებას და დასურათებას საფრთხეებისა და რისკების გამოვლენის მიზნით;
- შესაბამის ადგილებში სამუშაო ობიექტს შემოხაზავს გამაფრთხილებელი ლენტით;
- განსაზღვრავს ობიექტთან უახლოესი სამედიცინო პუნქტის არსებობას;
- მუშაობის დაწყებამდე სამუშაო ჯგუფს გააცნობს შესასრულებელი სამუშაოს თავისებურებას და სპეციფიკას;
- ახორციელებს მუშა-პერსონალის მიერ უსააფრთხოების მოთხოვნების დაცვის კონტროლს;
- მუშა-პერსონალს აძლევს მითითებებს;
- მონაწილეობს საფრთხეების იდენტიფიცირებასა და რისკების შეფასებაში;
- მონაწილეობს უსაფრთხოების ღონისძიებების დაგეგმვაში;
- უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების მიმართულებით სწავლებებსა და ტრენინგებში თანამშრომელთა ჩართვას;
- აწარმოებს წინასამუშაო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს, რაც გულისხმობს პერსონალისათვის ცნობილი უსაფრთხოების წესებისა და მოვალეობების შეხსენებას, კონკრეტული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით მითითებების მიცემას, წესების დაცვის მნიშვნელობაზე, აღჭურვილობის შემოწმებაზე, მობილიზებასა და ყურადღებაზე აქცენტის გაკეთებას.
- ობიექტზე სამუშაოების დაწყების წინ, შესაბამის მუშა-მოსამსახურეებს უტარებს სპეციალიზირებულ ინსტრუქტაჟებს.
- შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევაზე ახდენს სათანადო რეაგირებას და სანქციების შესახებ შუამდგომლობებს აწვდის კომპანიის დირექტორსა და შრომის უსაფრთხოების მენეჯერს.

4. რისკების შეფასება და მართვა

კომპანია განახორციელებს სამშენებლო ობიექტზე არსებული რისკების საერთო შეფასებას, როგორც მინიმუმ ათ დღეში ერთხელ. ასევე მოხდება კონკრეტული სამუშაოების რისკების შეფასება

შრომის უსაფრთხოების გეგმა

შპს "რივერ ინვესტი"

ყოველდღიურად ან სამუშაოს დაწყების წინ. რისკების საერთო შეფასება ასევე მოხდება მშენებლობაზე არსებული სამუშაო გარემოს, ტექნოლოგიის ცვლილების, უსაფრთხოების ახალი მოთხოვნებისა დანერგვის შემთხვევაშიც.

რისკების შეფასებისას მოხდება, როგორც კონტროლის მიმდინარე ღონისძიებების გაწერა, ასევე შემდგომში განსახორციელებელი/გასაუმჯობესებელი ღონისძიებების განსაზღვრა, ნარჩენი რისკები განსაზღვრა.

სამუშაოთა უმეტესობის შემთხვევაში ხდება ზოგადი რისკების თვისობრივი შეფასება. რისკების შეფასებას ხელმძღვანელობს შრომის უსაფრთხოების მენეჯერი მოცემულ საქმიანობაზე პასუხისმგებელი სათანადო ხელმძღვანელი პირის და საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სპეციალისტის დახმარებით.

რისკის შეფასების პროცესი განსაზვრავს:

- რა არის საფრთხე?
- ქმნის თუ არა საფრთხე რისკს?
- რამდენად მნიშვნელოვანია ეს რისკი?
- დასაშვებია თუ არა რისკი?
- თუ დაუშვებელია რისკის დონე, კონტროლის რა ზომების მიღება შეიძლება მის დასაშვებ დონემდე შესამცირებლად.

ყოველი კონკრეტული საშიშპირობებიანი სამუშაოს დაწყების წინ პერსონალი (შესაბამისი ჯგუფი) განახორციელებს საფრთხეებისა იდენტიფიკაციას.

მომეტებული საფრთხის აღმოჩენის ან რისკის მაღალი დონის შემთხვევაში სამუშაო პროცესი არ დაიწყება შესაბამის კონტროლის პროცედურების განხორციელებამდე - საფრთხის აღმოფხვრამდე ან რისკის მინიმალურ დონეზე დაყვანამდე.

5. პერსონალის სწავლება

კომპანიის მენეჯმენტი სამუშაოზე დაუშვებს მხოლოდ მომზადებულ, კომპეტენტურ პერსონალს, რომელთა მომზადება განხორციელდება, როგორც საერთო-ზოგადი უსაფრთხოების წესებში, ასევე კონკრეტული სამუშაო პროცედურების უსაფრთხოების საკითხებში.

სამუშაო სივრცეში, ტექნოლოგიაში, შესასრულებელი სამუშაოს ტიპის ან ფორმის ცვლილების შემთხვევაში მოხდება პერსონალის შესაბამისი გადამზადება.

შრომის უსაფრთხოების გეგმა

შპს "რივერ ინვესტი"

ყოველი კონკრეტული სამუშაოს დაწყების წინ პერსონალს ჩაუტარდება წინასამუშაო ინსტრუქტაჟი, რომელიც დოკუმენტირდება - ხელს აწერს ინსტრუქტაჟის მონაწილე ყველა პირი.

ტრენინგების და ინსტრუქტაჟები ჩამონათვალი:

- დასაქმებულთა პირველადი-საერთო ინსტრუქტაჟი - წელიწადში ერთხელ
- ზოგადი ინსტრუქტაჟი - ყოველდღიურად
- სახანძრო უსაფრთხოება - 3 თვეში ერთხელ
- ამწე მექანიზმებთან მომუშავეებთან (ოპერატორი,მეჯალამბარე) - თვეში ერთხელ
- სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოება - ყოველდღიურად, სამუშაოების დაწყებამდე
- ელექტრო უსაფრთხოება - კვირაში ერთხელ
- სამაშველო - საგანგებო გეგმა - კვირაში ერთხელ
- პირადი დამცავი აღჭურვილობა - თვეში ერთხელ

6. უბედური შემთხვევის მოკვლევა

კომპანიაში უბედური შემთხვევის მოკვლევის მიზანია ინციდენტის გამომწვევი მიზეზების დადგენა, უბედური შემთხვევების პრევენცია. მოკველევის მიზანი არ არის დამნაშავე პირის გამოვლენა და დასჯა.

უბედური შემთხვევის მოკვლევის მიზნით, კომპანია ქმნის უბედური შემთხვევის მოკვლევის კომისიას ინციდენტიდან 24 საათში. კომისიის შემადგენლობაში შედიან: შრომის უსაფრთხოების მენეჯერი, კომპანიის დირექტორები ან კომპანიის მენეჯმენტის სხვა წარმომადგენლები, დასაქმებულთა წარმომადგენელი შრომის უსაფრთხოების საკითხებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირი.

შრომის უსაფრთხოების მენეჯერი და მოკვლევის კომისია ინციდენტის შემთხვევაში განახორციელებს შემდეგ პროცედურებს:

შრომის უსაფრთხოების მენეჯერი:

- დაზარალებული პირისთვის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა და შემდგომი საფრთხის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი ზომების მიღება;
- ინციდენტის გამომწვევი სავარაუდო მიზეზის განსაზღვრა და მიზეზის/წყაროს იზოლაციისთვის ან ლიკვიდაციისთვის უსაფრთხოების ზომების მიღება;
- მძიმე, ფატალური და მასობრივი უბედური შემთხვევებისას, კომპეტენტური საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენელთა მოსვლამდე, უბედური შემთხვევის ადგილის

შემოფარგვლა და უცვლელად შეინარჩუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აუცილებელია ზომების მიღება პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად.

- საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევის ადგილის დათვალიერება და ფოტოგადაღება;
- თვითმხილველთა იდენტიფიცირება.

უბედური შემთხვევის მოკვლევის კომისია:

- თვითმხილველთა გამოკითხვა;
- კომპანიის თანამშრომელთა და ექსპერტების ინფორმაციის შესწავლა;
- ფოტომასალის, სქემების, გეგმების და სხვა მტკიცებულებების შესწავლა;
- საწარმოო გარემოს პირობების ანალიზი;
- უბედური შემთხვევის გამომწვევი ფაქტორების დადგენა;
- გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
- უბედური შემთხვევის მოკვლევის ოქმის გაფორმება.

7. პროფესიული დაავადებების პრევენცია და მოკვლევა

კომპანიის მენეჯმენტი პროფესიული დაავადებების პრევენციის მიზნით:

- უზრუნველყოფს დაცვისა და კონტროლის სისტემების, საშიში ნივთიერებების შემგროვებელი და გამანეიტრალებელი აღჭურვილობების უწყვეტ და გამართულ ფუნქციონირებას;
- უზრუნველყოფს საწარმოს აღჭურვას შესაბამისი კოლექტიური დაცვის საშუალებებით;
- უზრუნველყოფს პერსონალის შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვას;
- უზრუნველყოფს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავესა და ტექნიკურ გამართულობას;
- მუდმივად იზრუნებს საფრთხის შემცველი ფაქტორების შემცირებასა და აღმოფხვრაზე და ამისათვის გაატერებს შესაბამის ღონისძიებებს;
- მწვავე პროფესიულ დაავადებაზე გონივრული ეჭვის მიტანის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გადაიყვანს დასაქმებულს სამედიცინო დაწესებულებაში.

კომპანიის მენეჯმენტი განახორციელებს პროფესიული დაავადების აღრიცხვასა და მოკვლევას. აღრიცხვა- ანგარიშგებას ექვემდებარება მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და

საშიშპირობებიან სამუშაო ადგილზე საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის საფრთხის შემცველი ფაქტორების ზემოქმედებით განვითარებული დასაქმებულის მწვავე ან ქრონიკული დაავადების შესაძლო შემთხვევა.
მწვავე ან ქრონიკულ პროფესიულ დაავადებაზე გონივრული ეჭვის მიტანის შემთხვევაში, შესაძლო პროფესიული დაავადების გამომწვევი მიზეზ(ებ)ის დადგენის მიზნით კომპანიის დირექტორი შექმნის პროფესიული დაავადების მოკვლევის ჯგუფს ან/და მოიწვევს შესაბამისი დარგის სპეციალისტებს.
კომაპნიის მენეჯმენტი გაატარებს ჯგუფის/მოწვეული სპეციალისტების მიერ განსაზღვრულ, პროფესიული დაავადების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრისა და პრევენციის ღონისძიებებს.

8. კონტრაქტორები

შპს „რივერ ინვესტი "- ს მიერ წარმოებული სამუშაოები მოითხოვს კონტრაქტორების ჩართვას სამუშაო პროცესში. შესაბამისად, კონტრაქტორების სწორად შერჩევა წარმოადგენს კომპანია „რივერ ინვესტი"-ს წარმატების ერთ-ერთ წინაპირობას. კონტრაქტორების დაქირავების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პოტენციური კონტრაქტორის გამოცდილებას, იმიჯს და შესაძლებლობას, დააკმაყოფილოს კომპანიის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმები შრომის უსაფრთხოების კუთხით.
კონტრაქტორები ვალდებულნი არიან:

სამუშაოები აწარმოონ საქართველოს კანონმდებლობით, წინამდებარე პოლიტიკის და შესაბამისი ინსტრუქციებით დადგენილი წესების შესაბამისად;
უზრუნველყონ სამუშაო ადგილის უსაფრთხოება;
მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოადგინონ შესასრულებელი სამუშაოს შრომის უსაფრთხოების გეგმა, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კანონმდებლობასა და წინამდებარე სახელმძღვანელოს.
ტრენინგების/ინსტრუქტაჟების საშუალებით უზრუნველყონ თანამშრომელთა ინფორმირება სამუშაოსთან დაკაშირებული საფრთხეებისა და მათი პრევენციისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ;
უზრუნველყონ თანამშრომლები შესაბამისი ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობით;
სამუშაოების წარმოებისას არ მიაყენონ ზიანი გარემოს;
შეაჩერონ ნებისმიერი სამუშაო, რომელიც აშკარა საფრთხეს უქმნის ადამიანების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, ან გამოიწვევს გარემოზე მავნე ზემოქმედებას;
კონტრაქტორების კომპეტენციის და მოთხოვნილი პირობების დაკმაყოფილების შესაძლებლობა სასურველია შემოწმდეს საჭირო დოკუმენტების გამოთხოვის გზით, ხოლო შესაბამისი დროის უქონლობისა და გადაუდებელი შემთხვევების დროს უნდა

მოხდეს კონტრაქტორების სამუშაოთა მწარმოებლებთან ზეპირი გასაუბრება შესასრულებელ სამუშაოთა უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით.
თუ სამუშაოები მოითხოვს ქვეკონტრაქტორების ჩართვას, კონტრაქტორები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ქვეკონტრაქტორების მიერ ზემოთაღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილება.
შპს „რივერ ინვესტი"-ს კონტრაქტორების ზედამხედველობასა და კონტროლს ახორციელებს პერიოდული შემოწმებების გზით. დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა და ან არაჯეროვანი შესრულება გამოიწვევს კონტრაქტორების მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას თანამშრომლობის შეწყვეტის ჩათვლით.

9. ვიზიტორები

შპს „რივერ ინვესტი"-ს კუთვნილ სამუშაო ობიექტზე ვიზიტორების დაშვება უნდა მოხდეს მენეჯმენტის მიერ დადგენილი პასუხისმგებელი პირის მიერ, განსაზღვრულ დროს.
თითოეულ ვიზიტორს სამუშაო ობიექტზე შესვლამდე უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ობიექტზე უსაფრთხო გადაადგილების წესებისა და პოტენციური საფრთხეების შესახებ, რაც უნდა დადასტურდეს ვიზიტორის ხელმოწერით სპეციალურ ფორმაში.
ვიზიტორების გადაადგილება ობიექტზე უნდა მოხდეს კომპანიის წარმომადგნელის თანხლებით.
ვიზიტორები ვალდებულნი არიან დაემორჩილონ კომპანიის წარმომადგენლის მითითებებსა და უსაფრთხოების ნიშნებისა და პლაკატების მოთხოვნებს.

10. პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა

შპს „რივერ ინვესტი"-ს სამშენებლო ობიექტზე, საჭიროების შემთხვევაში დროული პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად, უნდა მოხდეს ობიექტზე მომუშავე თითოეული პირის ინფორმირება სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახებისათვის საჭირო ღონისძიებებისა და წესების შესახებ.
ობიეტებზე, ხელმისაწვდომ ადგილებზე უნდა განთავსდეს სათანადო რაოდენობის პირველადი დახმარების ყუთები.

11. სამუშაო ადგილის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები

კომპანიის კუთვნილი სამუშაო ადგილები უნდა იყოს შემოსაზღვრული ღობით და უზრუნველყოფილი უნდა იქნას მისი დაცვა უცხო და არაუფლებამოსილი პირების

შეღწევისაგან, რათა გარეშე პირები არ აღმოჩნდნენ სხვადასხვა საფრთხის წინაშე.
სამუშაო ადგილზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო განათება
სამუშაოების წარმოებისას, ხოლო არასამუშაო საათებში ისეთი ადგილების განათება
სადაც შესაძლებელია ადამიანთა დაზიანება (დაცვის წევრები, სამუშაო ადგილის
მომიჯნავედ მცხოვრები პირები და ა.შ).
შესაბამისი ამკრძალავი და მაფრთხილებელი ნიშნები უნდა განთავსდეს, როგორც
სამუშაო ადგილზე, ისე მის გარეთ.
სამუშაო ადგილზე უზრუნველყოფილი უნდა იქნას როგორც ფეხითმოსიარულეთა
ისე სატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის უსაფრთხო გადაადგილება.

12. სისუფთავე და მოწესრიგებულობა

სამუშაო ობიექტზე მუდმივად უნდა იყოს დაცული სისუფთავე და
წესრიგი, რათა თავიდან იქნეს არიდებული გაუთვალისწინებელი ტრავმები,
დაავადებები და ხანძრის გაჩენის საშიშროება.
სამუშაო ობიექტების თითოეულ უბნისა თუ ჯგუფის ხელმძღვანელი
პასუხისმგებელია მის სამუშაო არეალში სისუფთავისა და წესრიგის
უზრუნველყოფაზე.
სამუშაო უბნებიდან დროულად უნდა მოხდეს ნარჩენებისა და ზედმეტი საგნების
გატანა და შესაბამის ადგილებზე განთავსება.
მასალები, ინსტრუმენტები და ტექნიკა ობიეტზე უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ
არ შეიზღუდოს ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებათა თავისუფალი და
უსაფრთხო გადაადგილება.
ძირითად გზებზე გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაბრკოლობების
წარმოქმნის შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ალტერნატიული გზები და
უნდა მოხდეს ობიექტზე მყოფ პირთა ინფორმირება ცვლილებების შესახებ.
დაუშვებელია წვადი ნარჩენების განთავსება აალების პოტენციური წყაროების
სიახლოვეს.
მასალები და ნარჩენების ისე უნდა განთავსდეს ობიექტზე, რომ გამოირიცხოს მათი
სიმაღლიდან ვარდნა ან ჩამოშლა გარემო პირობების (ქარი, წვიმა) ზემოქმედების
შედეგად.

13. საგანგებო სიტუაციები და ევაკუაცია

მომუშავეების სიცოცხლის გადარჩენა სამუშაო ობიექტზე არის პრიორიტეტი. ერთერთი ყველაზე
გავრცელებული და ეფექტური მეთოდი არის მომუშავეების ევაკუაცია.

საგანგებო სიტუაციების მზადყოფნისთვის კომპანია:

- განსაზღვრავს პირობებს, როდესაც ევაკუაცია ხდება აუცილებელი;
- განსაზღვრავს მითითებებისა და ბრძანაბების თანმიმდევრობას;
- განახორიცელებს პერსონალის სათანადო სწავლებას;
- პერსონალს განუსაზღვრავს ევაკუაციის გზებსა და თავშეყრის ადგილს;
- სათანადოდ თვალსაჩინო ადგილებზე განათავსებს გამაფრთხილებელ ნიშნებს, საავარიო განათებებს (დამუკიდებელი ელ.ენერგიით უზრუნველყოფილი) და საევაკუაციო გეგმებს;
- ინტენსიურად შეამოწმებს საევაკუაციო გასასვლელებსა და შესაბამის ნიშნებს;
- დანიშნავს კომპეტენტურ პირს, ვინც განახორციელებს საევაკუაციო ღონისძიებების მართვას.

ავარიული და საგანგებო სიტუაციებისას:

- მოხდება სამუშაო პროცესის გაჩერება;
- დაუყოვნებლივ მოხდება სამუშაო სივრცის დატოვება საევაკუაციო გეგმის მიხედით;
- მოხდება შესაბამის სამსახურების დაუყოვნებლივი ინფორმირება (112);
- დაზიანებულ პირებს გაეწევათ პირველადი გადაუდებელი დახმარება;
- ტერიტორიაზე აღმოჩენილი გარეშე პირებისთვის, ასევე მათთვის ვინც შესაძლოა არ იცოდნენ საევაკუაციო პროცედურები, მოხდება დახმარების აღმოჩენა - ტერიტორიიდან გაყვანა;
- ევაკუირებული პირების შეკრება მოხდება საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ თავშეყრის ადგილზე;
- სახანძრო-სამაშველო სამსახურებს მოსვლისთანავე გადაეცემა საწარმოს გეგმა-ნახაზები და მიეწოდება ყველა საჭირო ინფორმაცია.

14. სახანძრო უსაფრთხოება

ხანძარი არის უკონტროლო ცეცხლი, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხელესა და ჯანმრთელობას და მატერიალურ ქონებას.
სამუშაო ობიექტები და შენობები უნდა აღიჭურვოს შესაბამისი კლასისა და რაოდენობის ხანძართან ბრძოლის პირველადი საშუალებებით - ხელის და გადასატანი ცეცხლმაქრებით. გარდა ცეცხლმაქრების კლასისა გათავალიწინებული უნდა იქნეს ცეცხლმაქრების შემადგენლობა:

შრომის უსაფრთხოების გეგმა

შპს "რივერ ინვესტი"

წყალი - A კლასი ხანძრებისათვის;
მშრალი ფხვნილი - A, B, C და E კლასის ხანძრებისათვის;
სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- მუდმივად უნდა იყოს დაცული სისუფთავე და მოწერიგებულობა. დაუშვებელია ნარჩენებისა და მასალების უკონტროლო დაგროვება, საევაკუაციო გზებსა და გასასვლელებში;
- ელექტრო მეურნეობა და მოწყობილობები უნდა იყოს გამართულ მდომარეობაში და მუდმივად მოწმდებოდეს კვალიფიციური პერსონალის მიერ;
- ელექტრო მოწყობილობები და დანადგარები სამუშაოს დამთავრების შემდეგ უნდა გაითიშოს დენის წყაროდან, თუ მათი მუდმივი მუშაობა აუცილებლობით არაა განპირობებული;
- სიგარეტის მოსაწევად უნდა გამოიყოს სპეციალური უსაფრთხო ადგილები;
- ბოლო მომუშავე სართულზე აიკრძალოს სიგარეტის მოწევა
- პერიოდულად უნდა მოხდეს ცეცხლმაქრებისა და სახანძრო ინვენტარის ინსპექტირება, გაუმართაობის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ინვენტარის ჩანაცვლება;
- თვალსაჩინო ადგილებზე უნდა განთავსდეს საევაკუაციო გეგმები, ნიშნები და სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების საკონტაქტო ინფორმაცია;
- კომპანიის თითოეულ თანამშრომელს გავლილი უნდა ჰქონდეს ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი;
- ხანძრის ან დაკვამლიანების დაფიქსირების შემთხვევაში უნდა მოხდეს სახანძრო
- განგაშის გააქტიურება და ინფორმაციის დაუყოვნებლივი მიწოდება სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირისათვის ან უშუალო ხელმძღვანელისათვის;
- თუ ხანძარის წყაროს წრმოადგენს ელექტროობა, შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს დენის წყაროს გათიშვა ცენტრალური ამომრთველიდან;
- ხანძრის აღმომჩენ პირს შეუძლია გამოიყენოს ცეცხლმაქრი თუ დარწმუნებულია, რომ ფლობს შესაბამის ცოდნას და მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას არ მიადგება ზიანი;
- ევაკუაცია უნდა განხორციელდეს საევაკუაციო გეგმისა და ნიშნების შესაბამისად უსაფრთხო ადგილზე;
- საჭიროების შემტხვევაში გამოძახებულ უნდა იქნეს სახანძრო სამაშველო სამსახური ნომერზე „112"

15. ელექტროუსაფრთხოება

ელექტროენერგიასთან არასათანადო მოპყრობამ შეიძლება გამოიწვიოს, როგორც სხეულის დაზიანება, ისე ფატალური შედეგი, ხანძარი, აფეთქება და ა. შ. სამუშაოები,

შრომის უსაფრთხოების გეგმა

შპს "რივერ ინვესტი"

რომლებიც დაკავშირებულია ელექტროდანადგარების მომსახურებასთან ან სრულდება ელექტროდანადგარების მახლობლად, საჭიროა შესრულდეს კომპეტენტური პირის მიერ, რომელსაც გააჩნია ელექტროუსაფრთხობის შესაბამის ჯგუფი, რაც დასტურდება შესაბამისი მოწმობით.
სამუშაოების წარმოებისას ელექტროუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია უსაფრთხოების შემდეგი წესების დაცვა:

- ელექტრო სამუშაოებისა და ელექტრო დანადგარების მახლობლად მუშაობისას, აუცილებელია ელექტროუსაფრთხოების ნიშნების მოთხოვნების დაცვა;
- სამუშაოების დაწყებამდე სასურველია ელექტროდანადგარები და მოწყობილობები არ იმყოფებოდნენ ძაბვის ქვეშ და იყოს სათანადო წესით დამიწებული.
- სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოხდეს ფარული ელექტრო ხაზების იდენტიფიცირება, რათა არ მოხდეს მათთან შემთხვევითი კონტაქტი.
- დაზიანებული ან არასათანადოდ იზოლირებული ელექტრო სადენებისა და ინსტრუმენტის აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებელია კომპეტენტური პირის (ზედამხედველი, ელექტრიკოსი) ინფორმირება. პარალელურად ელექტრო ენერგიის წყაროს გათიშვა ან დაზიანებული ადგილის მონიშვნა, რათა არ მოხდეს სხვა პირის მიერ უნებლიე კონტაქტი;
- სამუშაო უბნებზე ამომრთველ კარადებთან მისასვლელი ყოველთვის უნდა იყოს თავისუფალი, რათა საგანგებო სიტუაციაში დაუბრკოლებლად მოხდეს ელექტროენერგიის გათიშვა;
- ნებისმიერი ელექტრული წრედი ითვლება მოქმედად იქამდე, სანამ ადგილზე არ იქნება თვალხილული დამადასტურებელი ნიშანი/ინფორმაცია იმისა, რომ იგი ნამდვილად გათიშულია;
- საჭიროების შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს შესაბამისი ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობა (ჩაფხუტი, სათვალე, ხელთათმანები და ა. შ);
- ელექტრო ხელსაწყოების გამოყენების დასრულებისთანავე უნდა მოხდეს მათი დენის წყაროდან სრული გათიშვა;
- ელექტრო სადენები არ უნდა იყოს ჩამოკიდებული ლურსმანზე, ან ისეთ ადგილზე განლაგებული, სადაც არსებობს მათი დაზიანების ან დასველების შესაძლებლობა;
- ყველა ელექტრო დანადგარს უნდა გააჩნდეს სათანადო დამიწება;
- ელექტროდანადგარების მომსახურება უნდა ხორციელდებოდეს მწარმოებლებისინსტრუქციების შესაბამისად;

ელექტროდანადგარების ექსპლუატაცია და ელექტროდანადგარების დაცვისზონაში მუშაობა, უნდა განხორციელდეს ტექნიკური რეგლამენტის „უსაფრთხოების ტექნიკის წესები ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას მოთხოვნების შესაბამისად.

16. სიმაღლეზე მუშაობა

სიმაღლეზე მუშაობად ითვლება სამუშაოები, რომლის დროსაც პრევენციული ზომების მიღების გარეშე შესაძლებელია ადამიანთა ვარდნა 2 მეტრის და მეტი სიმაღლიდან.

სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხობის ზოგადი მოთხოვნები:

- უნდა განისაზღვროს სამუშაო ადგილზე მისასვლელი უსაფრთხო გზა და საშუალებები;
- სამუშაოს დაწყებამდე სამუშაო ადგილი უნდა შემოიღობოს დამცავი მოაჯირების სისტემით;
- დამცავი მოაჯირები სისტემა უნდა შედგებოდეს ვერტიკალური ანუ საყრდენი, ზედა და შუა ჰორიზონტალური ძელებისაგან. მოაჯირის ძირზე (სამუშაო პლათფორმაზე) უნდა დამონტაჟდეს მინიმუმ 10 სმ სიმაღლის ჰორიზონტალური ძელი სხვადასხვა ხელსაწყობისა და საგნების ვარდნის თავიდან ასაცილებლად. შუა ჰორიზონტალური ძელი უნდა დამონტაჟდეს პლატფორმიდან 50-60 სმ-ზე, ხოლო ზედა მყარი ჰორიზონტალური მოაჯირი პლატფორმიდან 90-120 სმ-ზე.
- თუ ტექნიკური მიზეზების გამო, ვერ ხერხდება დამცავი მოაჯირების სისტემის მონტაჟი, საჭიროა სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგი ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობის (შემდგომში - უსაფრთხოების ქამარი) გამოყენება.
- უსაფრთხოების ქამარის ყველა ნაწილის (ღვედი, ჩამკეტი ქამარი და ა.შ) უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. უსაფრთხოების ქამრის ჩაცმა უნდა მოხდეს სწორად და ვარდნის საწინააღმდეგო ღვედი ჩაბმული უნდა იყოს წინასწარ განსაზღვრულ მყარ დამჭერ მოწყობილობაზე;
- გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, უსაფრთხოების ქამრის ჩაბმა უნდა მოხდეს ადამიანის თავს ზემოთ, თავისუფალი ვარდნის მანძილის მაქსიმუმ 60 სმ-მდე და ვარდნის შემდგომ გაქანების მინიმუმამდე დასაყვანად;
- სიმაღლეზე მუშაობისას სავალდებულოა უსაფრთხოების ჩაფხუტის და სხვა პოტენციური საფრთხეების შესაბამისი ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობა (ხელთათმანი, სათვალე და ა. შ.);
- სრიალა და დახრილ ზედაპირზე მუშაობისას აუცილებელი უსაფრთხოების ფეხსაცმლის გამოყენება, ფეხის გაცურების თავიდან ასაცილებლად;
- სიმაღლეზე დამონტაჟებული სამუშაო პლატფორმების სიგანე არ უნდა იყოს 0,6 მეტრზე ნაკლები, ამასთან პლატფორმა უნდა იყოს საიმედოდ დამაგრებული, რათა გამოირიცხოს პლატფორმის აყირავება, გადავარდნა და ა.შ;
- იარაღები, მასალები და ნარჩენები სამუშაო ადგილზე უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ გამოირიცხოს მათი გადავარდნა;

- თუ სიმაღლეზე მუშაობისას, მიმდებარე ტერიტორიაზე შესაძლებელია უცხო პირების მოხვედრა, სამუშაო ადგილის ქვემოთ მდებარე ტერიტორია უნდა შემოიზღუდოს ამკრძალავი ლენტით ან/და განთავსდეს შესაბამისი გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები („სიმაღლიდან საგნების ვარდნის საშიშროება ", „მიმდინარეობს მაღლივი სამუშაოები ", „შესვლა აკრძალულია "და ა.შ.). გადასატანი კიბეების გამოყენებისას სავალდებულო უსაფრთხოების შემდეგი წესების დაცვა:
- კიბეზე ასვლამდე უნდა შემოწმდეს კიბის სიმყარე და გამართულობა ვიზუალური დათვალიერების გზით. აკრძალულია ისეთი კიბის გამოყენება, რომელსაც აკლია საფეხური ან აღენიშნება სხვა რაიმე დეფექტი.
- კიბის დაყენებისას, მისი დახრის კუთხე უნდა იყოს დაახლოებით 75 გრადუსი;
- კიბე უნდა განთავსდეს სწორ და მყარ ზედაპირზე და გამორიცხული უნდა იყოს კიბის გაცურების შესაძლებლობა. ასევე აუცილებელია, რომ კიბე ორივე ფეხით ეყრდნობოდეს იატაკს.
- დაუშვებელია ორი კიბის კუსტარული წესით გადაბმა ან საყრდენად რაიმე არაფიქსირებული და არამყარი საგნის გამოყენება; კიბეზე მოძრაობა უნდა ხდებოდეს სახით კიბისკენ და დაცული უნდა იყოს შეხების სამწერტილოვანი პრინციპი. დაუშვებელია კიბეზე მოძრაობისას ხელით რაიმე ნივთის (ინსტრუმენტი, ჩანთა და ა.შ.) ატანა.
- დაუშვებელია კიბეზე ერთროულად ორი და მეტი ადამიანის ყოფნა და მოძრაობა;
- საყრდენი სიბრტყის სახეობიდან გამომდინარე, კიბეები უნდა იყოს აღჭურვილი წვეტიანი (მიწაზე მუშაობისას) ან რეზინის (სრიალა ზედაპირზე მუშაობისას) საყრდენებით, რაც გამორიცხავს კიბის გაცურებას;
- კიბეზე ადამიანის მოძრაობისას ან მუშაობისას, თუ ვერ ხერხდება კიბის სათანადო ფიქსაცია (მაგ. დაზიანებული რეზინის ფეხები) ან სამუშაო მოითხოვს მიწოლას და ძალის დატანებას, აუცილებელი კიბე ეჭიროს სხვა ადამიანს;
- თუ კიბის გამოყენებით ხდება სახურავზე ან რაიმე სახის ზედაპირზე ასვლა, კიბის ზედა ნაწილი 2 საფეხურით უნდა აღემატებოდეს მოცემულ სახურავს ან ზედაპირს.
- დაუშვებელია პორტატული კიბეების გაჩერება ცალ საყრდენ ფეხზე.

17. ამწე სამუშაოები

ამწე სამუშაოების განეკუთვნება მომეტებული საფრთხის მქონე სამუშაოთა კატეგორიას და მისი წარმოება უსაფრთხოების წესების უგულვებელყოფით, შესაძლოა გახდეს მნიშვნელოვანი უარყოფოთი შედეგების მიზეზი.
ამწე სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულებისათვის აუცილებელი უსაფრთხოების შემდეგი წესების დაცვა:

- ამწე სამუშაოების წარმოება უნდა განხორციელდეს ამწე მოწყობილობების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- წინასწარ შეირჩეს და განისაზღვროს ასაწევი ტვირთის შესაბამისი ამწე ტექნიკა/მოწყობილობა, ამწე საშუალებები (ჯაჭვი, ტროსი, ღვედი, კაუჭი და ა. შ.) და აწევის მეთოდი კომპეტენტური პირის მიერ;
- წინასწარ უნდა მომზადდეს ამწე ტექნიკის განთავსების და გადაადგილების ადგილი, ასევე ტვირთის განთავსების ადგილი;
- ამწე ტექნიკის ოპერატორს უნდა გააჩნდეს შესაბამისი კვალიფიკაციისდამადასტურებელი სერთიფიკატი ან ნებართვა;
- ტვირთის ჩაბმა უნდა განხორციელდეს კომპეტენტური პირის მიერ;
- სამუშაოს დაწყებამდე უნდა მოხდეს ოპერატორის მიერ ამწე ტექნიკისა და საშუალებების შემოწმება. დაზიანების ან დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში სამუშაო უნდა შეჩერდეს პრობლემის აღმოფხვრამდე;
- ამწე სამუშაოების წარმოება უნდა მოხდეს წინასწარ განსაზღვრული ნიშნის მიმცემი პირის საშუალებით, რომელიც წინასწარ შეათანხმებს ამწის ოპერატორთან საკომუნიკაციო ნიშნებს და მათ მნიშვნელობას. დაუშვებელია ამწის ოპერატორისთვის ნიშნების მიცემა ერთზე მეტი ადამიანის მიერ;
- ამწე სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელია გამოიყოს საჭირო რაოდენობის, თუმცა რაც შეიძლება ცოტა პერსონალი. ამწე სამუშაოების წარმოების არეალში დაუშვებელია უცხო პირების ყოფნა და გადაადგილება;
- დაუშვებელია ამწეზე დაკიდული ტვირთის ქვეშ გავლა, გარბენა და მოძრაობა. ასევე აკრძალულია მოძრაობა დაკიდულ ტვირთსა და რაიმე მყარ ობიექტს შორის (მაგ. კედელი, დასაწყობებული მასალა, სატრანსპორტო საშუალება და ტექნიკა), რათა არ მოხდეს ტვირთსა და მყარ ობიექტს შორის ადამიანის ან სხეულის ნაწილის ჭყლეტა;
- დაუშვებელია აწევის ან დაშვების პროცესში მყოფ ტვირთთან მიახლოება, თუ ის იმყოფება იატაკიდან/მიწიდან 0,5 მეტრზე მეტ სიმაღლეზე;
- დაუშვებელია დაკიდებული ტვირთის მანიპულირება ხელით, ტვირთის კონტროლი უნდა განხორციელდეს დისტანციურად, შესაბამისი სიგრძის თოკის გამოყენებით;

18. მძიმე ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოება

სატრანსპორტო საშუალებებისა და სამუშაო ტექნიკის ექსპლუატაცია და მომსახურება უნდა განხორციელდეს მწარმოებლების რეკომენდაციებისა და ინტრუქციების მიხედით. ზუსტად უნდა იყოს დაცული ყველა მოთხოვნა, რომელიც

უკავშირდება მათ გამოყენებასა და მომსახურებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი სახის ინციდენტი და სახიფათო გარემოებები.
სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის სავალდებულოა უსაფრთხოების შემდეგი წესების დაცვა:

- სატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის გადაადგილება ობიექტის ტერიტორიაზე უნდა მოხდეს ობიექტის მენეჯერის ან უსაფრთხოების სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ;
- თითოეული ავტოსატრანსპორტო საშუალება აღჭურვილი უნდა იყოს პირველადი დახმარების კომპლექტით, ცეცხლმაქრით, სათადარიგო საბურავით და საჭირო იარაღებით;
- ნებისმიერი სახის ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საპატრულო პოლიციას, კომპანიის შრომის უსაფრთხოების მენეჯერსა და უშუალო ხელმძღვანელს.

  სამუშაო ტექნიკის უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის სავალდებულოა უსაფრთხოების შემდეგი წესების დაცვა:
- საჭიროების შემთხვევაში ტექნიკის გადაადგილება და მუშაობა უნდა განხორციელდეს მედროშის მეშვეობით, ან სამუშაო ადგილი უნდა შემოიღობოს გამაფრთხილებელი საშუალებებით;
- დაუშვებელია სამუშაოსათვის შეუფერებელი ან დაზიანებული ტექნიკის ექსპლუატაცია;
- დაუშვებელია ტექნიკის გამოყენება ადამიანების ტრანსპორტირებისათვის;
- ტექნიკის ექსპლუატაციისას დაუშვებელია ოპერატორის მიერ ტელეფონზე საუბარი, ასევე კატეგორიულად იკრძალება ნასვამ მდგომარეობაში ან ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ ტექნიკის მართვა.
- სამუშაო ტექნიკის დაზიანების შემთხვევაში, უნდა შეწყდეს ტექნიკის ექსპლუატაცია დაზიანების აღმოფხვრამდე.

19. მონიტორინგი და კონტროლი

კომპანიის მენეჯმენტი განახორციელებს შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების მონიტორინგს და კონტროლს. გაანალიზებული და შესწავლილი ინფორმაციის ხასიათისა და ჩატარების დროის მიხედვით, მონიტორინგი, შესაძლოა იყოს აქტიური (გამაფრთხილებელი) და რეაქციული (საპასუხო).

აქტიურ (გამაფრთხილებელ) მონიტორინგში შედის:

- დაკვირვება შრომის უსაფრთხოებასა და ჰიგიენაზე, დასაქმებულთა ჯანმრთელობაზე, ობიექტის გარემოს უსაფრთხოებაზე;
- კონკრეტული გეგმების შესრულების, ასევე შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჩატარებული საქმიანობის შედეგების ანალიზი;

შრომის უსაფრთხოების გეგმა

შპს "რივერ ინვესტი"

- სისტემატიური შემოწმებები არსებული პირობების, ჯანმრთელობის დაცვის, შრომის უსაფრთხოებისა სისტემის ფუნქციონირების კუთხით.

რეაქციულ (საპასუხო) მონიტორინგში შედის:

- ობიექტზე ინციდენტებისა და პროფესიული დაავადებების კვლევის შედეგების ანალიზი;
- შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საქმიანობის არადამაკმაყოფილებელი შედეგების, ინსტრუქციების ხარვეზების ანალიზი;
- უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანალიზი.

პერიოდული კონტროლი განხორციელდება ყოველდღიურად და ყოველკვარტლურად.

ყოველდღიურ კონტროლს განახორციელებს შრომის უსაფრთხოების მენეჯერი და სამუშაოთა მწარმოებელი.

შრომის უსაფრთხოების მენეჯერის მიერ ყოველდღიურად შემოწმდება:

- სამუშაო ადგილების, სათავსების, საევაკუაციო გასასვლელების მდგომარეობა;
- ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების არსებობა და სწორი გამოყენება;
- წინასამუშაო ინსტუქტაჟებისა ჩატარება;
- წინა შემოწმებების დროს გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად ჩატარებული ღონისძიებებისა და მითითებების შესრულება;
- პერსონალის მიერ შრომის უსაფრთხოების საერთო მოთხოვნების შესრულება.

სამუშაოთა მწარმოებლის მიერ ყოველდღიურად შემოწმდება:

- აღჭურვილობებისა და ინსტრუმენტების, ასევე ტვირთამწე საშუალებების უსაფრთხოება;
- უსაფრთხოების ინსტრუქციების შესრულება.

ყოველკვარტლური შემოწმება განხრციელდება დირექტორის მიერ, ამისათვის შექმნილი კომისიის ან მოწვეული სპეციალისტების მეშვეობით. ყოველკვარტლური კონტროლის მიმდინარეობისას შემოწმდება:

- ყოველდღიური კონტროლის ორგანიზება და შედეგები;
- კომპანიის დირექტორის განკარგულებებისა და უსაფრთხოების ინსტრუქციების შესრულება;
- ობიექტზე მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების მოკვლევის კომისიის/ჯგუფის მიერ განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება;
- შრომის და სახანძრო უსაფრთხოების ნორმებისა დაცვა.

- დამცავი, სასიგნალო, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებისა და მოწყობილობების არსებობა და მათი მდგომარეობა;
- ინსტრუქტაჟის ჩატარების დროულობა და ხარისხი;
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებების არსებობა და მომუშავეთა მიერ მათი გამოყენების სისწორე;
- სამუშაო სივრცის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა;
- დასაქმებულთა სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების შესრულება;
- შრომის უსაფრთხოების თვალსაჩინო ნიშნების არსებობა და მათი მდგომარეობა.

ყოველკვარტლური კონტროლისას გამოვლენილი ნაკლოვანებები დაფიქსირდება შესაბამის დასკვნაში, აღნიშნული დასკვნის საფუძველზე განისაზღვრება გასატარებელი ღონისძიებები, მათი შემსრულებლები და შესრულების ვადები.

შემოწმებისას გამოვლენილი ისეთი დარღვევების/ხარვეზების შემთხვევაში, რომლებმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს პერსონალის ჯანმრთელობას ან გამოიწვიოს ავარია, მუშაობა წყდება ამ დარღვევების აღმოფხვრამდე.

20. გეგმის დამტკიცება, ცვლილებები.

1. კომპანიის შრომის უსაფრთხოების გეგმას ამტკიცებენ შპს „საკენი ბიოგრაფისგან"-ის დირექტორები.
2. საკანონმდებლო რეგულაციების, ექსპერტების რეკომენდაციების, უსაფრთხოების კუთხით არსებული პრაქტიკის გაანალიზების საფუძველზე, კომპანია პერიოდულად განახორციელებს წინამდებარე შრომის უსაფრთხოების გეგმის მოდიფიკაციას.
3. ეს დოკუმენტი გასაცნობად გადაეცემა კომპანიის ყველა თანამშრომელს.

შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების ერთწლიანი გეგმა

N	ღონისძიების დასახელება	შესრულების ვადა	პასუხისმგებელი პირი
1	ობიექტის ყველა თანამშრომელისათვის საერთო ტრენინგის ჩატარება შემდეგ თემატიკაში: ა) შრომის უსაფრთხოების საერთო-ზოგადი ინსტრუქტაჟის ჩატარება ბ) სახანძრო უსაფრთხოება, საგანგებო სიტუაციები, საევაკუაციო ღონისძიებები.	2025 წლის იანვარ-თებერვალი ასევე, ახალი თანამშრომლების მიღების შემთხვევაში	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

შრომის უსაფრთხოების გეგმა

შპს "რივერ ინვესტი"

	გ) სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოება		
2	მშენებლობაზე ყველა თანამშრომელისათვის სპეციფიური სამუშაო პროცედურებისა და აღჭურვილობის გამოყენების ინსტრუქტაჟების ჩატარება	ყოველდღიურად	სამუშაოთა მწარმოებელი
3	ობიექტზე ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების რეგისტრაციისთან და მოკვლევასთან დაკავშირებული შესაბამისი ჟურნალისა და ფორმების მომზადება.	2024 წლის დეკემბერი	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
4	ობიექტზე დამატებითი გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება	2024 წლის დეკემბერი,პერიოდ ულად განახლება-დამატება	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
5	ობიექტზე თანამშრომლების უბედურ შემთხვევაზე დაზღვევა	2024 წელი თანამშრომლების სამსახურში აყვანისას	დირექტორი, ობიექტის ხელმძღვანელი
6	ობიექტის შრომის უსაფრთხოების მონიტორინგის ჩატარება	2024 წლის დეკემბერი, პერიოდულობით	უსაფრთხოების სპეციალისტი, ობიექტის ხელმძღვანელი
7	პერსონალისთვის სახანძრო უსაფრთხოების სწავლების ჩატარება	2024 წლის დეკემბერი - 2025 წლის მაისი	შრომის უსაფრთხოების მენეჯერი
8	მშენებლობის რისკების დონის კიდევ უფრო შემცირების მიზნით, დამატებითი ღონიძიებების გეგმის შემუშავება (გადამზადება, ინსტრუქციების განახლება, დამატებითი მექანიზმები, აღჭურვილობა და სხვა)	2025 წლის იანვარი-2025 წლის მაისი	შრომის უსაფრთხოების მენეჯერი

ვამტკიცებთ შპს „რივერ ინვესტი" დირექტორი -
01.07.2025

დამტკიცებულია:	შპს „რივერ ინვესტი“

შრომის ჯანმრთელობის, უსაფრთხოების მართვის და გარემოს დაცვის გეგმა

სარჩევი

1 შესავალი 4
2 კომპანიის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადი 5
2.1 კომპანიის ნორმატიული მოვალეობა 9
2.2 კომპანიის დასაქმებულთა ნორმატიული მოვალეობა 10
2.3 პოლიტიკა ვიზიტორებისა და კონტრაქტორებისთვის 11
3 კომპანიის მენეჯმენტი 11
4 თანამშრომლები 11
5 ორგანიზაცია და რესურსები .....
5.1 როლები და პასუხისმგებლობები 12
5.2 პროექტის მენეჯერები 13
5.3 კონტრაქტორის უბნის უფროსი 13
5.4 შრომის უსაფრთხოების მენეჯერი 13
5.5 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი 14
5.6 საფრთხეების და შრომის უსაფრთხოების რისკების მართვა 15
5.7 სამუშაო საფრთხის ანალიზი 15
5.8 საფრთხის შესახებ შეტყობინება (მოხსენება) 16
5.9 აქტივობების განხორციელების მიმდევრობის რეგისტრაცია 16
6 რისკის მართვა, საფრთხის პრევენცია და კონტროლი 17
6.1 რისკის შეფასების პროცესი 18
6.2 შესყიდვა 20
6.3 ცვლილების მართვა 21
7 ტრენინგი და ინფორმირებულობა 21
7.1 ტრენინგი 21
7.2 სპეციალიზებული ტრენინგი 22
7.3 საფრთხეების შესახებ პერსონალის ინფორმირება 22
7.4 ვიზიტორები 23
7.5 შრომითი უსაფრთხოების განათლება 23
8 პირადი დაცვის აღჭურვილობა 23
8.1 დამცავი სათვალე 24
8.2 სმენის დაცვა 25
8.3 სასუნთქი გზების დაცვა 25
9 უსაფრთხოების ზოგადი პროცედურები 25
9.1 ზოგადი ობიექტის დიზაინი და ექსპლუატაცია 25
9.2 ფიზიკური საფრთხეები 29
9.3 ქიმიური საფრთხეები 37
9.4 ბიოლოგიური საფრთხეები 39
9.5 განსაკუთრებული საფრთხის შემცველი გარემო 40
9.6 მიწის ჩამოშლა / გათხრები 43
9.7 შემოღობვა, დროებითი ბარიერები და ნიშნები 46
9.8 იატაკისა და კედლის ღიობები 46
9.9 მოაჯირები 47
9.10 ზოგადი მოთხოვნები ხარაჩოების დამონტაჟებისთვის 49

9.11 მოცურება, ფეხის წამოდება და ვარდნა 50
9.12 პორტატული კიბეები 51
9.13 ჩამოვარდნილი ობიექტები და მასალები 52
9.14 პორტატული ხელსაწყოები 52
9.15 მაღალი ელექტროგადამცემი ხაზები 53
9.16 დაბლოკვის/მონიშვნის პროცედურა 53
9.17 ხელით აწევა და დამუშავება 55
9.18 წნევის ქვეშ მყოფი სისტემები 55

10 ამწეები და ამწევი მოწყობილობები 56

10.1 ამწეების და გარკვეული ამწე მოწყობილობების ტესტირება და შემოწმება 56
10.2 ამწეების სტაბილურობა 57
10.3 კომბინირებული აწევა (კომბინირებული გადაადგილება სიმაღლეზე) 57
10.4 უსაფრთხო სამუშაო დატვირთვის მარკირება (SWL) 58
10.5 აწევის ოპერაციები 58
10.6 ძირითადი მოთხოვნები 59
10.7 სიგნალიზაცია 59
10.8 მიწის პირობები (მახასიათებლები) 59
10.9 ამწევი მექანიზმი 60

11 ციცაბო ფერდობებზე ან რთულ რელიეფზე მუშაობა 60

12 დამატებითი მოთხოვნები ზამთრის სამუშაოების დროს 60

12.1 ძირითადი მოთხოვნები 60
12.2 ცივი გარემო 61

13 სამუშაო ადგილის ინსპექტირება და მონიტორინგი 61

13.1 შრომითი უსაფრთხოების ინსპექტირება 62

14 გარემოსდაცვითი საკითხები 64

14.1 ძირითადი 64
14.2 სამუშაო გარემოზე ზრუნვა 65
14.3 გარემოს დაცვითი ღონისძიებები 66

15 ინციდენტის გამოძიება და ანგარიშგება 67

16 დანართები 69

16.1 დანართი 1 69
16.2 დანართი 2. 72

1 შესავალი

შპს „რივერ ინვესტი“ (შემდგომ „კომპანია“) კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა კონტრაქტორი კომპანიის (სამშენებლო) საშუალებით. წინამდებარე გეგმა მიზნად ისახავს სამშენებლო რისკების დივერსიფიკაციას და სამშენებლო კომპანიებთან შესაბამის თანამშრომლობას.

აღსანიშნავია, რომ კომპანიას მოპოვებული აქვს შესაბამისი ნებართვები, რომლის საფუძველზეც განხორციელდება პროექტი „ბარე ბიოგრაფისგან“ თბილისში, მის: ქალაქი თბილისი, ლომაურის ქ. N3-ის მიმდებარედ - საკადასტრო კოდი: 01.17.01.038.023;

„ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის გეგმა“ (შემდგომში გეგმა) მოიცავს კომპანიის სამშენებლო საქმიანობას და უზრუნველყოფს ყოვლისმომცველი მართვის სისტემის დანერგვას, რომელსაც კომპანია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პროგრამებისა და სისტემების მართვისთვის გამოიყენებს. გეგმაში მოცემულია გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის საკითხები, შესაბამისი თანამშრომლების როლები, პასუხისმგებლობები და პრაქტიკაში განხორციელების საკითხები გეგმაში გაწერილია შესაბამისი პროცედურები სამშენებლო ობიექტებზე უსაფრთხოების ნორმების დაცვისთვის .

წინამდებარე გეგმა ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, და IFC-ის (საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია) გარემოს დაცვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების (EHS) სახელმძღვანელოებს და ILO-OSH-2001-ს.

ეს გეგმა მოიცავს შრომის უსაფრთხოების პროცედურებს და გეგმებს, უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით ტრენინგების ჩატარების საკითხს, და სამუშაოების უსაფრთხოდ წარმოების წესებს მშენებლობისა და წინა საექსპლუატაციო გამოცდების დროს.

მოცემული დოკუმენტის მიზანია, განსაზღვროს კომპანიის მიზნები შრომის უსაფრთხოების სფეროში და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების ვალდებულებები. ღონისძიებები, რომელთა გატარება საჭირო იქნება ეროვნული რეგულაციების, შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებისა და დამტკიცებული კოდექსებისა და წესების დასაცავად.

ეს გეგმა უზრუნველყოფს ეფექტიან სტრუქტურას, რომელიც ხელს შეუწყობს კომპანიის შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემასთან შესაბამისობას. იგი გამოყენებული იქნება შემდეგი მიზნებისთვის:

- უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ინტეგრაციისა და უნიფიცირებული დანერგვისთვის, მშენებლობის ეტაპზე კომპანიის საქმიანობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის.
- სამშენებლო პროექტებისთვის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის პროგრამის პასუხისმგებლობებისა და ანგარიშვალდებულების განსაზღვრისათვის.

- პროექტების კულტურის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით რაც საშუალებას მისცემს და წაახალისებს შრომის უსაფრთხოების პრობლემების გამოვლენას, განხილვას და გადაჭრას პროექტის ყველა ეტაპზე.
- შრომის უსაფრთხოების მიმართ კოორდინირებული და ორიენტირებული მიდგომის უზრუნველყოფისთვის პროექტის სრული ციკლის განმავლობაში, საინჟინრო გათვლებისა და პროექტირების ეტაპზე და მშენებლობის დროს.
- მშენებლობის დროს, შრომის უსაფრთხოების ასპექტების გამოვლენისთვის და გათვალისწინებისთვის.
- შრომის უსაფრთხოების სფეროში კომპანიის მიზნებისა და მოთხოვნების შესრულების ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით. ღონისძიებები, რომელთა, გატარება საჭირო იქნება ეროვნული რეგულაციების, საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებისა და დამტკიცებული კოდექსებისა და წესების დასაცავად და მიმწოდებლების ინფორმირებისთვის პროექტთან დაკავშირებული შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ. ყველა მხარე ვალდებული იქნება, წვლილი შეიტანოს და დაეხმაროს ამ გეგმის სამომავლო გადახედვას და დაეთანხმოს მის სრულ განხორციელებას.
- შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

2 კომპანიის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადი

შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის პოლიტიკა

კომპანია თანხმდება, რომ აიღოს პასუხისმგებლობა, შექმნას უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო (რამდენადაც ეს შესაძლებელია) მისი ყველა თანამშრომლისთვის და სხვა ვიზიტორებისთვის საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

კომპანიის პოლიტიკაა უზრუნველყოს კომიტეტის წევრების, მოხალისეების, თანამშრომლების და ორგანიზაციის შენობაში ყველა ვიზიტორის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, და ამ მიზნით იღებს პასუხისმგებლობას:

იმოქმედოს შესაძლო პრაქტიკული ნაბიჯებით, მიიღოს ყველა შესაძლო ზომა, რათა დაიცვას ყველა თანამშრომლის ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა;

უზრუნველყოს ადეკვატური სამუშაო პირობები შესაბამისი აღჭურვილობით, რათა დაიცვას პერსონალის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება და უზრუნველყოს, რომ შესრულებული სამუშაო არ შეუქმნის მათ ზედმეტ საფრთხეს ჯანმრთელობის ან უსაფრთხოების კუთხით;

- ✓ წაახალისოს დასაქმებულები, ითანამშრომლონ ორგანიზაციასთან უსაფრთხოების ყველა საკითხში, საფრთხის იდენტიფიცირებაში, რომელიც შეიძლება არსებობდეს და ასევე ნებისმიერი მდგომარეობის გამოვლინებაში, რომელიც შეიძლება იყოს საშიში ან არადამაკმაყოფილებელი;

- ✓ უზრუნველყოს უსაფრთხო მანქანა-დანადგარების, მოწყობილობებისა და სამუშაო სისტემების მიწოდება და შენარჩუნება;
- ✓ მისცეს სამუშაოს შეწყვეტის უფლება ნებისმიერ თანამშრომელს, რომელიც ამჩნევს გარდაუვალ საფრთხეს მათი ჯანმრთელობისთვის ან სხვისი უსაფრთხოებისთვის;
- ✓ დაიცვას უსაფრთხოების ზომები საგნებისა და ნივთიერების გამოყენების, დამუშავების, შენახვისა და ტრანსპორტირებისას;
- ✓ მიაწოდოს საკმარისი ინფორმაცია, ინსტრუქციების, ტრენინგების და ზედამხედველობის შესახებ, რათა ყველამ თავიდან აიცილოს საფრთხეები და გაუფრთხილდნენ საკუთარ უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას;
- ✓ მიაწოდოს კონკრეტული ინფორმაცია, ინსტრუქციების, ტრენინგების და ზედამხედველობის შესახებ პერსონალს, რომელსაც აქვს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კუთხით (მაგ. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს ან წარმომადგენელს);
- ✓ დაიცვას ყველა შესაძლო უსაფრთხოების ზომა, ნებისმიერი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკის საწინააღმდეგოდ, ყველა ადამიანისთვის ან თანამშრომლისთვის, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ორგანიზაციის საქმიანობაში;
- ✓ სათანადოდ და საფუძვლიანად შეაფასოს ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები თანამშრომლებისა და იმ პირთა შემთხვევაში, რომლებიც არ არიან ორგანიზაციაში დასაქმებულები;
- ✓ შეაფასოს კონკრეტული რისკი ორსულებისთვის ან ახალშობილების დედებისთვის და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის;
- ✓ მიაწოდოს ინფორმაცია სხვა დასაქმებულებს ნებისმიერი რისკის შესახებ, რომლის ზემოქმედების ქვეშაც შეიძლება ისინი აღმოჩნდნენ ორგანიზაციის შენობაში.

პოლიტიკის დოკუმენტი/პროცედურები უნდა განიხილებოდეს და განახლდეს კომპანიის მენჯმენტის მიერ წინასწარ განსაზღვრული სიხშირით(წლიურად) ან განახლდეს გაუთვალისწინებელი მოვლენების შემთხვევაში, ან ორგანიზაციის ბიზნეს საქმიანობაში ფუნდამენტური ცვლილების შემთხვევაში.

კომპანიის ნორმატიული მოვალეობა

კომპანია შეასრულებს თავის მოვალეობას რათა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უზრუნველყოს, მისი თანამშრომლებისა და დაწესებულების ვიზიტორების ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა სამუშაოზე და ასევე:

- ✓ გახადოს სამუშაო ადგილები უსაფრთხო და ჯანმრთელობისთვის რისკის არ შემცველი;
- ✓ უზრუნველყოს მანქანა-დანადგარების უსაფრთხოება და უსაფრთხო სამუშაო სისტემების მოწყობა და დაცვა;

- ✓ უზრუნველყოს მასალისა და ნივთიერებების უსაფრთხოდ გადატანა, შენახვა და გამოყენება;
- ✓ დაატრენინგოს და ზედამხედველობა გაუწიოს მოხალისეებს/თანამშრომლებს, ასევე მიაწოდოს მათ ინფორმაცია და ინსტრუქცია, რაც აუცილებელია მათი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის.

კერძოდ, კომპანია:

- ✓ შეაფასებს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებს თავისი დასაქმებულებისთვის და ქონებისთვის;
- ✓ მიიღებს ზომებს ამ შეფასებით განსაზღვრული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პირობების შესაქმნელად.
- ✓ აწარმოებს რისკების შეფასების მნიშვნელოვანი შედეგებისა და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომების მიღების ჩანაწერებს;
- ✓ შეიმუშავებს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადს; მათ შორის, ორგანიზაციის ჯანდაცვისა და უსაფრთხოების და მოქმედი ღონისძიებების და მიაწვდის მას თავის დასაქმებულებს;
- ✓ დანიშნავს კომპეტენტურ პირს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ღონისძიებებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების შესრულებაში დახმარებისთვის;
- ✓ დაადგენს საგანგებო სიტუაციების პროცედურებს;
- ✓ უზრუნველყოფს შესაბამისი პირველადი დახმარების საშუალებების ქონას;
- ✓ უზრუნველყოფს, რომ სამუშაო ადგილი აკმაყოფილებდეს ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და კეთილდღეობის მოთხოვნებს, მაგ. ვენტილაციის, ტემპერატურის, განათების, სანიტარული თვალსაზრისით, სარეცხისთვის და დასვენებისთვის განკუთვნილ ადგილებში;
- ✓ უზრუნველყოფს, რომ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით, სამუშაო აღჭურვილობა შესაფერისია მისი გამოყენებისთვის და რომ ის სათანადოდ არის შენახული და გამოყენებული;
- ✓ მოახდენს პრევენციას ან შესაფერისად გააკონტროლებს ისეთი ნივთიერებების გაფრქვევას/ზემოქმედებას, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ჯანმრთელობას;
- ✓ მიიღებს უსაფრთხოების ზომებს აალებადი ან ფეთქებადი წყაროების, ელექტრო აღჭურვილობის, ხმაურის ან რადიაციის მიმართ;
- ✓ მოერიდება რისკის შემცველ ხელით შესრულებად სამუშაოებს, სადაც მათი თავიდან აცილება შეუძლებელია, შეამცირებს ტრავმის რისკს;
- ✓ სათანადოდ უზრუნველყოფს ჯანმრთელობის მეთვალყურეობას;

- ✓ უზრუნველყოფს ნებისმიერი დამცავი ტანსაცმელის ან აღჭურვილობის უფასოდ მიწოდებას, მაშინ როცა რისკები სათანადოდ არ კონტროლდება სხვა საშუალებებით;
- ✓ მოახდენს სათანადო უსაფრთხოების ნიშნებით უზრუნველყოფას და შენარჩუნებას;
- ✓ შეატყობინებს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესაბამის აღმასრულებელ ორგანოს, გარკვეული დაზიანებების, დაავადებების და საშიში შემთხვევების შესახებ.

კომპანიის თანამშრომლების ნორმატიული მოვალეობა

თანამშრომლებს ასევე აქვთ კანონით განსაზღვრული მოვალეობები და ორგანიზაცია აუცილებლად ითხოვს ასევე არა დასაქმებული (ნებაყოფლობით/მოხალისედ) თანამშრომლებისგან, რომ დაიცვან აღნიშნული მოვალეობები.

მოვალეობები მოიცავს შემდეგს:

- ✓ აიღონ პასუხიმგებლობა საკუთარ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე და სხვა პირთა ჯანმრთელობაზე, რომლებიც შეიძლება დაზარალდნენ იმით, რასაც აკეთებენ ან არ აკეთებენ;
- ✓ ითანამშრომლონ კომპანიასთან ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებში;
- ✓ სწორად გამოიყენონ კომპანიის მიერ მოწოდებული სამუშაო აპარატურა ან ნივთები, მათ შორის პირადი დამცავი აღჭურვილობა, ტრენინგის ან ინსტრუქციის შესაბამისად;
- ✓ ვალდებულები არიან არ ჩაერიონ ან ბოროტად არ გამოიყენონ რამე, რაც არის გათვალისწინებული ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის მიზნებისთვის;
- ✓ რაც შეიძლება მალე შეატყობინონ დაზიანებების, უბედური შემთხვევების ან სამსახურში სახიფათო მოვლენების შესახებ, მათ შორის საზოგადოებისა და კომპანიის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში მონაწილეების ჩათვლით.

პოლიტიკა ვიზიტორებისთვის და კონტრაქტორებისთვის

ობიექტზე ვიზიტის დროს ყველა ვიზიტორმა უნდა გაიაროს შრომის უსაფრთხოების ძირითადი სწავლება და ყველა მათგანი გადამისამართებული უნდა იყოს ორგანიზაციის წარმომადგენელთან. აღნიშნულმა პირმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ვიზიტორ(ებ)ზე და საგანგებო სიტუაციის დროს დაეხმაროს მათ შენობიდან ან სამშენებლო ადგილიდან/მოედნიდან ევაკუაციაში ან უზრუნველყოს მათი დახმარება უბედური შემთხვევის დროს.

ობიექტებზე მისვლის დროს, ყველა ვიზიტორმა, მათ შორის კონტრაქტორმა და/ან მათმა თანამშრომლებმა, ხელი უნდა მოაწერონ ჩანაწერს, სადაც მითითებული იქნება მათი ვიზიტის თარიღი და დრო, ხოლო ტერიტორიის დატოვებისას დააფიქსირონ გასვლის დრო.

შენობაში მომუშავე კონტრაქტორებმა უნდა შეატყობინონ კომპანიას, საკუთარი უსაფრთხოების ან ნებისმიერი საეჭვო სახიფათო სამუშაო პრაქტიკის შესახებ

2.1 კომპანიის ნორმატიული მოვალეობა

კომპანია იღებს პასუხისმგებლობას, შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს საკუთარი თანამშრომლებისა და ვიზიტორების ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა სამუშაოს შესრულებისას, კომპანიის ობიექტებზე , იმისთვის, რომ:

- ✓ გახადოს სამუშაო გარემო უსაფრთხო და ჯანმრთელობისთვის არასარისკო;
- ✓ უზრუნველყოს დანადგარებისა და აღჭურვილობის უსაფრთხოება. აგრეთვე, სამუშაოს უსაფრთხოების სისტემების დანერგვა და შესრულება;
- ✓ უზრუნველყოს მასალებისა და ნივთიერებების უსაფრთხო გადატანა, შენახვა და გამოყენება;
- ✓ უზრუნველყოს ობიექტზე დასაქმებული ყველა ადამიანისთვის ინფორმაციის მიწოდება, ინსტრუქტაჟის და ტრენინგების ჩატარება და ზედამხედველობა, რაც აუცილებელია მათი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის.

კერძოდ, კომპანია:

- ✓ შეაფასებს საკუთარი თანამშრომლებისა და ქონების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებს;
- ✓ საჭიროებისამებრ, მიიღებს ზომებს, ამ შეფასების შედეგად გამოვლენილი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებისთვის;
- ✓ აღრიცხავს რისკების შეფასების შედეგად გამოვლენილ მნიშვნელოვან საკითხებს და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის გასატარებელ ღონისძიებებს;
- ✓ მოამზადებს და დაამტკიცებს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადს და გააცნობს თავის თანამშრომლებს;
- ✓ დანიშნავს კომპეტენტურ პირს, რომელიც დაეხმარება კომპანიას ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებების განხორციელებაში;
- ✓ დანერგავს საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო პროცედურებს;
- ✓ უზრუნველყოფს ადეკვატურ პირველად დახმარებას;
- ✓ უზრუნველყოფს, რომ სამუშაო ადგილი აკმაყოფილებდეს ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და კეთილდღეობის მოთხოვნებს, როგორებიცაა ვენტილაცია, ტემპერატურა, განათება და ჰიგიენური, დასაბანი და დასვენებისთვის განკუთვნილი საშუალებები;
- ✓ უზრუნველყოფს, რომ სამუშაო აღჭურვილობა შესაფერისი იყოს მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით, და რომ ის სათანადოდ იყოს მოვლილი და გამოყენებული;

- ✓ თავიდან აიცილოს ან ადეკვატურად გააკონტროლოს ისეთ ნივთიერებებთან კონტაქტი, რომლებიც ჯანმრთელობისთვის სარისკოა;
- ✓ მიიღოს სიფრთხილის ზომები აალებადი ან ფეთქებადი საფრთხეების, ელექტრომოწყობილობების, ხმაურის ან რადიაციის მიმართ;
- ✓ მოერიდოს ხელით შესასრულებელი სახიფათო სამუშაოების გამოყენებას და, თუ ეს გარდაუვალია, შეამციროს ტრავმის რისკი;
- ✓ საჭიროებისამებრ, უზრუნველყოს ჯანმრთელობის მდგომარეობის ზედამხედველობა;
- ✓ უსასყიდლოდ უზრუნველყოს ნებისმიერი დამცავი ტანსაცმელი ან აღჭურვილობა, თუ რისკები სათანადოდ არ კონტროლდება სხვა საშუალებებით;
- ✓ უზრუნველყოს შესაბამისი უსაფრთხოების ნიშნების დაყენება და მოვლა;
- ✓ შეატყობინოს გარკვეული დაზიანებების, დაავადებების და სახიფათო ინციდენტების შესახებ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის შესაბამის უწყებებს.

2.2 კომპანიის დასაქმებულთა[1] ნორმატიული მოვალეობა

კომპანიის თანამშრომლებს ასევე აქვთ სამართლებრივი ვალდებულებები და ორგანიზაცია მკაცრად მოითხოვს მათ შესრულებას, მათ შორის, არასაშტატო (მოხალისე) თანამშრომლებისგანაც. აღნიშნული ვალდებულებები მოიცავს:

- ✓ გამოიჩინონ გონივრული ზრუნვა საკუთარ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, ისევე როგორც სხვა ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, რომლებიც შეიძლება დაზარალდეს მათი ქმედებით ან უმოქმედობით;
- ✓ ითანამშრომლონ კომპანიასთან შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საკითხებში.
- ✓ ტრენინგის ან ინსტრუქციის შესაბამისად, სწორად გამოიყენონ კომპანიის მიერ მიწოდებული სამუშაო ნივთები, მათ შორის, პირადი დაცვის აღჭურვილობა;
- ✓ არ დააზიანონ და არასწორად არ გამოიყენონ ნებისმიერი ჯანმრთელობის, უსაფრთხოების ან კეთილდღეობის მიზნებისთვის გათვალისწინებული საგანი;
- ✓ რაც შეიძლება სწრაფად შეატყობინონ შრომის უსაფრთხოების მენეჯერს ან შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს დაზიანებების, უბედური შემთხვევების ან სამსახურში წარმოქმნილი სახიფათო ინციდენტების შესახებ, მათ შორის, ისეთი

---

[1] დასაქმებული - საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი" გათვალისწინებული ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, დამსაქმებლისათვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს, აგრეთვე „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურე და პირი, რომელიც დამსაქმებლის ნებართვით ან სხვა ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს სამუშაოს ან ახორციელებს საქმიანობას, აგრეთვე მიმწოდებელი, საწარმოო/სამუშაო პრაქტიკის განმახორციელებელი პირი და სხვა;

ინციდენტების თაობაზე, რომლებიც ეხება მოსახლეობას და კომპანიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეებს.

2.3 პოლიტიკა ვიზიტორებისა და კონტრაქტორებისთვის

შესვლისთანავე ყველა ვიზიტორს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტმა უნდა ჩაუტაროს გაცნობითი ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების შესახებ და ამის შესახებ ეცნობოს შრომის უსაფრთხოების მენეჯერს. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს ეკისრება პასუხისმგებლობა ვიზიტორ(ებ)ზე და ვალდებულია, დაეხმაროს მათ შენობიდან ან სამშენებლო უბნიდან ევაკუაციაში საგანგებო სიტუაციის დროს, ან უბედური შემთხვევის აღმოცენებისას.

შესვლისთანავე, ყველა ვიზიტორმა, მათ შორის, კონტრაქტორებმა და/ან მათმა თანამშრომლებმა, ხელი უნდა მოაწერონ მათი ობიექტზე შესვლის თარიღისა და დროის აღმრიცხველ ჩანაწერს, ხოლო გასვლისას, მიუთითონ ტერიტორიის დატოვების დრო.

შენობაში მომუშავე კონტრაქტორებმა უნდა შეატყობინონ კომპანიას ნებისმიერი საკითხი, რომელიც მათ აწუხებთ საკუთარ უსაფრთხოებასთან ან საეჭვო სახიფათო სამუშაო პრაქტიკასთან დაკავშირებით.

3 კომპანიის მენეჯმენტი

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფაზე. მენეჯმენტის ყველა დონე შეეცდება უზრუნველყოს, რომ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას მიენიჭოს უმაღლესი პრიორიტეტი. მენეჯერები პასუხისმგებელნი არიან მათდამი დაქვემდებარებული პერსონალისთვის გარემოს დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის ეფექტურ მიწოდებაზე და უფლებამოსილნი არიან, მათ უშუალო დაქვემდებარების ქვეშ მყოფ პირებს დაავალონ შრომის უსაფრთხოების მართვის გეგმის ელემენტების დანერგვა ამ გეგმაში მოცემული სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად. მენეჯმენტი უზრუნველყოფს საჭირო რესურსებს, რომ ადეკვატურად იქნას დაცული ობიექტზე მომუშავე პერსონალი, ვიზიტორები, მიმწოდებლები, მოსახლეობა და გარემო. მენეჯმენტის პასუხისმგებლობაა უზრუნველყოს, რომ პერსონალმა იცოდეს და ესმოდეს ორგანიზაციის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიზნები და ამოცანები.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ხელი შეუწყოს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დაგეგმვასა და განხორციელებას, რათა ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების ან ბუნებრივი კატასტროფების შემთხვევაში მაქსიმალურად იყოს დაცული პერსონალი, ვიზიტორები, მოსახლეობა და გარემო. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებების დეტალები მოცემულია კომპანიის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმაში.

4 თანამშრომლები

თანამშრომლები პასუხისმგებელნი არიან საკუთარი უსაფრთხოებისა და მესამე პირების ჯანმრთელობის დაცვაზე, ასევე, სხვათა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობაზე, რაც, გამოიხატება შემდეგში:

- ✓ ამ გეგმის და სხვა შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გეგმების განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა, პროცედურების გადაცდომების გარეშე შესრულება და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ინდიკატორების კონცეფციის გათავისება.
- ✓ პროექტის გარემოსდაცვითი მოთხოვნების ცოდნა და სამუშაოს შესაბამისად შესრულება;
- ✓ მუშაობის შეწყვეტის უფლების გამოყენება, როდესაც იგრძნობენ, რომ გარდაუვალი საფრთხე ემუქრებათ საკუთრივ მათ ან ტერიტორიაზე მყოფ სხვა პერსონალს;
- ✓ გამოიყენონ უფლება, მუშაობის დაწყებამდე მიიღონ შესაბამისი ინფორმაცია კონკრეტული სამუშაო დავალების ან სამუშაო გარემოს საფრთხეების შესახებ;
- ✓ გააფრთხილონ მათი ხელმძღვანელი და/ან შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი მათ საქმიანობაში ან სამუშაო ზონაში არსებული ნებისმიერი პოტენციური საფრთხის შესახებ და აღმოფხვრან ის საფრთხეები, რომლებზეც მათ უშუალოდ ოპერატიულად მიუწვდებათ ხელი;
- ✓ მენეჯერის მიერ და/ან სამუშაო დოკუმენტაციაში, როგორიცაა ობიექტზე სამუშაოს დაწყების უფლება (ნებართვები) - მითითებული უსაფრთხოების წესებისა და პროცედურების დაცვა;
- ✓ ყურადღებით ყოფნა სამუშაო ტერიტორიისა და სამუშაოსთან დაკავშირებული საფრთხეების მიმართ;
- ✓ სიმძიმის მიუხედავად, სამუშაოსთან დაკავშირებული ყველა დაზიანების შესახებ ხელმძღვანელისთვის, სამედიცინო სამსახურებისთვის, ინჟინერისა და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტისთვის შეტყობინება;
- ✓ შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ტრენინგებზე დასწრება და მონაწილეობა;
- ✓ პირადი დაცვის აღჭურვილობის სწორად გამოყენება.

5. ორგანიზაცია და რესურსები

5.1. როლები და პასუხისმგებლობები

შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოვალეობები თითოეული თანამდებობისთვის მოცემულია ქვემოთ. ამ როლის შემსრულებელ თითოეულ პირს გადაეცემა თავისი მოვალეობების ასლი. შრომის უსაფრთხოების მენეჯერი პასუხისმგებელია უზრუნველყოს, რომ კომპანიის ყველა თანამშრომელს, რომელიც მუშაობს ან სტუმრობს ობიექტს, ესმოდეს ამ გეგმაში ასახული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნები და სრულად აკმაყოფილებდეს მათ. კომპანიის შრომის უსაფრთხოების მენეჯერი, როგორც, ხელმძღვანელი პირი, სამუშაო ადგილზე წყვეტს ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

5.2. პროექტის მენეჯერები

პროექტის მენეჯერი პასუხისმგებელია უზრუნველყოს პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულ საქმიანობებთან დაკავშირებული ყველა საკითხის მართვა. რომელიც, მოიცავს შემდეგს:

- ✓ უბნის უფროსის და მთელი შტატის დახმარება და რჩევების მიცემა, ასევე საჭიროების შემთხვევაში ტრენინგის ჩატარების უზრუნველყოფა.
- ✓ შრომის უსაფრთხოების მართვის გეგმისა და პროცედურების განხორციელებაში დახმარება.
- ✓ საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის გავლა შესაბამის სპეციალისტთან და ობიექტზე უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული სიახლეების ყოველკვირეული განხილვა.

პროექტის მენეჯერი შრომის უსაფრთხოების მენეჯერთან და ობიექტის ხელმძღვანელობასთან ერთად შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, სულ მცირე თვეში ორჯერ განიხილავს.

5.3. კონტრაქტორის უბნის უფროსი

უბნის უფროსი შრომის უსაფრთხოების მენეჯერთან ერთად არის ხელმძღვანელი პირი თითოეულ ობიექტზე, რომელიც ,პასუხისმგებელია და ანგარიშვალდებულია შრომის უსაფრთხოების შესრულებაზე. ობიექტის ხელმძღვანელს ევალება:

- ✓ საველე სამუშაოების უსაფრთხო, სისტემურად და ხარისხიანად ორგანიზება, დაგეგმვა და შესრულება;
- ✓ კომპანიის სრული საშტატო შემადგენლობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ობიექტზე ყველა სამუშაოს უსაფრთხოდ განხორციელება;
- ✓ საშტატო შემადგენლობისთვის წინა სამუშაო უსაფრთხოების ტრენინგის უზრუნველყოფა, რომელსაც აქვს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობა.
- ✓ ყოველდღიური ინსტრუქტაჟის ინიცირება და აქტიური მონაწილეობა;
- ✓ ნებისმიერი მომხდარი უბედური შემთხვევის ან ინციდენტის საფუძვლიანი გამოძიება;
- ✓ კომპანიისთვის ნებისმიერი უბედური შემთხვევის, ინციდენტის ან პოტენციური ინციდენტის შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივი შეტყობინება.

5.4. შრომის უსაფრთხოების მენეჯერი

შრომის უსაფრთხოების მენეჯერი არის ხელმძღვანელი პირი, რომელიც პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია კომპანიის შრომის უსაფრთხოების გეგმის შესრულების მონიტორინგზე. მის მოვალეობაში შედის რომ უზრუნველყოს, რომ ჯანმრთელობა და უსაფრთხოება შეესაბამებოდეს პროექტის სტანდარტებს და ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს. მიუხედავად იმისა, რომ პროექტში ჩართული თითოეული პირი

პასუხისმგებელია ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, შრომის უსაფრთხოების მენეჯერის პასუხისმგებლობაა უზრუნველყოს, რომ თითოეულმა პირმა გააცნობიეროს თავისი მოვალეობები.

შრომის უსაფრთხოების მენეჯერს აკისრია განსაკუთრებული პასუხისმგებლობა შემდეგზე:

- ✓ მოახსენოს პროექტის ხელმძღვანელს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის კუთხით სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ;
- ✓ აქტიურად შეუწყოს ხელი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კულტურის დანერგვას პროექტის განხორციელებისას;
- ✓ ითანამშრომლოს პროექტის მენეჯერთან რათა დარწმუნდეს, რომ ობიექტზე მყოფი ჯგუფები ეფექტიანად ასრულებენ თავიანთ საქმეს;
- ✓ უზრუნველყოს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სამუშაოებში ჩართული ყველა თანამშრომლის მხრიდან თანმიმდევრული მიდგომა;
- ✓ უზრუნველყოს პროექტში ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სამუშაოებთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის ან საკითხის სწრაფი და ეფექტიანი გადაჭრა;
- ✓ განახორციელოს შრომის უსაფრთხოების გეგმასთან სამუშაოების შესაბამისობის მონიტორინგი და შემოწმება;
- ✓ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პროგრამის რეგულარული ანგარიშგების პროგრამის შემუშავება და განხორციელება;
- ✓ უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი აქტივობის დაწყებამდე, კონტრაქტორის შრომის უსაფრთხოების თანამშრომელი ჩაატარებს უსაფრთხოების რისკის ანალიზს და შეათანხმებს მასთან;
- ✓ მოამზადოს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ტრენინგის განრიგი პროექტის ყველა დასაქმებულისთვის;
- ✓ კომპეტენციის ფარგლებში ჩაუტაროს ტრენინგები დასაქმებულებს.
- ✓ შეამოწმოს სამუშაოების წარმოების გეგმა და რისკის შეფასებები და უზრუნველყოს უსაფრთხოების ყველა ზომა ობიექტზე სამუშაოების დაწყებამდე;
- ✓ უზრუნველყოს კომპანიის ინსპექტირება/აუდიტი შრომის უსაფრთხოების დამაკმაყოფილებლად შესრულების მიზნით;
- ✓ ხელი შეუწყოს ღია კომუნიკაციას, თანამშრომლობას და ნდობას საკუთარ თავსა და პერსონალს შორის შრომის უსაფრთხოების წესების შესრულებიდან გამომდინარე.

5.5. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ზედამხედველობს სამუშაო პროცესს უშუალოდ მისი მსვლელობისას და უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

მის მოვალეობებში შედის:

- ✓ პროექტის პერსონალის მიერ დაწესებულებაში შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი;
- ✓ შრომის უსაფრთხოების მენეჯერის წინაშე ანგარიშგება შრომის უსაფრთხოების წესების შესრულების შესახებ;
- ✓ ნებისმიერი ინციდენტის გამოძიებაში მონაწილეობა;
- ✓ ობიექტის პერსონალისთვის ინსტრუქტაჟის ჩატარება ობიექტის ხელმძღვანელთან ერთად;
- ✓ მოსთხოვოს კონტრაქტორს ყველა საქმიანობისთვის რისკის შეფასების დოკუმენტის მომზადება;
- ✓ შრომის უსაფრთხოების ინციდენტის და „პოტენციურად საშიში ინციდენტების" შესახებ ანგარიშგება შრომის უსაფრთხოების მენეჯერის წინაშე;
- ✓ კომპანიის ყველა ავტომობილის/აღჭურვილობის/ინსტრუმენტების რეგულარული ინსპექტირების უზრუნველყოფა;
- ✓ ყველა საჭირო პირადი დაცვის აღჭურვილობის (PPE) ხელმისაწვდომობისა და სწორად გამოყენების მონიტორინგი;
- ✓ გააკონტროლოს, რომ ყველა მანქანა/დანადგარის ოპერატორი იყოს სათანადოდ ლიცენზირებული და მომზადებული;
- ✓ ობიექტზე გარემო პირობების მონიტორინგი (ამინდი, ნალექიანობა და სხვა).
- ✓ კომპეტენციის ფარგლებში ჩაუტაროს ტრენინგები დასაქმებულებს.

5.6. საფრთხეების და შრომის უსაფრთხოების რისკების მართვა

საფრთხეების გამოვლენა უნდა დაიწყოს პროექტირებისას, სამუშაოების დაწყების წინა პერიოდში და თითოეული ამოცანისა და სამშენებლო ელემენტის დაგეგმვის ფაზაში. სამუშაო ობიექტზე თანამშრომლები პასუხისმგებელნი არიან თავიანთ სამუშაოსთან დაკავშირებული საფრთხეების გამოვლენაზე, რაც ხორციელდება სამუშაო ადგილზე საფრთხეების ანალიზის საფუძველზე.

5.7. სამუშაო საფრთხის ანალიზი

სამუშაო ადგილზე საფრთხეების ანალიზისთვის აუცილებელია სამუშაოს დაყოფა ეტაპებად, შემდეგ თითოეული ეტაპის შეფასება და საფრთხეების ძიება. ამის შემდეგ ხდება თითოეული ასეთი საფრთხის აღმოფხვრა და/ან შემუშავდება უსაფრთხოების ზომები და მოხდება პირადი დაცვის აღჭურვილობის საჭიროების დადგენა., ცალკეული პროცესის ან სამუშაოსთვის ასევე შეიძლება განისაზღვროს დამატებითი მოთხოვნები, როგორიცაა პერსონალის ტრენინგი, სერტიფიცირება, და ა.შ. საბოლოო შედეგი არის კონკრეტული სამუშაოსთვის შემუშავებული წერილობითი დოკუმენტი: რისკის შეფასების დოკუმენტი.

სამუშაო ადგილზე საფრთხეების ანალიზი არის კომპანიის ვალდებულების - პერსონალის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის - ერთ-ერთი კომპონენტი (დანართი 1).

5.8. საფრთხის შესახებ შეტყობინება (მოხსენება)

პროექტის პერსონალმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს საშიშროების, საეჭვო სახიფათო პირობების, არადამაკმაყოფილებელი გარემოს ან სარისკო სამუშაო პრაქტიკის შესახებ. სახიფათო სიტუაციების ადრეული გამოვლენა და აღმოფხვრა მიზნად ისახავს ინციდენტების ან დაზიანებების ალბათობის მინიმუმამდე შემცირებას. საქმიანობის შედეგად გამოვლენილი საფრთხის შესახებ შეტყობინების შემდეგი ვარიანტები არსებობს:

- ✓ უბნის უფროსი და პროექტის მენეჯერი ადგილზე მომუშავე ინჟინრები და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები იქნებიან პირველები, რომლებსაც ეცნობებათ შრომის უსაფრთხოების პრობლემების ან საფრთხის შესახებ, იმის გამო, რომ ფიზიკურად ახლოს იმყოფებიან პერსონალის უმრავლესობასთან.
- ✓ შრომის უსაფრთხოების სამსახურის პირველადი მოვალეობაა, შეაფასოს ამ საფრთხესთან დაკავშირებული რისკი, მიიქციოს ხელმძღვანელობის ყურადღება ამ საკითხზე და უზრუნველყოს პრობლემის მონიტორინგი მის აღმოფხვრამდე. გამოვლენილი პრობლემები პერსონალმა შეიძლება უშუალოდ გაუზიაროს შრომის უსაფრთხოების მენეჯერს.
- ✓ შრომის უსაფრთხოების პრობლემების შესახებ უშუალოდ უნდა ეცნობოს კომპანიის შრომის უსაფრთხოების მენეჯერს. თუ თანამშრომელი არ მიიღებს დამაკმაყოფილებელ პასუხს პრობლემის შესახებ მოხსენებაზე, მას შეუძლია პრობლემის შესახებ შეატყობინოს ხელმძღვანელობას ყოველგვარი შიშის გარეშე.

5.9. აქტივობების განხორციელების მიმდევრობის რეგისტრაცია

შრომის უსაფრთხოების აქტივობების განხორციელების მიმდევრობის რეგისტრაცია (ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგის რეესტრი) (დანართი 2) დაინერგება იმ მიზნით, რომ არსებობდეს შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რეკომენდაციებისა და ღონისძიებების აღრიცხვის ერთიანი წყარო, რომლებიც მომზადდება შემდეგის საფუძველზე:

- ✓ საფრთხეების გამოვლენის კვლევები;
- ✓ სამუშაო ადგილზე რისკების და საფრთხეების შეფასება;
- ✓ ჯანმრთელობისა და ჰიგიენის რისკის შეფასებები;
- ✓ ინციდენტების გამოძიებები;
- ✓ შიდა შრომის უსაფრთხოების აუდიტები/განხილვები/შემოწმებები;
- ✓ გარე შრომის უსაფრთხოების აუდიტები/განხილვები/შემოწმებები.

აუცილებელია შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგის რეესტრის წარმოება, კონკრეტული პროექტის მიმდინარეობის განმავლობაში. აღნიშნული

დოკუმენტი განსაზღვრავს მეთოდს, რომლითაც ხდება რეკომენდაციების სტატუსის მონიტორინგი, ასევე საშუალებებს, რომელთა დახმარებითაც განისაზღვრება ღონისძიების დასრულება და მასშივე აღირიცხება ღონისძიებების დამაკმაყოფილებლად შესრულების ფაქტები.

6 რისკის მართვა, საფრთხის პრევენცია და კონტროლი

საფრთხის პრევენცია და კონტროლი გულისხმობს საფრთხეების აღმოფხვრას პროექტირების ან დაგეგმვის დროს. საფრთხის შემცირების ღონისძიებების მაგალითებია, სამუშაო პროცესის გადახედვა და გაუმჯობესება ან ნაკლებად ტოქსიკური, ეკოლოგიურად სუფთა მასალების გამოყენება. შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი, ობიექტის პასუხისმგებელ ხელმძღვანელობასთან და პროექტის მენეჯერთან ერთად, განიხილავს პროექტის ამოცანებს მათი განრიგის შესაბამისად. შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი შეიმუშავებს და განიხილავს სამუშაო პროცესების გაუმჯობესებისა და რისკების შემცირების გეგმებს. დაგეგმვის პროცესის საწყის ეტაპზე შეთავაზებულ იქნება პოტენციური საფრთხეების ეფექტიანად შემცირების რეკომენდაციები. სამუშაოების დაწყებამდე, შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის მონაწილეობით ჩატარდება მოსამზადებელი შეხვედრები, რომლებზეც მომზადდება სამუშაო ადგილზე საფრთხეების ანალიზი და სამუშაო პროცესში საფრთხეების შემცირების მეთოდების იდენტიფიცირება. აღნიშნული მეთოდები იქნება დოკუმენტირებული, თუ ისინი არ არის პრაქტიკაში დანერგილი სტანდარტი.

სადაც საფრთხის აღმოფხვრა შეუძლებელია, მიიღება ზომები საფრთხის გასაკონტროლებლად. საფრთხის კონტროლის აღნიშნული ზომები, სასურველი თანმიმდევრობით გამოიყენება:



1. **აღმოფხვრა** - საფრთხის მოცილება მისი საპროექტო ეტაპზე იდენტიფიცირების გზით (საშიში ნივთიერებების, საფრთხეების აღმოფხვრის პროექტირება).

2. **ჩანაცვლება** - საშიში მეთოდების, მასალების ან/და მოწყობილობების ჩანაცვლება.

3. **ტექნიკური კონტროლი** - საფრთხის შემცირება საინჟინრო-ტექნიკური კონტროლის გამოყენებით (რისკების შესამცირებლად ტექნიკის დაცვის, ხმაურის საიზოლაციო ზღუდეების, სავენტილაციო მოწყობილობის, ავტომატური გამორთვის სისტემების გამოყენება და ა.შ.).

4. **ადმინისტრაციული კონტროლი** - პროცედურების, პოლიტიკის, ტრენინგის, გაფრთხილების სისტემების და სხვა მსგავსი მეთოდების გამოყენება ცნობილი რისკების ზემოქმედების გასაკონტროლებლად და არსებული რისკების შესამცირებლად.

5. **პირადი დაცვის აღჭურვილობა (პდა)** -პერსონალის დაცვა დანარჩენი რისკებისგან მას შემდეგ, რაც, ყველა სხვა ვარიანტი ამოიწურება (როგორც უკანასკნელი საშუალება, პერსონალის დაცვისთვის, დადგენილი პირადი დაცვის აღჭურვილობის სავალდებულო გამოყენებით).

რისკების მართვის პროცესები უნდა შეესაბამებოდეს „სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე " საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის N01-15/ნ ბრძანების მოთხოვნებს.

6.1. რისკის შეფასების პროცესი

რისკის მართვა არის სამუშაო სივრცეში საფრთხეებით გამოწვეული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების მართვის ეტაპობრივი პროცესი, რომელიც მოიცავს:

- ✓ საფრთხეების გამოვლენას;
- ✓ რისკების შეფასებას;
- ✓ რისკების კონტროლს;
- ✓ დასკვნების აღრიცხვას;
- ✓ კონტროლის მექანიზმების განხილვას.

საფრთხის გამოვლენა

- ✓ უნდა დათვალიერდეს სამუშაო სივრცე და განისაზღვროს ზიანის გამომწვევი მიზეზები და მისგან გამომდინარე შედეგები;
- ✓ უნდა შეფასდეს როგორ მუშაობენ ადამიანები და როგორ გამოიყენება მანქანები და აღჭურვილობა;
- ✓ რა ქიმიკატები და ნივთიერებები გამოიყენება;
- ✓ რა უსაფრთხო ან საფრთხის შემცველი სამუშაო მეთოდები არსებობს;
- ✓ შეფასდეს ობიექტის ზოგადი მდგომარეობა.

საჭიროა უბედური შემთხვევებისა და ავადმყოფობების ისტორიების ჩანაწერების შესწავლა, რაც გამოავლენს ნაკლებად აშკარა საფრთხეებს. განიხილოს არასტანდარტული

ოპერაციები, როგორიცაა, ტექნიკური მომსახურება, გაწმენდა ან საწარმოო პროცესების ცვლილება.

შეფასდეს ჯანმრთელობის საფრთხეები, როგორიცაა ხელით მუშაობა, ქიმიკატების გამოყენება და სამსახურთან დაკავშირებული სტრესის მიზეზები.

თითოეული საფრთხე უნდა შეფასდეს ზარალის რისკის შესაბამისად, თანამშრომლებთან, კონტრაქტორებთან, ვიზიტორებთან ან მოსახლეობასთან მიმართებით.

მოწყვლადი სამუშაო ძალა

ზოგიერთი დასაქმებულის მიმართ შესასრულებელია განსაკუთრებული მოთხოვნები, მაგალითად, არასრულწლოვანი დასაქმებულების, მიგრანტი მუშების, ახლადნამშობიარები ან ორსული ქალების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ

აუცილებელია თანამშრომლებთან მუდმივი კომუნიკაცია , რადგან, როგორც წესი მათ კარგი იდეები აქვთ.

შესაფასებელია რისკები

როგორც კი საფრთხის გამოვლენა მოხდება, უნდა გადაწყდეს, რამდენად სავარაუდოა, რომ ვინმეს ზიანი მიადგეს და რამდენად სერიოზული შეიძლება ეს იყოს. ამას ჰქვია რისკის დონის შეფასება.

საყურადღებოა:

- ✓ ვინ შეიძლება დაზარალდეს და როგორ?
- ✓ უკვე რა გაკეთდა რისკების გასაკონტროლებლად?
- ✓ რა შემდგომი ზომებია საჭირო რისკების კონტროლისთვის?
- ✓ ვინ უნდა მიიღოს ეს ზომები?
- ✓ როდის უნდა გატარდეს ეს ზომები?

გასაკონტროლებელი რისკები

უნდა შემოწმდეს, რა გაკეთდა და კონტროლის რა მექამიზმებია ამოქმედებული:

- ✓ შესაძლებელია თუ არა საფრთხის სრულად აღმოფხვრა?
- ✓ როგორაა შესაძლებელი რისკების ისე გაკონტროლება, რომ ზიანის რისკი შემცირდეს?

დამატებითი კონტროლის მექანიზმების საჭიროებებისთვის განსახილველია შემდეგი:

- ✓ სამუშაო მეთოდის შეცვლა;
- ✓ მასალების, დანადგარების ან პროცესების შეცვლა;
- ✓ სამუშაოების ორგანიზება მასალების, მანქანების ან პროცესების ზემოქმედების შესამცირებლად;

- ✓ უსაფრთხო მუშაობისთვის აუცილებელი პრაქტიკული ღონისძიებების გამოვლენა და განხორციელება;
- ✓ პირადი დაცვის აღჭურვილობის არსებობა და იმის კონტროლი, რომ თანამშრომლები მათ იყენებენ.

უნდა ამოქმედდეს გამოვლენილი კონტროლის მექანიზმები. ყველა რისკის აღმოფხვრა შეუძლებელია, საჭიროა ყველა „გონივრულად შესაძლებელი" ღონისძიების გატარება ადამიანების ზიანისგან დასაცავად. ეს ნიშნავს, რომ დაცული უნდა იყოს ბალანსი რისკის დონესა და იმ ზომებს შორის, რომლებიც საჭიროა რეალური რისკის გასაკონტროლებლად ფულის, დროის ან პრობლემების თვალსაზრისით.

დასკვნების აღრიცხვა

აუცილებელია მნიშვნელოვანი დასკვნების აღრიცხვა, მათ შორის:

- ✓ საფრთხეები;
- ✓ ვინ და როგორ შეიძლება დაზარალდეს;
- ✓ რა კეთდება რისკების გასაკონტროლებლად.

განსახილველი კონტროლის მექანიზმები

დანერგილი კონტროლის მექანიზმები უნდა შემოწმდეს, რომ დადასტურებული იყოს მათ ქმედითობა. კონტროლის მექანიზმების დამატებითი განხილვა საჭიროა, თუ:

- ✓ ისინი აღარ არის ეფექტური;
- ✓ სამუშაო სივრცეში ხდება ცვლილებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ახალი რისკები, მათ შორის ცვლილებები:
    - o პერსონალში;
    - o პროცესში;
    - o გამოყენებულ ნივთიერებებში ან აღჭურვილობაში.

რისკის შეფასების ჩანაწერი უნდა განახლდეს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად (რისკის შეფასების გადახედვა საჭიროა ყოველ 10 დღეში მაღალი რისკის საქმიანობებისთვის - მშენებლობა შედის მაღალი რისკის საქმიანობების სიაში).

6.2. შესყიდვა

შრომის უსაფრთხოების რისკების მინიმიზაციის მიზნით, საკანონმდებლო და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მოთხოვნები აწესებს კონკრეტულ ვალდებულებებს დანადგარების, აღჭურვილობისა და მასალების პროექტირებაზე, წარმოებასა და მიწოდებაზე. დანადგარების, აღჭურვილობისა და მასალების მომხმარებლებს უნდა ქონდეთ შესაბამისი გარანტიები და მკაფიო ინსტრუქციები მათი უსაფრთხო გამოყენებისთვის.

6.3. ცვლილების მართვა

ცვლილებების გავლენა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის რისკებზე იქნება დოკუმენტირებული და აღქმადი. ყველა მოთხოვნა ისეთი ელემენტების ცვლილებების შესახებ, როგორიცაა პროექტირების საფუძველი, პროექტირების კრიტერიუმები, ძირითადი მასალები, სპეციფიკაციებისა და ნახაზების მიმართ მოთხოვნები, ობიექტზე მოქმედი წესები, შრომის უსაფრთხოების ძირითადი კანონმდებლობა და ა.შ. სისტემატურად გადაიხედება შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ და შესაბამისად აისახება წინამდებარე გეგმაში.

ასევე, საჭიროა მოხდეს იმ ცვლილებების გამოვლენა და მართვა, რომლებიც ეხება დანადგარებს, აღჭურვილობას, პროცესებს, ორგანიზაციულ სტრუქტურას, აქტივობებს, პროდუქტებს, მომსახურებას, ფიზიკურ გარემოს, თანამშრომლებსა და ქვეკონტრაქტორებს, და რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ შრომის უსაფთხოებაზე და შესაბამისი ცვლილებები აისახება წინამდებარე გეგმაში, ცვლილებების შესახებ ეცნობება ობიექტზე დასაქმებულ შესაბამის თანამშრომლებს. ტრენინგი და ინფორმირებულობა

7 ტრენინგი და ინფორმირებულობა

7.1. ტრენინგი

შრომის უსაფრთხოების მენეჯერი შეიმუშავებს სასწავლო გეგმას, რომელშიც, მოცემული იქნება პერსონალის შესაფერისი შრომის უსაფრთხოებაზე ორიენტირებული ტრენინგისა და განათლების მიმართ მოთხოვნები, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

შრომის უსაფრთხოების ტრენინგი წარმოადგენს უსაფრთხოების დაცვის ეფექტურობის მიღწევის ძირითად ელემენტს. აქედან გამომდინარე, ყველა პერსონალს მოეთხოვება გაიაროს პირველადი შრომის უსაფრთხოების ტრენინგი და/ან დაამტკიცოს, რომ ასეთი ტრენინგი წარსულში აქვს გავლილი. კომპანიის შრომის უსაფრთხოების მენეჯერის მოვალეობაში შედის უზრუნველყოს, რომ ყველა თანამშრომელმა გაიაროს საჭირო ტრენინგი, როგორც, ეს მითითებულია წინამდებარე გეგმაში.

სამსახურში აყვანილ ყველა თანამშრომელს უნდა ჰქონდეს გავლილი გრაფიკით გაწერილი ტრენინგი და/ან წარმოადგინოს საკმარისი მტკიცებულება, რომ ტრენინგი ჩაუტარდა სამუშაოზე მობილიზაციამდე.

ახალ დავალებაზე დანიშნული თანამშრომლებისა ტრენინგი

კომპანია უზრუნველყოფს, რომ დასაქმებულები იყვნენ სათანადოდ მომზადებული და ინფორმირებული ახალი დავალებების შესრულების დაწყებამდე, რათა მათ შეძლონ გააცნობიერონ სამუშაოსთან დაკავშირებული საფრთხეები და დაიცვან საკუთარი ჯანმრთელობა პოტენციური საფრთხის მატარებელი გარემო ფაქტორებისგან.

ტრენინგი უნდა მოიცავდეს:

- ✓ მასალების, აღჭურვილობისა და ხელსაწყოების ცოდნას;

- ✓ ცნობილ საფრთხეებს ოპერაციებში და მათი კონტროლის გზებს;
- ✓ ჯანმრთელობის მიმართ პოტენციურ რისკებს;
- ✓ სიფრთხილის ზომებს პრევენციისთვის;
- ✓ სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს;
- ✓ დამცავი აღჭურვილობისა და ტანსაცმლის გამოყენებას;
- ✓ სათანადო რეაგირებას ექსტრემალურ ოპერაციულ პირობებზე, ინციდენტებსა და ავარიებზე.

ტრენინგის განრიგში მითითებული ტრენინგის გარდა, კომპანიის ყველა პერსონალს მოეთხოვება ზოგადი უსაფრთხოების ტრენინგზე დასწრება, რომელსაც, კომპანიის შრომითი უსაფრთხოების მენეჯერი უზრუნველყოფს სამუშაოს დაწყებამდე. დამატებითი ტრენინგი უნდა ჩაუტარდეს მენეჯმენტს, სადაც, ყურადღება გამახვილებული იქნება ლიდერობის საკითხებზე და უსაფრთხოების ანალიზზე.

ყველა ვიზიტორს ჩაუტარდება უსაფრთხოების ზოგადი ტრენინგი, რომელიც აღწერს უსაფრთხოების მოთხოვნებს, შეზღუდვებს და პირადი დაცვის საშუალებების მოთხოვნებს. ობიექტზე იწარმოება ვიზიტორთა ჟურნალი.

7.2. სპეციალიზებული ტრენინგი

საჭიროების შემთხვევაში, უნდა ჩატარდეს სპეციალიზებული ტრენინგი კონკრეტული დავალებების შესასრულებლად. სპეციალიზებული ტრენინგი მოიცავს ისეთ თემებს, როგორებიცაა რესპირატორების გამოყენება, დახურულ სივრცეში მუშაობა, სახიფათო ნარჩენების მართვა, ვარდნისგან დამცავი საშუალებების ტარება და კანცეროგენად მიჩნეულ ქიმიკატებთან მუშაობა, ან ნებისმიერი სხვა ტრენინგი, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევს შრომითი უსაფრთხოების დეპარტამენტი ან უშუალო ხელმძღვანელობა. დოკუმენტაციის წარმოება ევალება შრომითი უსაფრთხოების დეპარტამენტს.

7.3. საფრთხეების შესახებ პერსონალის ინფორმირება

პროექტში დასაქმებულ ყელა თანამშრომელს აქვს უფლება, მიიღოს ინფორმაცია მის სამუშაო სივრცეში არსებული საფრთხეების შესახებ. სამუშაო სივრცეში გამოყენებული ყველა ქიმიკატი უნდა შეფასდეს და მოხდეს მისი დაშვება გამოყენებამდე. ტრენინგი უნდა ჩაუტარდეს იმ თანამშრომლებს, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ ან შეხება აქვთ ამ ქიმიკატებთან.

საშიში ქიმიკატების შესყიდვისა და მათი ობიექტზე მიტანისას, პროექტის შესყიდვების დეპარტამენტი და თითოეული მონაწილე ქვეკონტრაქტორი ვალდებულია, მიაწოდოს შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტს შესაბამისი უსაფრთხოების მონაცემთა ფორმა (MSDS) და მტკიცებულება, რომ თანამშრომლებს, რომლებსაც, შეიძლება შეხება ჰქონდეთ ამ მასალებთან, გავლილი აქვთ ტრენინგი. შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები მიაწვდიან კომპანიის პროექტებზე დასაქმებულ თანამშრომლებს ინფორმაციას და გაუწევენ პროფესიულ მხარდაჭერას.

ობიექტზე უსაფრთხოების მონაცემთა ფორმის (SDS/MSDS) გარეშე მიწოდებული ქიმიკატები უნდა განთავსდეს სპეციალურად გამოყოფილ საწყობში და აიკრძალოს მისი გამოყენება, აღნიშნული დოკუმენტაციის მიღებამდე.

7.4. ვიზიტორები

კომპანიის სამშენებლო ობიექტებზე შესვლამდე, ვიზიტორებს მოეთხოვებათ გაიარონ ვიზიტორთა ინსტრუქტაჟი, რომელიც მოიცავს:

- ✓ პროექტის გარემოსდაცვითი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მოთხოვნებს;
- ✓ შრომის უსაფრთხოების ზოგად მოთხოვნებს და წესებს;
- ✓ შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებს, რომლებიც განსაზღვრულია სპეციფიკურ უბანზე შესვლისთვის;
- ✓ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და ევაკუაციის პროცედურებს;
- ✓ მიწოდებული პირადი დამცავი აღჭურვილობის (პდა)გამოყენებას.

ინსტრუქტაჟს ჩვეულებრივ ატარებს შრომითი უსაფრთხოების მენეჯერის მიერ დანიშნული უფლებამოსილი პირი (შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი).

7.5. შრომითი უსაფრთხოების განათლება

კომპანიის მიზანია გაზარდოს თანამშრომელთა ცნობიერება და ცოდნა უსაფრთხო და ჯანსაღი ქცევის შესახებ. ცნობიერების ამაღლებით კომპანია უზრუნველყოფს, რომ კომპანიაში დასაქმებულები მუშაობენ პროდუქტიულად და უსაფრთხოდ. გარემოსდაცვითი, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პერსონალისთვის ცნობიერების ამაღლება უზრუნველყოფილი იქნება პერსონალისთვის გარემოსდაცვითი, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებით, რომელიც მოიცავს სამუშაო და არასამუშაო საქმიანობებს.

8 პირადი დაცვის აღჭურვილობა

პირადი დაცვის აღჭურვილობა (პდა) ხელმისაწვდომი იქნება სამშენებლო მოედანზე დასაქმებული ყველა დასაქმებულისთვის და მათი ტარება სავალდებულო იქნება. პირადი დაცვის აღჭურვილობად განისაზღვრება, აღჭურვილობა, რომელიც უნდა ეცვას პერსონალს სამუშაოსთან დაკავშირებული საფრთხეებისგან დასაცავად, რათა არ მიადგეს ზიანი მათ ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას.

პირადი დაცვის აღჭურვილობის გამოყენება სავალდებულოა. ყველა გაცემულ აღჭურვილობაზე პასუხს აგებს მიმღები, რომელმაც აღჭურვილობის ვარგისიანობა უნდა შეინარჩუნოს. შემთხვევითი ან მექანიკური დაზიანების შემთხვევაში, დეფექტური აღჭურვილობის შესახებ უნდა ეცნობოს ობიექტის შრომითი უსაფრთხოების მენეჯერს რომ მოხდეს მისი შეცვლა.

პირადი დაცვის აღჭურვილობა გაიცემა მუშაობის დაწყებისას და უნდა შეიცვალოს ცვეთის შესაბამისად. ობიექტზე დასაქმებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი შეაფასებს, თუ რა შემთხვევაშია საჭირო სპეციალური პირადი დაცვის აღჭურვილობის გამოყენება, იმ

მინიმალურ მოთხოვნის გარდა, რაც ჩვეულებრივ დავალების შესასრულებლად არის განსაზღვრული.

სამშენებლო მოედანზე პერსონალი ზოგადი პირადი დაცვის აღჭურვილობა მოიცავს:

- ✓ ჩაფხუტი;
- ✓ ჩექმა ფოლადის ცხვირით;
- ✓ დამცავი სათვალე;
- ✓ სმენის დაცვა (საჭიროების შემთხვევაში);
- ✓ ამრეკლი ჟილეტი;
- ✓ ხელთათმანები;
- ✓ რეზინის ჩექმები ფოლადის ცხვირით (წყალში/წყალთან ახლოს მუშაობისას);
- ✓ რესპირატორი (საჭიროების შემთხვევაში).

ყველა ვიზიტორს, მენეჯმენტის ჩათვლით, მოეთხოვება ატაროს მინიმალური პირადი დაცვის აღჭურვილობა, როგორიცაა:

- ✓ ჩაფხუტები;
- ✓ დამცავი ფეხსაცმელი ან ჩექმები;
- ✓ ამრეკლი ჟილეტი;
- ✓ ყურის საცობები ან დამხშობები (საჭიროების შემთხვევაში).

სხვა სპეციფიკური პირადი დაცვის აღჭურვილობა გაიცემა სამუშაო დისციპლინისა და მასთან დაკავშირებული რისკების მიხედვით.

8.1. დამცავი სათვალე

- ✓ სათვალე/თვალის დამცავი ფარი/სახის დამცავი ფარი, რომელიც შექმნილია თქვენი თვალების დასაცავად მტვრისგან, მფრინავი ნაწილაკებისგან, გამდნარი მასალებისგან, სითხეებისგან, ორთქლისგან ან მავნე სინათლისა და თბური გამოსხივებისგან გამოიყენება სამუშაო პროცესში.
- ✓ დასაქმებული მუდმივად უნდა ამოწმებდეს თან აქვს თუ არა შესაფერისი თვალის დამცავი საშუალება და მას უნდა იყენებდეს დანიშნულებისამებრ.
- ✓ შედუღების, გაშალაშინების, ლესვის დროს და ა.შ. სამუშაო სივრცე უნდა გაკონტროლდეს, რომ დაცულ იქნას სიახლოვეს მყოფი დანარჩენი პერსონალი.
- ✓ შემდუღებლის მუშაობაზე დაკვირვება დაუცველი თვალებით რეკომენდირებული არ არის.
- ✓ გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ დაცვის ერთი ტიპი შესაფერისი არ არის ყველა სახის რისკისთვის. მაგალითად, დარტყმის მიმართ მედეგმა სათვალეებმა შეიძლება არ დაიცვას დასაქმებული სითხის შხეფებისგან.

8.2. სმენის დაცვა

ხმამაღალი ხმაურის ხანგრძლივმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს სმენის სამუდამო დაზიანება. სმენის დამცავი საშუალებები უნდა იყოს გამოყენებული დანიშნულ ადგილებში (=> 84 DB/A) და სადაც შეიძლება არსებობდეს მაღალი დონის ხმაური, მაგალითად, კომპრესორების და ელექტროინსტრუმენტების სიახლოვეს.

- ✓ დასაქმებულმა, მაღალი დონის ხმაურის პირობებში მუშაობის დროს, უნდა ატაროს სმენის დამცავი და დარწმუნდეს მის სწორად მორგებაში,
- ✓ სმენის დამცავი უნდა გამოიყენებოდეს ხმაურიან ზონაში შესვლამდე,
- ✓ სმენის დამცავი უნდა ინახებოდეს სუფთად და კარგ მდგომარეობაში,
- ✓ დაუშვებელია დაბინძურებული ხელებით ყურსასმენის მორგება,
- ✓ არ შეიძლება სმენის დამცავი საშუალების მოხსნა ხმაურიან გარემოში.

8.3. სასუნთქი გზების დაცვა

როდესაც სასუნთქი გზების დაზიანების საშიშროება არსებობს, კომპანია უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დამზადებულირესპირატორული დამცავი აღჭურვილობის მიწოდებას თანამშრომლებისთვის.. კომპანიის ნებისმიერი სამუშაოს დაწყებამდე, პროექტის მენეჯერი აცნობებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს რესპირატორების გამოყენების საჭიროების შესახებ.

შერჩეული თანამშრომელი გაივლის ტრენინგს და კომპანიის მიერ დაინიშნება რესპირატორული აღჭურვილობის შენახვაზე, მოვლა-პატრონობაზე, შემოწმებასა და გაწმენდაზე პასუხისმგებელ პირად.

9 უსაფრთხოების ზოგადი პროცედურები

9.1. ზოგადი ობიექტის დიზაინი და ექსპლუატაცია

სამუშაო ადგილის სტრუქტურების მთლიანობა

აუცილებელია მუდმივი და დროებითი სამუშაო ადგილების დაგეგმარება და აღჭურვა შრომის უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით:

- ✓ ზედაპირები, კონსტრუქციები და დანადგარები უნდა იყოს ადვილად გასაწმენდი და მოსავლელი და არ უნდა ახდენდნენ საშიში ნაერთების აკუმულირებას;
- ✓ შენობები უნდა იყოს კონსტრუქციულად მდგრადი, დაცული კლიმატური პირობების ზემოქმედებისგან და შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ განათებისა და ხმაურის სტანდარტებს;
- ✓ ჭერისა და კედლების მოსაპირკეთებლად უპირატესობა უნდა მიენიჭოს ცეცხლგამძლე, ხმის საიზოლაციო მასალებს;
- ✓ იატაკი უნდა იყოს ჰორიზონტალური, თანაბარი და არ სრიალებდეს;

- ✓ მძიმე ვიბრაციული, მბრუნავი ან ცვლადი აღჭურვილობა უნდა განთავსდეს სპეციალურ შენობებში ან კონსტრუქციულად იზოლირებულ ნაკვეთურებში.

ექსტრემალური ამინდი და ობიექტის დახურვა

- ✓ სამუშაო სივრცეში კონსტრუქციები უნდა იყოს დაპროექტებული და აშენებული ისე, რომ გაუძლოს რეგიონში მოსალოდნელ გარემო პირობებს (კლიმატი, ნიადაგი, ჰიდროლოგია, სეისმომედეგობა) და, საჭიროების შემთხვევაში, ჰქონდეს უსაფრთხო თავშესაფრისთვის გამოყოფილი ზონა;

- ✓ ექსტრემალური ამინდის პირობებში (ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა და სხვა) ობიექტებზე უნდა შეჩერდეს ყველა ტიპის სამუშაო, სამუშაოს გაგრძელება დასაშვებია მხოლოდ ამინდის პირობების გაუმჯობესების შემდგომ;

უსაფრთხო წვდომა

აუცილებელია, რომ შენობების შიგნით და გარეთ არსებული ქვეითი და სატრანსპორტო გასასვლელები იყოს ერთმანეთისგან გამოყოფილი და მარტივად, უსაფრთხოდ და სათანადოდ მისაწვდომი. აღჭურვილობასა და დანადგარებზე, რომლებიც საჭიროებენ მომსახურებას, შემოწმებას და/ან გაწმენდას, უნდა არსებობდეს შეუფერხებელი, შეუზღუდავი და უშუალო წვდომა.კიბეებზე, დაკიდულ კიბეებზე, პლატფორმებზე, იატაკის მუდმივ და დროებით ღიობებზე, დასატვირთ პლატფორმებზე, პანდუსებზე და ა.შ აუცილებელია ხელების, მუხლებისა და ფეხების მოაჯირების დამონტაჟება.

- ✓ ღიობები უნდა ჩაიკეტოს კარიბჭით ან მოსახსნელი ჯაჭვებით.

- ✓ სადაც საგნების ვარდნის საშიშროებაა, უნდა დამონტაჟდეს ჩამოვარდნილი საგნებისგან დამცავი სახურავები (საშიშროებას განსაზღვრავს შრომის უსაფრთხოების მენეჯერი ან/და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი).

- ✓ ზომები უნდა იქნას მიღებული სახიფათო ადგილებში უნებართვო წვდომის თავიდან ასაცილებლად.

სამუშაო ადგილი და გასასვლელი

- ✓ სამშენებლო ობიექტზე მთელი სივრცე საკმარისი უნდა იყოს ყველა საქმიანობის უსაფრთხოდ შესრულებისთვის, მათ შორის მასალების ტრანსპორტირების, პროდუქციის დროებით შესანახად.

- ✓ საევაკუაციო გასასვლელებთან დაკავშირებული დერეფნები ყოველთვის თავისუფალი უნდა იყოს. გასასვლელებზე ნიშნები მკაფიო უნდა იყოს, ისე, რომ მათი დანახვა სრულ სიბნელეში იყოს შესაძლებელი. საევაკუაციო გასასვლელების რაოდენობა და ტევადობა საკმარისი უნდა იყოს ნებისმიერ დროს ობიექტზე მყოფი ადამიანების მაქსიმალური რაოდენობის უსაფრთხო და მოწესრიგებული ევაკუაციისთვის, ხოლო სამუშაო სივრცეებს სულ მცირე, ორი გასასვლელი უნდა ჰქონდეს, სადაც ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია.

- ✓ ასევე ობიექტები უნდა იყოს დაპროექტებული და აშენებული შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებით.

სახანძრო უსაფრთხოება

სამუშაო სივრცის პროექტი უნდა ითვალისწინებდეს ხანძრის გაჩენის პრევენციას, სამშენებლო გარემოსთვის მოქმედი ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების დაცვით. სხვა მნიშვნელოვანი ზომები მოიცავს:

- ✓ საჭიროების შემთხვევაში, ობიექტების აღჭურვა ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორებით, სიგნალიზაციის სისტემებით და ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობით. აღჭურვილობა უნდა ინახებოდეს მუშა მდგომარეობაში და ადვილად ხელმისაწვდომ ადგილზე. ის უნდა შეესაბამებოდეს შენობის ზომასა და ფუნქციას, შენობაში დამონტაჟებულ მოწყობილობებს, არსებული ნივთიერებების ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს და გათვლილი იყოს შენობაში შესაძლო მყოფი ადამიანების მაქსიმალურ რიცხოვნობაზე.
- ✓ უზრუნველყოფილი იყოს ადვილად მისაწვდომი და ადვილად გამოსაყენებელი ხელის ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა.
- ✓ მოწყობილი უნდა იყოს ხმოვანი და ვიზუალური ხანძარსაწინააღმდეგო და განგაშის სისტემები.

სუფთა კვების ზონა

კომპანიის ყველა სამშენებლო ობიექტზე მოეწყობა კვების სუფთა და დაცული ზონა, რათა თავიდან იყოს აცილებული ტოქსიკური ნივთიერებებით პერორალური გზით მოწამვლა და კვებისას სახიფათო ან ტოქსიკურ ნივთიერებებთან კონტაქტი.

განათება

- ✓ პერსონალის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და აღჭურვილობის უსაფრთხო მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით სამუშაო სივრცეები, შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბუნებრივი განათებითა და დამატებითი საკმარისი ხელოვნური განათებით.. დამატებითი „სამუშაო განათება" შეიძლება საჭირო გახდეს იმ შემთხვევებში, როდესაც ხილვადობის კუთხით განსაკუთრებული მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს.
- ✓ აუცილებელია დამონტაჟდეს საკმარისი ინტენსივობის ავარიული განათება, რომელიც მთავარი ხელოვნური განათლების წყაროს ავარიული გათიშვისას ავტომატურად ჩაირთვება, იმისთვის, რომ უზრუნველყოს სამუშაოს უსაფრთხო შეჩერება, ევაკუაცია და ა.შ.

საპირფარეშოები და საშხაპეები

- ✓ ადეკვატური სველი წერტილები (საპირფარეშოები და დასაბანი ზონები) უნდა იყოს გათვლილი დაწესებულებაში მომუშავე ადამიანების სავარაუდო რაოდენობაზე და გათვალისწინებული იყოს განცალკევებული სექციები, ან მითითებები, რომ საპირფარეშო „დაკავებული" თუ „თავისუფალია". ობიექტზე აუცილებლად უნდა იყოს გამოყოფილი ცალკე საპირფარეშო ქალებისთვის. საპირფარეშოები ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკმარისი რაოდენობით ცხელი და ცივი გამდინარე წყლით, საპნით და ხელის საშრობით.

- ✓ იქ, სადაც თანამშრომლები შეიძლება მოიწამლონ ტოქსიკურ ნივთიერებებით პერორალურად და კანზე შეხებით, უნდა იყოს შხაპის მიღების, ასევე ქუჩაში გასვლის ან ქუჩიდან შემოსვლისას სამუშაო ტანისამოსის გამოცვლის საშუალებები.

სასმელი წყლის მიწოდება

- ✓ სასმელი წყლის ადეკვატური მარაგი უნდა იყოს უზრუნველყოფილი ვერტიკალური შადრევნიდან ან სასმელი წყლის შემკრები სანიტარული წერტილებიდან.
- ✓ საკვების მომზადებისთვის ან პირადი ჰიგიენის მიზნებისთვის (დაბანა ან შხაპის მიღება) ოთახებში მიწოდებული წყალი უნდა აკმაყოფილებდეს სასმელი წყლის ხარისხის სტანდარტებს.

პირველადი დახმარება

- ✓ დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს კვალიფიციური პირველადი დახმარების ხელმისაწვდომობა ნებისმიერ დროს. სათანადოდ აღჭურვილი პირველადი სამედიცინო დახმარების სადგურები ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამუშაო ადგილზე.
- ✓ თვალის გამოსარეცხი საშუალებები და/ან სასწრაფო გამოყენების საშხაპეები უნდა განთავსდეს ყველა იმ სამუშაო სივრცის სიახლოვეს, სადაც წყლით ჩამობანა რეკომენდებულია, როგორც პირველადი რეაგირების ზომა.
- ✓ სადაც, ამას მოითხოვს სამუშაოს მასშტაბი ან განსახორციელებელი საქმიანობის ტიპი, აუცილებელია პირველადი დახმარების სპეციალური და სათანადოდ აღჭურვილი საშუალებების უზრუნველყოფა. პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტები და კაბინეტები აღჭურვილი უნდა იყოს ხელთათმანებით, ხალათებითა და ნიღბებით სისხლთან და სხეულის სხვა სითხეებთან პირდაპირი კონტაქტისგან დასაცავად.
- ✓ სამედიცინო დაწესებულებებიდან შორ მანძილზე არსებულ ობიექტებს უნდა ჰქონდეთ გაწერილი პროცედურები ტრავმის ან სერიოზული დაავადების სამართავად მანამ, სანამ პაციენტი სამკურნალოდ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში იქნება გადაყვანილი.

ჰაერის მიწოდება(ჰაერის ცირკულაცია)

- ✓ შიდა და დახურული სამუშაო სივრცეები უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკმარისი სუფთა ჰაერით. ვენტილაციის პროექტირებისას გასათვალისწინებელი ფაქტორები მოიცავს ფიზიკურ აქტივობას, გამოყენებულ ნივთიერებებს და პროცესთან დაკავშირებულ ემისიებს. ჰაერის განაწილების სისტემები ისე უნდა იყოს დაპროექტებული, რომ დასაქმებულები არ მოყვნენ ორპირ ქარში.
- ✓ მექანიკური ვენტილაციის სისტემები უნდა იყოს გამართულ მუშა მდგომარეობაში. უსაფრთხო გარემოს შესანარჩუნებლად საჭირო სტაციონარული გამწოვი სისტემები აღჭურვილი უნდა იყოს ადგილობრივი ინდიკატორებით, რომლითაც შემოწმდება აღჭურვილობის სწორი ფუნქციონირება.

- ✓ დაუშვებელია დაბინძურებული ჰაერის ჩაკეტილ ციკლში ცირკულაცია. ჰაერის შესასვლელი ფილტრები უნდა იყოს სუფთა და თავისუფალი მტვრისგან და მიკროორგანიზმებისაგან. გათბობის, ვენტილაციისა და კონდიცირების (HVAC) და სამრეწველო აორთქლებით გაგრილების სისტემების აღჭურვა, მომსახურება და ფუნქციონირება იმგვარი უნდა იყოს, რომ არ მოხდეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის საშიში პათოგენების ზრდა და გავრცელება (მაგ. Covid 19, ლეგიონელა, პნევმოფილია) ან გადამტანი ცხოველების გამრავლება (მაგალითად, კოღოები და ბუზები).

ტემპერატურა

სამუშაო ოთახებში, დასასვენებელ ოთახებში და საყოფაცხოვრებო ოთახებში სამუშაო საათებში ტემპერატურა უნდა შენარჩუნდეს ოთახის დანიშნულების შესაბამის დონეზე.

ტერიტორიის მონიშვნა

- ✓ სახიფათო ზონებზე (ელექტროტექნიკური დანიშნულების ოთახები, კომპრესორების ოთახები და ა.შ.), დანადგარებზე, მასალებზე, უსაფრთხოების საშუალებებზე, საავარიო გასასვლელებზე და ა.შ. აუცილებელია შესაბამისი ნიშნების არსებობა.
- ✓ ნიშანი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, იყოს კარგად ნაცნობი და გასაგები თანამშრომლებისთვის, ვიზიტორებისთვის და ზოგადად მოსახლეობისთვის.

აღჭურვილობის მარკირება

- ✓ ყველა კონტეინერი, რომელიც შეიძლება შეიცავდეს ნივთიერებებს, რომლებიც, წარმოადგენენ საშიშროებას მათი ქიმიური ან ტოქსიკოლოგიური თვისებების, ტემპერატურის ან წნევის გამო, უნდა იყოს მარკირებული, შიგთავსისა და საფრთხის მითითებით, ან შესაბამისი ფერის კოდით.

9.2. ფიზიკური საფრთხეები

ფიზიკური საფრთხე არის ავარიის, ტრავმის ან ავადმყოფობის ალბათობა, რომელიც, გამოწვეულია განმეორებადი ხასიათის მექანიკური ზემოქმედებით ან სამუშაო აქტივობით. ფიზიკური საფრთხეების ერთჯერადმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს დაზიანებების ფართო სპექტრი, დაწყებული მცირედით, რომელიც მხოლოდ სამედიცინო დახმარების საჭიროებით შემოიფარგლება და დამთავრებული ინვალიდობის გამომწვევი, კატასტროფული და/ან ფატალური შედეგებით. ხანგრძლივი დროის განმავლობაში განმეორებადმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს მსგავსი სიმძიმისა და შედეგების დაზიანებები.

მბრუნავი და მოძრავი აღჭურვილობა

დაზიანებები ან სიკვდილი შეიძლება მოჰყვეს მანქანის ნაწილებში გაჭედვას, ჩახლართვას ან დარტყმას, აღჭურვილობის მოულოდნელი ამუშავების შემთხვევაში ან ექსპლუატაციის დროს არათვალსაჩინო მოძრაობის გამო.

რეკომენდებული დამცავი ზომები მოიცავს:

- ✓ დანადგარების იმგვარად კონსტრუირება, რომ აღმოიფხვრას მასში გაჭედვის საშიშროება და უზრუნველყოფილი იყოს კიდურების უსაფრთხოება ნორმალურ სამუშაო პირობებში. სწორი კონსტრუქციის იდეები მოიცავს ორი ხელის ბერკეტზე მომუშავე დანადგარის ინსტალირებას, რაც უზრუნველყოფს ამპუტირების პრევენციას , ან უზრუნველყოფილი უნდა იყოს დანადგარის ავარიული გამომრთველის მოწყობა, რომელიც განთავსდება ხელმისაწვდომ ადგილებში. თუ დანადგარს ან მოწყობილობას აქვს გარე მოძრავი ნაწილები ან დაუცველი მომჭერი წერტილი, რამაც, შეიძლება საფრთხე შეუქმნას ნებისმიერი მუშის უსაფრთხოებას, ამგვარი დანადგარი ან მოწყობილობა უნდა აღიჭურვოს და დაცული იყოს ფარით ან სხვა მოწყობილობით, მოძრავ ნაწილებზე ან მომჭერ წერტილებზე წვდომის შეზღუდვის მიზნით. მცველები უნდა იყოს დაპროექტებული და დამონტაჟებული დანადგარების უსაფრთხოების შესაბამისი სტანდარტების დაცვით.
- ✓ იმ დანადგარების გამორთვა, გათიშვა, იზოლაცია და კვების წყაროდან გამორთვა (გამორთვა და ექსპლუატაციიდან გამოყვანა), რომლებსაც დაუცველი ან დაცული მოძრავი ნაწილები აქვს, ან, რომლებსაც შეუძლიათ ენერგიის შენახვა (მაგ. შეკუმშული ჰაერი, ელექტრო კომპონენტები).
- ✓ სადაც შესაძლებელია, რუტინული მომსახურებისთვის - როგორიცაა შეზეთვა - ისეთი აღჭურვილობის კონსტრუირება და მონტაჟი, რომლებიც არ მოითხოვს დამცავი საშუალებების ან მექანიზმების მოხსნას.

ხმაური

ხმაურის ზღვრული მაჩვენებლები სხვადასხვა სამუშაო გარემოსთვის რეკომენდირებული მაჩვენებლებით მოცემულია ქვემოთ.

- ✓ არც ერთი თანამშრომელი არ უნდა მოხვდეს 85 dB(A)-ზე მეტი ხმაურის ზემოქმედების პირობებში დღეში 8 საათზე მეტი ხნის განმავლობაში, სმენის დაცვის გარეშე. გარდა ამისა, სმენის დაცვის გარეშე, ხმოვანი წნევის ზღვრულმა დონემ (მყისიერი) არ უნდა გადააჭარბოს 140 dB(C)-ს.
- ✓ სმენის დაცვა აქტიურად უნდა იქნას გამოყენებული, როდესაც 8-საათზე ხანგრძლივი ეკვივალენტური ხმაურის დონე აღწევს 85 dB(A)-ს, ხმაურის ზღვრული დონე აღწევს 140 dB(C) ან საშუალო მაქსიმალური ხმაურის დონე აღწევს 110 dB(A)-ს. მიწოდებულმა სმენის დამცავმა აღჭურვილობამ ყურთან ხმაურის დონე უნდა შეამციროს, როგორც მინიმუმ, 85 dB(A)-მდე.
- ✓ მიუხედავად იმისა, რომ სმენის დაცვა სასურველია 85 dB(A)-ზე მეტი ხმაურის ზემოქმედებისას ნებისმიერ დროს, დაცვის ეკვივალენტური დონის მიღება შესაძლებელია ხმაურის ზემოქმედების ხანგრძლივობის შეზღუდვით, თუმცა ეს მეთოდი უფრო რთულია მართვის კუთხით. ხმაურის დონის ყოველი 3 dB(A) ერთეულით გაზრდისას, „დასაშვები“ ზემოქმედების პერიოდი ან ხანგრძლივობა უნდა შემცირდეს 50 %-ით.
- ✓ სმენის დაცვის, როგორც კონტროლის საბოლოო მექანიზმის გაცემამდე, საჭიროა აკუსტიკური საიზოლაციო მასალების გამოყენების, ხმაურის წყაროს იზოლაციისა და სხვა ტექნიკური საშუალებების შესწავლა და დანერგვა, სადაც ეს შესაძლებელია.

- ✓ ხმაურის მაღალ დონეზე მომუშავე პერსონალს პერიოდული სამედიცინო სმენის შემოწმება უნდა ჩაუტარდეს.

ხმაურის სარეკომენდაციო შეზღუდვები სხვადასხვა სამუშაო გარემოსთვის

ადგილმდებარეობა/საქმიანობა	ეკვივალენტური დონე LA_{eq}, 8სთ	მაქსიმალური მნიშვნელობა LA_{max}, სწრაფი
მძიმე მრეწველობა (არ არის სიტყვიერი კომუნიკაციის მოთხოვნა)	85 დბ(ა)	110 დბ(ა)
მსუბუქი მრეწველობა (შემცირებული სიტყვიერი კომუნიკაციის მოთხოვნა)	50-65 დბ(ა)	110 დბ(ა)
ღია კაბინეტები, საკონტროლო ოთახები, მომსახურების დახლები ან მსგავსი	45-50 დბ(ა)	-
პირადი კაბინეტები, საკონტროლო ოთახები, მომსახურების დახლები ან მსგავსი	40-45 დბ(ა)	-
პირადი კაბინეტები (ხელისშემშლელი ხმაური არ უნდა იყოს)	35-40 დბ(ა)	-
საკლასო ოთახები, სალექციო აუდიტორიები საავადმყოფოები	30-35 დბ(ა)	40 დბ(ა)

ვიბრაცია

ხელზე და მკლავზე გადამცემი ვიბრაცია ისეთი აღჭურვილობისგან, როგორიცაა ხელის ელექტრო ხელსაწყოები, ან მთელი სხეულზე გადამცემი ვიბრაცია ზედაპირებიდან, რომლებზეც დგას ან ზის მუშა, უნდა კონტროლდებოდეს აღჭურვილობის შერჩევით, ვიბრაციის ჩამხშობი ბალიშებით ან მოწყობილობებით და ზემოქმედების დასაშვები ხანგრძლივობის ლიმიტების დაწესებით. ვიბრაციისა და ზემოქმედების ზღვრული მნიშვნელობები. ზემოქმედების დონეები უნდა შემოწმდეს ყოველდღიური ზემოქმედების დროისა და აღჭურვილობის მწარმოებლების მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე.

ელექტრობა

ღია ან გაუმართავმა ელექტრო მოწყობილობებმა, როგორიცაა ამომრთველები, პანელები, კაბელები, სადენები და ხელის ინსტრუმენტები, შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნას

მუშებს. საჰაერო ელექტროხაზებს შეიძლება მოხვდეს ლითონის საგნები, როგორიცაა ბოძები ან კიბეები, აგრეთვე ,სატრანსპორტო საშუალებებს ან დამიწებული ლითონის ობიექტების საჰაერო ელექტროხაზებთან სიახლოვემ შეიძლება გამოიწვიოს გაყვანილობასა და ობიექტს შორის კონტაქტის გარეშე რკალის წარმოქმნა. რეკომენდებული ღონისძიებები მოიცავს:

- ✓ ყველა კვების ბლოკზე მიერთებული ელექტრომოწყობილობებისა და ხაზების მონიშვნა გამაფრთხილებელი ნიშნებით;
- ✓ მოწყობილობების ბლოკირება (განმუხტვა და ღიად დატოვება საკონტროლო ჩამკეტი მოწყობილობით) და მარკირება (საკეტზე გამაფრთხილებელი ნიშნის მოთავსება) ტექნიკური მომსახურების ან შეკეთების დროს;
- ✓ ყველა ელექტროსადენის, კაბელისა და ხელის ელექტრო ხელსაწყოს შემოწმება დაზიანებული ან ღია სადენების არსებობაზე და მწარმოებლის რეკომენდაციების დაცვა პორტატული ხელის ხელსაწყოების მაქსიმალურ დასაშვებ სამუშაო ძაბვასთან მიმართებით;
- ✓ ნესტიან ან პოტენციურად ნესტიან გარემოში გამოყენებული ყველა ელექტრული აღჭურვილობის ორმაგი იზოლაცია/დამიწება; დამცველი ამომრთველი მოწყობილობით (GFI) აღჭურვილი სქემების მქონე მოწყობილობების გამოყენება.
- ✓ დენის სადენებისა და დამაგრძელებლების დაზიანებისგან დაცვა ფარებით ან მოძრავი უბნების ზემოთ დაკიდების გზით;
- ✓ იმ სერვის სივრცეების სათანადო მარკირება, სადაც, მაღალი ძაბვის აღჭურვილობაა განთავსებული („დენის დარტყმის საშიშროება“) და სადაც შესვლა კონტროლირებადი ან აკრძალულია;
- ✓ „აკრძალული ზონების“ დაწესება მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების ირგვლივ ან მის ქვეშ ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად. რეზინის საბურავებიან კონსტრუქციებს ან სხვა მანქანებს, რომლებიც, უშუალო კონტაქტში შედის მაღალი ძაბვის სადენებთან ან მათ შორის რკალთან, შეიძლება დასჭირდეთ 48 საათის განმავლობაში ექსპლუატაციიდან გამოყვანა და საბურავების შეცვალა, საბურავისა და ბორბლის კომპლექტის კატასტროფული დაზიანების პრევენციის მიზნით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ტრავმა ან ლეტალური შედეგი;
- ✓ საჭიროა ყველა მიწისქვეშა ელექტრო გაყვანილობის დეტალური იდენტიფიკაცია და მარკირება ნებისმიერი გათხრითი სამუშაოების დაწყებამდე.

ნომინალური ფაზათაშორისო ძაბვის მაჩვენებელი	მინიმალური მანძილი
750 ან მეტი ვოლტი, მაგრამ არაუმეტეს 150,000 ვოლტი	3 მეტრი
150,000 ვოლტზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 250000 ვოლტზე	4.5 მეტრი

250,000 ვოლტზე მეტი	6 მეტრი

შედუღება/ცხელი დამუშავება

შედუღება ქმნის უკიდურესად კაშკაშა და ინტენსიურ ნათებას, რომელსაც, შეუძლია სერიოზულად დააზიანოს დასაქმებულის მხედველობა. ექსტრემალურ შემთხვევებში, შეიძლება გამოიწვიოს დაბრმავება. გარდა ამისა, შედუღებამ შეიძლება წარმოქმნას ტოქსიკური კვამლი, რომლის ხანგრძლივმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ქრონიკული დაავადებები.

რეკომენდებული ზომები მოიცავს:

- ✓ თვალის დაცვის შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფას, როგორიცაა, შედუღებისთვის განკუთვნილი სათვალე და/ან თვალის ფარი, ყველა პერსონალისთვის, რომელიც მონაწილეობს ან ეხმარება შედუღების სამუშაოებში. დამატებითი მეთოდები შეიძლება მოიცავდეს შედუღების ბარიერული ეკრანების გამოყენებას კონკრეტული სამუშაო ადგილის ირგვლივ (მყარი მსუბუქი ლითონი, ბრეზენტი ან ფანერა, რომელიც შედუღებისას წარმოქმნილი გამოსხივების გავრცელებას ზღუდავს). შესაძლოა საჭირო გახდეს მოწყობილობები, რომლებიც წყაროდან ტოქსიკური კვამლს მოაცილებს და განდევნის.
- ✓ თუ შედუღება ან ცხელი ჭრა ხორციელდება შედუღებისთვის სპეციალურად გამოყოფილი სივრცეების გარეთ, საჭირო იქნება სპეციალური ცხელი დამუშავებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ზომების მიღება, ეს მოიცავს „ცხელი დამუშავების ნებართვებს“, ადგილზე ცეცხლმაქრების არსებობას, ადგილზე ხანძარსაწინააღმდეგო დაცვას, და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის უზრუნველყოფას შედუღების ან ცხელი ჭრის დასრულებიდან ერთი საათის განმავლობაში. იმ ავზების ან რეზერვუარების ცხელი დამუშავება, რომლებშიც აალებადი მასალები ინახებოდა, სპეციალურ პროცედურებს მოითხოვს.

ავტომობილების მართვა და ობიექტებზე ავტომობილების მოძრაობა (ნაკადები)

მშენებლობისთვის საჭირო მანქანებზე მომუშავე ცუდად გაწვრთნილი ან გამოუცდელი მძღოლები სხვა სატრანსპორტო საშუალებებთან, ქვეითებთან და აღჭურვილობასთან შეჯახების რისკს ზრდიან. სამშენებლო და მიწოდებაზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებები, ისევე, როგორც ობიექტის ტერიტორიაზე არსებული კერძო ავტომობილები, ასევე ქმნიან პოტენციური ავარიის რისკს. სამშენებლო ტექნიკის მართვისა და სამშენებლო მოედანზე საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრაქტიკა მოიცავს:

- ✓ სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების ოპერატორების სწავლებას და ლიცენზირებას;
- ✓ სპეციალიზებული სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო მართვას, როგორიცაა ორკაპა სატვირთველები, მათ შორის, უსაფრთხო ჩატვირთვას/გადმოტვირთას, ზღვრულ დატვირთვას.
- ✓ მძღოლების სამედიცინო შემოწმების უზრუნველყოფას.

- ✓ შეზღუდული უკანა ხილვადობის მქონე მოძრავი ტექნიკის უზრუნველყოფას უკუსვლის ხმოვანი სიგნალით.
- ✓ გავლის უფლებების, ობიექტზე სიჩქარის შეზღუდვების, სატრანსპორტო ინსპექტირების მოთხოვნების, ექსპლუატაციის წესებისა და პროცედურების დაწესებას და მოძრაობის სქემებისა ან მიმართულების კონტროლს.
- ✓ სატვირთო და კერძო მანქანების მოძრაობის შეზღუდვას გარკვეულ მარშრუტებზე და ზონებში, საჭიროების შემთხვევაში „ცალმხრივი“ მოძრაობის ხელშეწყობას.

სამუშაო გარემოს ტემპერატურა

სიცხეში ან სიცივეში მუშაობამ შეიძლება თერმული დაზიანება ან სიკვდილი გამოიწვიოს. სხვა პროფესიული საფრთხისგან დაცვის მიზნით გამოყენებულმა პირადი დაცვის აღჭურვილობამ (პდა) შეიძლება გააძლიეროს ან გაამწვავოს სიცხესთან დაკავშირებული დაავადებები. მუდმივ სამუშაო სივრცეში ექსტრემალური ტემპერატურების პრევენცია ტექნიკური კონტროლისა და ვენტილაციის საშუალებით უნდა მოხდეს. იქ, სადაც ეს შეუძლებელია, მაგ. მოკლევადიანი გარე სამუშაოები, საჭირო იქნება ტემპერატურული ზემოქმედების მართვის პროცედურების დანერგვა, რაც მოიცავს:

- ✓ გარე სამუშაოების წარმოებისას, ამინდის პროგნოზის მონიტორინგს ექსტრემალური კლიმატური პირობების შესახებ ადრეული გაფრთხილებისა და სამუშაოების შესაბამისად დაგეგმვისთვის.
- ✓ მუშაობისა და დასვენების პერიოდების ცვლილებას ტემპერატურული ზემოქმედების შესაბამისად, ტემპერატურისა და დატვირთვის გათვალისწინებით.
- ✓ დროებითი თავშესაფრების უზრუნველყოფას ამინდისგან დასაცავად მუშაობის დროს ან დასასვენებელ ზონებად გამოყენებისთვის.
- ✓ დამცავი ტანსაცმლის გამოყენებას.
- ✓ ადეკვატური ჰიდრატაციის მარტივი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, როგორიცაა, სასმელი წყალი ან ელექტროლიტური სასმელები და ალკოჰოლური სასმელების მიღების აკრძალვას სამშენებლო ობიექტზე სამუშაო საათების დროს.

ერგონომიკა, ხელით მართვა

ერგონომიული ფაქტორებით გამოწვეული დაზიანებები, როგორიცაა განმეორებადი მოძრაობა, გადატვირთვა და ხელით მართვა, ვითარდება გახანგრძლივებული და განმეორებადი ზემოქმედების შედეგად და, როგორც წესი, მკურნალობა რამდენიმე კვირას ან თვეებს მოითხოვს. აღნიშნული შრომის უსაფრთხოების საკითხები მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი ან სრულად აღმოიფხვრას, იმისთვის, რომ პროდუქტიული სამუშაო სივრცე შენარჩუნდეს. კონტროლის ზომები შეიძლება მოიცავდეს:

- ✓ ობიექტებისა და სამუშაო ადგილების დაპროექტებას იმგვარად, რომ დაცული იყოს 5% და 95% თანაფარდობა ოპერაციებზე დასაქმებულ მუშებსა და ტექნიკური მომსახურე მუშებს შორის.

- ✓ მასალების აწევისას ხელსაწყოებისა და სამუშაო საგნების დაჭერისას, და ასევე ოპერაციებში, რომელიც, მოითხოვს რამდენიმე ადამიანის ჩართვას, რადგან წონა აღემატება დაწესებულ ლიმიტებს, მექანიკური დამხმარე საშუალებების გამოყენებას მუშის გადატვირთვის აღმოსაფხვრელად ან შესამცირებლად.
- ✓ ისეთი ინსტრუმენტების შერჩევას და შემუშავებას, რომლებიც ამცირებენ ძალის გამოყენებას და შეკავების დროს და აუმჯობესებენ დგომის პოზას.
- ✓ მომხმარებელზე მორგებული სამუშაო სივრცეების უზრუნველყოფას.
- ✓ სამუშაო პროცესებში შესვენებების უზრუნველყოფას, ასევე ,სამუშაო ადგილების როტაციას.
- ✓ ხარისხის კონტროლისა და ტექნიკური მომსახურების პროგრამების დანერგვას, რომლებიც ამცირებს არასაჭირო ძალისხმევასა და დატვირთვას.
- ✓ დამატებითი განსაკუთრებული პირობების გათვალისწინებას, როგორიცაა მარცხენა ხელის დომინირებული გამოყენება მარჯვენის ნაცვლად.

სიმაღლეზე მუშაობა

ვარდნის პრევენციისა და დაცვის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს, როდესაც მუშას ემუქრება ორ მეტრზე მეტი სიმაღლიდან ჩამოვარდნის საფრთხე მუშა დანადგარში, წყალში ან სხვა სითხეში, სახიფათო ნივთიერებებში, ან სამუშაო ზედაპირზე არსებულ ღიობში ვარდნის პრევენციის/დაცვის ღონისძიებები ასევე შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც არსებობს დაბალი სიმაღლიდან ვარდნის რისკი. ვარდნის პრევენცია შეიძლება მოიცავდეს:

- ✓ დაცემის საფრთხის ზონის კიდეზე საშუალო სიმაღლის მოაჯირებისა და ფეხის დაფების მოწყობას.
- ✓ კომპეტენტური თანამშრომლების მიერ კიბეებისა და ხარაჩოების სწორად გამოყენებას.აა
- ✓ დაცემის პრევენციული მოწყობილობების გამოყენებას, მათ შორის, უსაფრთხოების ღვედების და სამაგრების სახიფათო ზონაზე წვდომის შესაზღუდად, ან ვარდნისგან დამცავ მოწყობილობებს, როგორიცაა მთელ სხეულზე შემოსაჭერი ღვედები ამორტიზაციულ ჯამბარებთან კომბინაციაში ან ინერციული ვარდნისგან დამზღვევ მოწყობილობას, რომლებიც დამაგრებულია ფიქსირებულ სამაგრზე ან ჰორიზონტალურ სამაშველო ბაგირზე.
- ✓ საჭიროა ტრენინგის ჩატარება, რომელიც მიეძღვნება პირადი დაცვის აღჭურვილობის გამოყენებას, საექსპლუატაციო საიმედოობას და გამოყენების აუცილებლობას.
- ✓ შეჩერებული ვარდნის შემდგომი რეაგირების სამაშველო და/ან აღდგენის გეგმებს, ასევე საჭირო აღჭურვილობის ჩართვას.

განათება

სამუშაო ადგილის განათების ინტენსივობა უნდა შეესაბამებოდეს ადგილის ზოგად დანიშნულებას და საქმიანობის სახეს და, საჭიროების შემთხვევაში, უნდა დაემატოს სამუშაო ზონის სპეციალური განათება. განათების ინტენსივობის მინიმალური ზღვრები რამდენიმე ლოკაციაზე/აქტივობებზე ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

კონტროლის მექანიზმები უნდა მოიცავდეს:

- ✓ ენერგოეფექტური სინათლის წყაროების გამოყენებას სითბოს მინიმალური გამოყოფით.
- ✓ ზომების მიღებას ნათების/არეკვლისა და მბჟუტავი განათების აღმოსაფხვრელად;
- ✓ სიფრთხილის ზომების მიღებას ოპტიკური გამოსხივების შემცირებისა და კონტროლისთვის მზის პირდაპირი სხივების ჩათვლით. ასევე საჭიროა გაკონტროლდეს მაღალი ინტენსივობის UV და IR გამოსხივების, ისევე როგორც მაღალი ინტენსივობის ხილული სინათლის ზემოქმედება.
- ✓ ლაზერული საფრთხის კონტროლს აღჭურვილობის სპეციფიკაციების, სერტიფიკატებისა და უსაფრთხოების აღიარებული სტანდარტების შესაბამისად. რისკების შესამცირებლად გამოყენებული უნდა იყოს შეძლებისდაგვარად ყველაზე დაბალი კლასის ლაზერი.

ადგილმდებარეობა/საქმიანობა	სინათლის ინტენსივობა
საგანგებო სიტუაციებისთვის საჭირო განათება	10 ლუქსი
გარე არასამუშაო სივრცეები	20 ლუქსი
მარტივი საორიენტაციო ან დროებითი ვიზიტები (დანადგარის შენახვა, გარაჟი, საწყობი)	50 ლუქსი
სამუშაო სივრცე, სადაც მხოლოდ ზოგჯერ ტარდება სამუშაოები, რომლებიც ხილვადობას მოითხოვს (დერეფნები, კიბეები, ვესტიბიული, ლიფტი, აუდიტორია, და ა.შ.)	100 ლუქსი
საშუალო სიზუსტის სამუშაოები (მარტივი აწყობა, უხეში დამუშავების სამუშაოები, შედუღება, შეფუთვა და სხვ)	200 ლუქსი
ზუსტი სამუშაოები (კითხვა, საშუალო სირთულის აწყობის სამუშაოები, სორტირება, შემოწმება, საშუალო ხელით ან მანქანით დამუშავება), კაბინეტები.	500 ლუქსი
მაღალი სიზუსტის სამუშაოები რთული აწყობითი სამუშაო, კერვა, ფერის შემოწმება, წვრილი სორტირება და სხვ.	1,000 – 3,000 ლუქსი

9.3. ქიმიური საფრთხეები

საფრთხეებს წარმოადგენს დაშავების ან დაავადების პოტენციალი, რომელიც გამოწვეულია ტოქსიკურ, კოროზიულ ან მგრძნობელობის გამომწვევ ნივთიერებებთან მწვავე ერთჯერადი არასისტემატიური შეხებით. საფრთხეები არაკონტროლირებადი რეაქციის რისკსაც წარმოადგენენ, მათ შორის, ხანძრისა და აფეთქების რისკს, თუ შემთხვევით მოხდა შეუთავსებადი ქიმიკატების ერთმანეთში შერევა. ყველაზე ეფექტურად ქიმიური საფრთხეების პრევენცია შესაძლებელია იერარქიული მიდგომის გამოყენებით, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- ✓ სახიფათო ნივთიერების ნაკლებად სახიფათო შემცვლელით ჩანაცვლებას;
- ✓ საინჟინრო და ადმინისტრაციული კონტროლის ზომების განხორციელებას, რათა თავიდან აცილებული ან მინიმუმამდე დაყვანილი იქნას სახიფათო ნივთიერებების სამუშაო გარემოში გაშვება და სახიფათო ნივთიერებების ზემოქმედებისადმი დაქვემდებარების დონის შენარჩუნება საერთაშორისოდ დადგენილი ან აღიარებული ზღვრების ქვემოთ;
- ✓ ზემოქმედებას დაქვემდებარებული ან შესაძლო დაქვემდებარებული თანამშრომლების რაოდენობის მინიმუმამდე შემცირებას;
- ✓ პერსონალის გაფრთხილებას ქიმიური საფრთხეების შესახებ იარლიყებითა და მარკირებით ეროვნული და საერთაშორისოდ აღიარებული მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად, წერილობითი კომუნიკაცია ადვილად გასაგებ ენაზე უნდა წარმოებდეს და ხელმისაწვდომი იყოს საფრთხეებს დაქვემდებარებული დასაქმებულებისა და პირველადი დახმარების პერსონალისთვის;
- ✓ თანამშრომლებისთვის ტრენინგის ჩატარება ნივთიერების უსაფრთხოების საინფორმაციო ფურცლებისდა უსაფრთხო მუშაობის პრაქტიკის შესახებ და დაცვის ინდივიდუალური საშუალებების სწორი გამოყენების კუთხით;
- ✓ სახანძრო საფრთხის არეალების განსაზღვრას და მონიშვნას სპეციალური წესების დართვით (მაგ., ბოლვადი მასალების გამოყენების, მობილური ტელეფონების ან სხვა, პოტენციურად, აალების გამომწვევი აღჭურვილობის გამოყენების აკრძალვას);
- ✓ აალებად მასალებთან მოპყრობის, ხანძრის პრევენციისა და ჩაქრობის ტრენინგებს დასაქმებულებისთვის

ხანძარი და აფეთქებები

ადვილად აალებადი მასალების აალებით გამოწვეული ხანძარი და აფეთქება იწვევს საკუთრების დანაკარგს და ასევე შესაძლოა გამოიწვიოს თანამშრომლების დაზიანება ან ფატალური შედეგი. პრევენციისა და კონტროლის ქმედებები მოიცავს შემდეგს:

- ✓ აალებადი მასალები უნდა ინახებოდეს აალების წყაროებისა და მჟანგავი მასალებისგან მოშორებით.

- ✓ აალებადი მასალების საწყობი უნდა მდებარეობდეს შენობებში შესასვლელ-გასასვლელებისგან მოშორებით; აღნიშნული საწყობი მოშორებით უნდა იყოს სავენტილაციო შემწოვებისგან და ვენტილატორებისგან; მას უნდა ჰქონდეს იატაკისა და ჭერის ბუნებრივი ან პასიური ვენტილაცია და აფეთქების ვენტილაცია; აღნიშნულ საწყობში უნდა გამოიყენებოდეს ნაპერწკალ გამძლე ჩამჭერები/მომჭერები; საწყობი აღჭურვილი უნდა იყოს ცეცხლსაქრობი მოწყობილობებით და თვითდაკეტვადი კარით და აგებული იყოს ისეთი მასალებით, რომლებიც გარკვეული დროის მანძილზე ალის ზემოქმედებას გაუძლებს;
- ✓ აალებადი მასალების კონტეინერებს შორის უნდა იყოს დამაგრებები და დამიწება, ასევე, დამატებითი, იატაკის დონის ვენტილირება, იმ შემთხვევებისთვის თუ მასალები გამოიფრქვევა კონტეინერებიდან საწყობში;
- ✓ თუ აალებადი მასალები ფხვიერი სახისაა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ელექტრული დამიწების, ნაპერწკლის აღმოჩენისა და, ჩაქრობის სისტემების მონტაჟი;
- ✓ სახანძრო საფრთხის არეალები უნდა განისაზღვროს და მოინიშნოს, უნდა შემუშავდეს სპეციალური წესები: (მაგ., ბოლვადი მასალების გამოყენების, მობილური ტელეფონების ან სხვა, პოტენციურად, აალების გამომწვევი აღჭურვილობის გამოყენების აკრძალვა);
- ✓ შერჩეულ თანამშრომლებს უნდა ჩაუტარდეთ აალებად მასალებთან მოპყრობის, ხანძრის პრევენციისა და ჩაქრობის ტრენინგები.

კოროზიული, ჟანგვითი და რეაქტიული ქიმიკატები

კოროზიული, მჟანგავი და რეაქტიული ქიმიკატები აალებადი მასალების მსგავს საფრთხეებს წარმოადგენენ და კონტროლის იგივე ზომებს საჭიროებენ. თუმცა, ამ ქიმიკატების დამატებით საფრთხეს წარმოადგენს, რომ შემთხვევით შერევა ან ურთიერთშერევა სერიოზულ გვერდით რეაქციებს იწვევს. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს აალებადი ან ტოქსიკური მასალების და აირების გამოთავისუფლება; გამოიწვიოს ხანძარი და აფეთქებები. ასეთი ტიპის ნივთიერებების დამატებითი საფრთხეა, რომ ურთიერთშერევის მიუხედავად, უშუალო კონტაქტისას ძლიერ დაშავებას იწვევენ. ასეთ ქიმიკატებთან მოპყრობისას, სამუშაო გარემოში, აუცილებელია შემდეგი სახის საკონტროლო ზომების დაცვა:

- ✓ კოროზიული, მჟანგავი და რეაქტიული ქიმიკატები აალებადი მასალებისგან და სხვა შეუთავსებელი კლასის ქიმიკატებისგან (მჟავები ფუძეებისგან, მჟანგავები აღმდგენებისგან, წყალზე მგრძნობიარე წყალზე დამზადებულისგან და ა.შ.) ცალკე, ვენტილირებულ ადგილებში და ისეთ კონტეინერებში უნდა ინახებოდეს, რომლებშიც არის შესაბამისი მეორეული სათავსო, რათა გადაღვრისას ურთიერთშერევა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი;
- ✓ თანამშრომლებმა, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ კოროზიულ, მჟანგავ ან რეაქტიულ ქიმიკატებთან კონტაქტი უნდა გაიარონ სპეციალიზებული ტრენინგი და აღიჭურვონ და ატარონ შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

(ხელთათმანები, წინსაფარი, ქიმიური დაცვის კოსტუმი, სახის ფარი ან სათვალეები და ა.შ.);

- ✓ იქ, სადაც კოროზიული, მჟანგავი ან რეაქტიული ქიმიკატები გამოიყენება ან მათთან მოპყრობა ხდება ან ინახება, მუდამ უნდა იმყოფებოდეს კვალიფიცირებული თანამშრომელი პირველადი დახმარების გასაწევად. სათანადოდ აღჭურვილი პირველადი დახმარების სადგურები მთელ სამუშაო ადგილზე ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს; უზრუნველყოფილი უნდა იყოს თვალის დასაბანი ანდა საშხაპეები ყველა სამუშაო ადგილთან ახლოს, სადაც რეკომენდებული პირველადი დახმარება შეიძლება იყოს საჭირო.

აზბესტის შემცველი მასალები

აზბესტის შემცველი მასალები არ უნდა იყოს გამოყენებული ახალ შენობებში ან შენობების რემონტისა და დემონტაჟის დროს. თუ უკვე არსებულ ნაგებობებში წარმოდგენილია აზბესტის შემცველი მასალები, უნდა შემუშავდეს აზბესტის მართვის გეგმა, რომელშიც ზუსტად უნდა იყოს მოცემული, თუ სად არის აზბესტის შემცველი მასალა, მისი პირობები (მაგ., არის თუ არა მსხვრევად/ფხვიერ ფორმაში და უშვებს თუ არა ბოჭკოებს), მის მდგომარეობაზე დაკვირვების პროცედურები, ასევე, ზიანის ასარიდებლად, იმ ადგილებზე მისვლის პროცედურები, სადაც არის აზბესტის შემცველი მასალები, . გეგმა ასევე უნდა მოიცავდეს, მასალასთან პოტენციურად შეხებაში მყოფი პერსონალის ტრენინგების შინაარსს და გეგმას, რათა მოხდეს ზიანის და უარყოფითი ზემოქმედების თავიდან არიდება. გეგმა უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველასთვის, ვინც ჩართულია აზბესტთან დაკავშირებულ ნებისმიერ საქმიანობაში. შენობებში არსებული აზბესტის შემცველი მასალა უნდა გაიტანოს და მართოს მხოლოდ სპეციალურად მომზადებულმა პერსონალმა, საქართველოს კანონმდებლის შესაბამისად.

9.4. ბიოლოგიური საფრთხეები

ბიოლოგიური აგენტები წარმოადგენენ პოტენციურ საფრთხეს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანების ავადმყოფობა ან დაშავება, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ერთჯერადი მწვავე ან განმეორებადი ზეგავლენით. ბიოლოგიური საფრთხეების თავიდან არიდების ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს შემდეგი ზომების მიღება:

- ✓ თუ საქმიანობა ამის საშუალებას იძლევა, არ უნდა მოხდეს მავნე ბიოლოგიური აგენტების გამოყენება, ისინი უნდა ჩანაცვლდეს ისეთი აგენტებით, რომლებიც ნორმალურ პირობებში არ არის სახიფათო ან ნაკლებ სახიფათოა. თუკი სახიფათო აგენტების გამოყენება აუცილებელია, საჭიროა უსაფრთხოების ზომების მიღება, რათა ზეგავლენის რისკი მინიმუმამდე იყოს დაყვანილი და შენარჩუნდეს საერთაშორისოდ დადგენილი ან აღიარებული ზეგავლენის ზღვრების ქვემოთ;
- ✓ სამუშაო პროცესები, ინჟინერია და ადმინისტრაციული კონტროლი ისე უნდა დაიგეგმოს და წარმოებდეს, რომ სამუშაო გარემოში მავნე აგენტების გამოყოფა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ან არიდებული. იმ პერსონალის რაოდენობა, რომლებიც შესაძლოა ზეგავლენის ქვეშ მოხვდნენ უნდა იყოს მინიმალური;

- ✓ სამუშაო ადგილზე, დამსაქმებლის მიერ უნდა შეფასდეს არსებული ან შესაძლო ბიოლოგიური აგენტების არსებობა და განხორციელდეს შესაბამისი უსაფრთხოების ზომები, მონიტორინგი, და ჩატარდეს ტრენინგი;
- ✓ სამუშაო ადგილზე არსებული ან შესაძლო საფრთხეების აღმოფხვრის ან კონტროლის ზომები უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს შრომის და მუნიციპალურ ინსპექციასთან თანამშრომლობით და აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

„ტექნიკური რეგლამენტის - ბიოლოგიურ აგენტებზე მუშაობის სანიტარიული ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის №82 დადგენილების შესაბამისად, ბიოლოგიური აგენტები კლასიფიცირდება ოთხ ჯგუფად:

1	დაბალი რისკი ადამიანისთვის, დაბალი რისკი საზოგადოებისთვის	ადამიანებისა და ცხოველების ინფიცირება არ არის მოსალოდნელი
2	საშუალო რისკი ადამიანისთვის, შეზღუდული რისკი საზოგადოებისთვის	იშვიათად იწვევს ადამიანების ან ცხოველების მძიმე ინფიცირებას. არსებობს ეფექტური მკურნალობა
3	მაღალი რისკი ადამიანისთვის, დაბალი რისკი საზოგადოებისთვის	იწვევს ადამიანებისა და ცხოველების მძიმე ინფიცირებას. არსებობს ეფექტური მკურნალობა არსებობს ინფექციის გავრცელების შეზღუდული რისკი.
4	მაღალი რისკი ადამიანისთვის, მაღალი რისკი საზოგადოებისთვის	მოსალოდნელია ადამიანების და ცხოველების მძიმე ინფიცირება. ადვილად გადაეცემა ადამიანებს შორის ან ცხოველიდან ადამიანს. (მაგ., COVID 19, Ebola)

საჭიროების შემთხვევაში, ინფექციების ფართო გავრცელების დროს კომპანია მოამზადებს იატადა დაამტკიცებს ინფექციების საწინააღმდეგო საგანგებო გეგმას, გეგმა შემუშავდება საქართველოს მთავრობის ყველა მოთხოვნისა და რეკომენდაციის გათვალისწინებით და რამდენადაც ეს შესაძლებელია გათვალისწინებული იქნება საერთაშორისო რეკომენდაციები.

9.5. განსაკუთრებული საფრთხის შემცველი გარემო

შეზღუდული სივრცე

შეზღუდული სივრცე არის ნებისმიერი დახურული სივრცე, რომელშიც არსებობს სახიფათო ნივთიერებებით ან სახიფათო პირობებით (მაგ., ჟანგბადის ნაკლებობა) გამოწვეული სიკვდილის ან სერიოზული დაშავების რისკი. ზოგი შეზღუდული სივრცის დადგენა ადვილია, მაგ., დახურული სივრცეები შეზღუდული ღიობებით:

- ✓ შემნახველი ავზები;
- ✓ სილოსები;
- ✓ რეაქციის ჭურჭელი;
- ✓ დახურული დრენაჟები;
- ✓ კანალიზაცია.

ზოგი შეიძლება ნაკლებ აშკარად, მაგრამ მაინც სახიფათოა, მაგალითად:

- ✓ ღია თავიანი კამერები;
- ✓ კასრი/ცისტერნა;
- ✓ ღუმელების წვის კამერები;
- ✓ არხების/მილსადენების სისტემა;
- ✓ ოთახები, რომლებშიც ვენტილაცია სუსტია ან არ არის.

შეუძლებელია დახურული სივრცეების სრული სიის შედგენა. ზოგი ადგილი შეიძლება დახურულ ადგილად იქცეს, როდესაც იქ სამუშაოები, მათი მშენებლობა, დამზადება ან მოდიფიკაცია მიმდინარეობს.

დახურულ სივრცეებში საფრთხეები შეიძლება წარმოიქმნას შემდეგი მიზეზების გამო:

- ✓ ჟანგბადის ნაკლებობა. ეს შეიძლება გამოიწვიოს:
  - o გარკვეულ ნიადაგებსა და ატმოსფეროში არსებულ ჟანგბადს შორის რეაქციამ;
  - o ცარცსა და კირზე გრუნტის წყლის ზემოქმედებამ, რაც ნახშირორჟანგს წარმოშობს და განდევნის ნორმალურ ჰაერს;
  - o სატვირთო კონტეინერებმა, ტვირთმზიდებმა და სხვა, რომლებშიც ტვირთი მოქმედებს შიდა სივრცეში არსებულ ჰაერზე;
  - o ფოლადის ავზებსა და ჭურჭლებში, ჟანგის წარმოქმნისას.
- ✓ შხამიანი აირის, ბოლის ან ორთქლის გამო, რომლებიც შესაძლოა:
  - o დაგროვდეს კანალიზაციაში, ჭებში და სისტემასთან დაკავშირებულ ორმოებში;
  - o შეაღწიოს ავზებში ან ჭურჭელში დამაკავშირებელი მილებიდან;
  - o გაჟონოს დაბინძურებულ ნიადაგში არსებულ თხრილებში ან ორმოებში, როგორებიცაა ძველი ნაგავსაყრელები და ძველი გაზგაყვანილობის სისტემები.
- ✓ ისეთი სითხეებისა და მყარი მასალების გამო, რომლებმაც შეიძლება მოულოდნელად გამოჟონონ/გადმოიღვარონ და შეავსონ სივრცე ან აირები გამოუშვან სივრცეში, შენჯღრევის გამო. თავისუფლად მოძრავი მყარი

ნივთიერებების გამო, როგორებიცაა მაგალითად მარცვლეული, ნაწილობრივად მყარდება ან „ხერგავს“ სილოსს, იწვევს დაბლოკვას და შეიძლება მოულოდნელი რღვევა გამოიწვიონ;

- ✓ ხანძრის და აფეთქებების გამო (მაგ., აალებადი ორთქლის, ჭარბი ჟანგბადის გამო და ა.შ.);
- ✓ ავზებში, ჭურჭელში და ა.შ. დარჩენილი ნალექის ან შიდა ზედაპირზე დარჩენილი ნალექის გამო, რომელმაც შეიძლება აირი, კვამლი ან ორთქლი გამოიმუშაოს;
- ✓ მაღალი კონცენტრაციის მტვერის გამო, მაგალითად, ფქვილის სილოსებში;
- ✓ ისეთი ცხელი გარემოს გამო, რომელიც სხეულის ტემპერატურას სახიფათო დონემდე წევს.

ზემოხსენებული პირობები დახურულ სივრცეში, ზოგჯერ, თავიდანვე არსებობს. თუმცა, ზოგი ასეთი პირობა შეიძლება შეიქმნას მიმდინარე სამუშაოების ან ახლო მდებარე დანადგარების არაეფექტური მუშაობის გამო, მაგალითად, დახურულ სივრცესთან დაკავშირებული მილიდან გაჟონვა. დახურულმა სივრცეებმა და სამუშაო გარემომ შეიძლება სხვა ხიფათიც წარმოქმნას მიმდინარე სამუშაოების გამო:

- ✓ მომუშავე დანადგარებს განსაკუთრებული სიფრთხილე სჭირდება, როგორებიცაა მაგალითად მტვრის გამოცალკევება გადასატანი საფრქვევიდან ან დენის დარტყმის ასარიდებელი სპეციალური უსაფრთხოების ზომების გატარება;
- ✓ აირი, კვამლი და ორთქლი შეიძლება შედუღებისგან ან აქროლადი და აალებადი გამხსნელების და სამშენებლო მასალების შემადგენელი ადჰეზიური მასალებისგან წარმოიქმნას.
- ✓ თუ სივრცეში შესვლა შეზღუდული შესასვლელიდან ხდება, მაგალითად - ლიუკიდან, რთულდება საგანგებო ვითარებისას გასვლა ან ადამიანებისთვის დახმარების აღმოჩენა.

აკრძალულია შეზღუდულ/დახურულ სივრცეში შესვლა, თუ შემდეგი პირობები არ არის დაკმაყოფილებული:

- ✓ ყველა სხვა ვარიანტი გამოირიცხა;
- ✓ შესაბამისი ნებართვა გასცა უფლებამოსილმა პირმა;
- ✓ ნებართვა გააცნეს შესაბამის პერსონალს და ნებართვა გამოკრულია;
- ✓ ასეთ სივრცეში მომუშავე პერსონალი ფლობს შესაბამის კომპეტენციას;
- ✓ შემოწმდა ჟანგბადის დონე (არანაკლები 19.5%);
- ✓ იზოლირებულია ენერგიის წყაროები, რომლებიც გავლენას ახდენენ სივრცეზე;
- ✓ ჩატარდა ატმოსფეროს ტესტი, რომელიც დამტკიცდა და განმეორდება იმდენჯერ, რამდენჯერაც ამას რისკის შეფასება მოითხოვს;
- ✓ დანიშნულია მორიგე პირი;
- ✓ გამორიცხულია უცხო პირთა შესვლა;

- ✓ შედგენილია და დამტკიცებულია საგანგებო ღონისძიებებისა და სამაშველო გეგმა.

განცალკევებული სამუშაო

განცალკევებულად მომუშავე პირი მუშაობს ისე, რომ ზედამხედველი, სხვა დასაქმებულები ან დახმარების აღმომჩენი პირები მასთან სიტყვიერ ან ვიზუალურ კომუნიკაციას ვერ ამყარებენ ერთ საათზე მეტ ხანს. ასეთი დასაქმებული მაღალი რისკის ქვეშ არის, თუკი რაიმე შემთხვევა მოხდა ან დაშავდა.

როდესაც დასაქმებულებს მოეთხოვებათ განცალკევებულ, იზოლირებულ პირობებში სამუშაოების შესრულება, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და უსაფრთხოების ზომები შეთანხმებული უნდა იყოს კომპანიის შრომის უსაფრთხოების მენეჯერთან, , სანამ დასაქმებულები დაიწყებენ მუშაობას. კომპანიის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტმა, მინიმუმ, საათში ერთხელ უნდა უზრუნველყოს სიტყვიერი კომუნიკაცია დასაქმებულთან და ასევე უზრუნველყოს, რომ დასაქმებულმა საგანგებო დახმარების მოთხოვნა შეძლოს.

თუ დასაქმებული მუშაობს ისეთ გარემოში, სადაც პოტენციურად შეიძლება ტოქსიკური ან მჟანგავი ნივთიერების ზეგავლენის ქვეშ მოხვდეს, თვალის დასაბანები და საშხაპეები უნდა აღიჭურვოს განგაშის სისტემებით (ხმოვანი და ვიზუალური), რათა მოხდეს დახმარების გამოძარება, როგორც კი დასაქმებული თვალის დასაბანს ან შხაპს ჩართავს; ეს უნდა ხდებოდეს თავად დასაქმებულის ჩარევის გარეშე.

9.6. მიწის ჩამოშლა / გათხრები

საექსკავაციო/გათხრითი სამუშაოები მაღალ ხიფათს შეიცავს და თუ ისინი უსაფრთხოდ არ შესრულდება, შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი ან მძიმე დაშავება. აღნიშნული სამუშაოები შეიცავს შემდეგ საფრთხეებს: რაიმეს ქვეშ მოყოლა, სიმაღლიდან გადმოვარდნა ან ჩამოვარდნილი ნივთების მოხვედრა საექსკავაციო და სხვადასხვა მიწისქვეშა სამუშაოების შესრულებისას (მაგ., აირის, წყლის და დენის გაყვანილობები); ასევე, შეიძლება მოხდეს გაგუდვა ან მოწამლვა იმ კვამლისგან, რომელიც ექსკავაციაში შეაღწევს.

აღნიშნული რისკების შესამცირებლად, აუცილებელია შემდეგი ადეკვატური უსაფრთხოების ზომების მიღება:

- ✓ სამუშაოების დაწყებამდე უნდა შემოწმდეს მიწისქვეშა კომუნიკაციები
- ✓ ექსკავაციის ფერდობების საყრდენებით გამაგრდეს ან გაითხაროს ისეთი კუთხით, რომ ფერდობები არ ჩამოიშალოს ან თხრილში მომუშავე თანამშრომლებს ნივთები არ დაეცეს;
- ✓ აუცილებელია ისეთი ზომების მიღება, რომ ადამიანები, მასალები და ნივთები არ ჩაცვივდეს თხრილში, ასევე, თხრილში არ მოხვდეს წყალი;
- ✓ შენარჩუნდეს ისეთი გარემო, რომ შეიძლებოდეს სუნთქვა;
- ✓ შემუშავდეს ისეთი ზომები, რომ დასაქმებულებმა უსაფრთხოდ დატოვონ საექსკავაციო ადგილი ან თხრილი;

საექსკავაციო სამუშაოებთან და თხრილებთან დაუშვებელია საავტომობილო მოძრაობა ან ის მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი. ექსკავაციის ან თხრილის ფერდობი უნდა გამაგრდეს ხის საყრდენებით ან სხვა საშუალებებით ან ისეთი კუთხით უნდა იყოს დახრილი, რომ ჩამოშლა არ მოხდეს. საყრდენების ტიპი და დახრის კუთხე დამოკიდებულია ექსკავაციის ტიპზე, ნიადაგის სახეობაზე და გრუნტის წყლების პირობებზე და განისაზღვრება შრომის უსაფრთხოების მენეჯერის და პროექტის მენეჯერის მიერ საექსკავაციო სამუშაოების დაწყებამდე.

უნდა აღიმართოს შესაბამისი ბარიერები (დამცავი ბადეები), რომ ავირიდოთ დასაქმებულების თხრილში ჩავარდნის რისკი.

ექსკავაციებისა და თხრილების საყრდენები თუ სხვა სახის გამაგრება საიტის მენეჯერების ზედამხედველობით უნდა მოხდეს. საყრდენი მექანიზმიების მოხსნაც საიტის მენეჯერების ზედამხედველობით უნდა მოხდეს.

ექსკავაციის დაწყებამდე:

- ✓ თანმიმდევრულად უნდა დაიგეგმოს სამუშაო, დადგინდეს ექსკავაციის მეთოდი და სათანადო ტიპის საყრდენი;
- ✓ კომპანიის გეოდეზისტმა უნდა შეამოწმოს მიწის სტაბილურობა;
- ✓ კომპანიის გეოდეზისტმა შეამოწმოს, რომ ექსკავაცია არ მოახდენს გავლენას მიმდებარე შენობა-ნაგებობებზე, კონსტრუქციებსა და გზებზე;
- ✓ უნდა შემოწმდეს საზოგადოებრივი კომუნიკაციები, როგორებიცაა მიწისქვეშა კანალიზაცია, აირის მილები, წყალგაყვანილობის მილები და ელექტრობის გამტარები ;
- ✓ აუცილებლობის შემთხვევაში, აირის, წყლის, ელექტრობისა და სხვა საზოგადოებრივი კომუნიკაციები გაითიშოს ან სხვა გეზზე იქნას გადაყვანილი;
- ✓ თუ მილების, სადენების ძარღვების და ა.შ. სხვა გეზით გაყვანა ან გამოერთება შეუძლებელია, მაშინ, საჭიროა მათი შემოღობვა, საყრდენებით გამაგრება და შესაბამისი მარკირება ან სხვაგვარად მათი დაცვა;
- ✓ აუცილებლობის შემთხვევაში, მიწა უნდა გაიწმინდოს ხეებისგან, ლოდებისგან ან სხვა ბარიერებისგან;
- ✓ ჩატარდეს ანალიზი, თუ რამდენად შესაძლებელია მიწის დაბინძურება მავნე ქიმიკატებით ან აირებით ან სახიფათო ნარჩენი მასალებით, როგორებიცაა მაგალითადაზბესტი;
- ✓ სამუშაო ადგილზე რისკის შეფასება უნდა ჩაატაროს კომპანიის შრომის უსაფრთხოების მენეჯერმა და/ან კომპანიის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტმა;
- ✓ იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა მიწისქვეშა საფრთხე (მაგ.: მილგაყვანილობა, ელექტრო სადენები და ა.შ.), მოხდეს მათი ადგილმდებარეობის დადგენა და აუცილებლობის შემთხვევაში, იზოლირება.

მიწის ჩამოშლის თავიდან ასარიდებლად საჭიროა პრევენციული ზომების მიღება:

- ✓ ექსკავაციის ფერდობების დახრა შეიცვალოს (შემცირდეს);
- ✓ თავიდან იქნას არიდებული წყლის შეღწევა (დამონტაჟდეს სადრენაჟო სისტემები);
- ✓ საჭიროა დამცავი ფენის მონტაჟი, რომელიც ფერდობის სტრუქტურებს დაიცავს (დუღაბი / ბეტონი)
- ✓ თავიდან იქნას არიდებული ვიბრაცია და გადატვირთვა;
- ✓ რეგულარულად შემოწმდეს დაქანება (ფერდი) და გარშემო არეალი.

ნიადაგის მდგომარეობის გავლენა უსაფრთხოების ზომების
შერჩევის პროცესში

ნიადაგის ტიპი	მაქს. დაქანება (ჰ:ვ)	დაქანების კუთხე (გრადუსი)
მდგრადი ვერტიკალური კლდე	90	
A ტიპი	3 / 4 : 1	53
B ტიპი	1:1	45
C ტიპი	1-1/2.1	34



ობიექტის ზედამხედველმა ყოველდღიურად უნდა შეამოწმოს ექსკავაციები, მიმდებარე არეალი და დამცავი სისტემები:

- ✓ სამუშაოს დაწყებამდე;
- ✓ წვიმების ან სხვა საფრთხის გამზრდელი მოვლენების შემდეგ;
- ✓ ცვლის განმავლობაში საჭიროების მიხედვით;

ექსკავაციის მასალები ან სხვა მასალები და აღჭურვილობა ექსკავაციიდან 0.6 მეტრის რადიუსში არ უნდა განთავსდეს; ექსკავაციების გარშემო აღიმართოს შესაბამის ბარიერები და გამაფრთხილებელი სისტემები;დახრის კუთხე უნდა იყოს ერთი და ერთნახევარი ჰორიზონტალურად ერთ ვერტიკალზე (34 გრადუსი ჰორიზონტალურიდან), თუ ზედამხედველი სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

9.7. შემოღობვა, დროებითი ბარიერები და ნიშნები

ეს პროცედურა აღწერს ბარიკადებისა და გამაფრთხილებელი ნიშნების დამონტაჟებასა და მათ მომსახურებას. კომპანია შეზღუდავს შესვლას ან/და დადგამს ნიშნებს, რომლებიც გააფრთხილებენ ვიზიტორებს/თანამშრომლებს სახიფათო არეალის , არასტანდარტული პირობების შესახებ ან ისეთი არეების შესახებ, სადაც არასტანდარტული სამუშაოები სრულდება.

ეს ინსტრუქციები გამოიყენება ადგილებზე, რომლებსაც კომპანია , პერსონალი ან კონტრაქტორები იყენებენ სამშენებლო პროექტების მიმდინარეობისას.

სავალდებულოა იმ არეალის შემოღობვა, სადაც სამშენებლო ღონისძიებების ჩატარება არის დაგეგმილი. სამშენებლო ღონისძიებებამდე უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს ფიზიკური ბარიერის აღმართვა, რათა უცხო პირები არ შევიდნენ.

ადგილზე შესასვლელთან უნდა დამონტაჟდეს უსაფრთხოების ნიშნები და ნებისმიერი პირი, რომელიც ადგილზე შედის, უნდა დაემორჩილოს ამ ნიშნებს.

ამ პროცედურისათვის ბარიკადები განისაზღვრება, როგორც სისტემა, რომელიც, საფრთხისგან იცავს და ახდენს საფრთხის პარამეტრების ფიზიკურ იდენტიფიცირებას. ბარიკადები (რომლებსაც, ასევე, ბარიერები ეწოდება) თავისი კონსტრუქციით შეიძლება იყოს „რბილი“ და „მყარი“, რაც მათ გამოყენებაზე და იმ საფრთხის სახეობაზეა დამოკიდებული, რომლისგანაც ისინი იცავენ. ქვემოთ ჩამოთვლილია ამ პროცესის ზოგიერთი საკვანძო მოთხოვნა:

- ✓ ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს თანამშრომლების შრომის უსაფრთხოების გეგმაში დაწვრილებითი ინსტრუქციებით;
- ✓ უბნის უფროსი და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი პასუხისმგებელნი არიან ბარიკადების სწორ აღმართვაზე, მომსახურებაზე და პოტენციური საფრთხეების დადგენაზე;
- ✓ ბარიკადები ნიშნებთან ან იარლიყებთან ერთად დგება იქ, საიდანაც ადგილზე შესვლა შეიძლება და ეს ნიშნები ვიზიტორებს/თანამშრომლებს საფრთხის თაობაზე აფრთხილებენ. როგორც კი საფრთხე აღარ არსებობს, ბარიკადები უნდა მოიხსნას;
- ✓ თხრილები და იატაკის ღიობები შესაბამისი მასალებით უნდა შემოიღობოს (არა ლენტით) ან დაეფაროს მყარი თავსახური, რომელზეც შესაბამისი აღნიშვნა იქნება.

9.8. იატაკისა და კედლის ღიობები

აღნიშნული პროცედურა აღწერს იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც იატაკის ღიობებისთვის, იატაკის ორმოებისთვის და კედლის ღიობებისთვის არსებობს. ქვემოთ ჩამოთვლილია ამ პროცესის ძირითადი მოთხოვნები:

- ✓ დასაქმებულებს, რომლებიც აკეთებენ იატაკის ორმოს, იატაკის ღიობს ან კედლის ღიობს, კონტროლის გამწევი პირისგან (საქმის მწარმოებელი) უნდა ჰქონდეთ ამის ნებართვა;

- ✓ ორმოს ან ღიობის გარშემო საბარიკადო ლენტი ვერ დაიცავს პერსონალს ორმოსა და ღიობში ჩავარდნისგან;
- ✓ იატაკის თავსახურებზე არ შეიძლება მასალების დაწყობა, რათა არ გამოიწვიოს გადატვირთვა და ჩანგრევა;
- ✓ იატაკის ღიობის ან კედლის ღიობის არეალში ბარიკადების შიგნით მუშაობისას ყველამ უნდა გაიკეთოს და ატაროს უსაფრთხოების ღვედები;
- ✓ დაუშვებელია იატაკის თავსახურების გამოყენება სამუშაო პლატფორმების საყრდენად, თუ ამის უფლებას არ გასცემს შრომის უსაფრთხოების მენეჯერი ან შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;
- ✓ უბნის უფროსი და საქმისმწარმოებელი პასუხისმგებელია, რომ მის არეალში არსებული ყველა იატაკის ღიობი და კედლის ღიობი საიმედოდ არის დაცული ბარიკადებით, შესაბამისი ნიშნებით და არის სათანადოდ დახურული და მონიშნული.

დაუცველი იატაკის ან კედლის ღიობებთან ახლოს მომუშავე პერსონალი ვარდნისგან დამცავ აღჭურვილობას უნდა ატარებდეს, რომელიც შესაფერის მყარ მასალაზე იქნება მიმაგრებული.

9.9. მოაჯირები

„სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის № 477 დადგენილების თანახმად, დამცავი მოაჯირები და ბარიერები შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს:

- ✓ დამცავი მოაჯირი/მოაჯირები/სახელურები უნდა დამონტაჟდეს ყველგან, სადაც არსებობს სიმაღლიდან ვარდნის პოტენციური საფრთხე;
- ✓ მოაჯირი უნდა შედგებოდეს ვერტიკალური, საყრდენი, ზედა და შუა ჰორიზონტალური ძელებისგან. მოაჯირის ძირზე (სამუშაო პლატფორმაზე) უნდა იყოს დამონტაჟებული მინიმუმ 10 სმ-ის სიმაღლის ქვედა ჰორიზონტალური ძელი სხვადასხვა საგნის ან ხელსაწყოს ვარდნის თავიდან ასაცილებლად. შუა ჰორიზონტალური ძელი უნდა განთავსდეს სამუშაო პლატფორმიდან 50-60 სმ-ის სიმაღლეზე. მყარი მოაჯირის სიმაღლე უნდა იყოს სამუშაო ზედაპირიდან 90-120 სმ;
- ✓ შუაძელები და ბადეები უნდა დამონტაჟდეს ზედა ძელსა და სამუშაო ზედაპირს შორის:
- ✓ შუაძელის არარსებობის შემთხვევაში, არსებული მოაჯირის მთლიანი პერიმეტრი შემოსაზღვრული უნდა იყოს სამშენებლო საცერი ბადეებით;
- ✓ ერთმანეთის გადამკვეთი ძელები შესაძლოა გამოყენებული იყოს შუალედური ძელის ნაცვლად იმ შემთხვევაში, თუ გადამკვეთი ძელების გადაკვეთის წერტილი არის სამუშაო პლატფორმიდან 50-60 სმ-ის სიმაღლეზე;

- ✓ მოაჯირების ჰორიზონტალური ძელები დამაგრებული უნდა იყოს საყრდენი ბოძების შიდა მხარეს;
- ✓ ვერტიკალური საყრდენი ძელების გამოყენებისას მათ შორის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 50 სმ-ს;
- ✓ მოაჯირი უნდა უძლებდეს 5 სმ-ის დისტანციიდან არანაკლებ 90 კგ ტვირთის მიწოლით დატვირთვას, რა დროსაც მოაჯირის გადახრა არ უნდა აღემატებოდეს 10 სმ-ს;
- ✓ მოაჯირზე ბადეები და სხვა დამცავი საშუალებები ისე უნდა იყოს დამონტაჟებული, რომ არ გამოიწვიოს დასაქმებულთა დაზიანება (დასერვა, თითების მოყოლა) და ტანისამოსზე გამოდება;
- ✓ მოაჯირების დაბოლოებები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ არ გამოიწვიოს ადამიანის დაზიანება;
- ✓ დაუშვებელია ჰორიზონტალური და ვერტიკალური ძელების ერთმანეთზე დამაგრება ფოლადის ან პლასტმასის არტახებით;
- ✓ მოაჯირის ზედა და შუა ძელები უნდა იყოს ძლიერი და გამძლე მასალისგან დამზადებული, მინიმუმ 60 მმ-ის დიამეტრის ან სისქის, რათა გამოირიცხოს მათი გაჭრა ან/და გაგლეჯა. თუ გამოყენებულია ლითონის ბაგირი, ყოველ 180 სმ-ში უნდა დამონტაჟდეს თვალისთვის ადვილად აღსაქმელი ყვითელი ფერის მაფრთხილებელი ალმები;
- ✓ თუ მოაჯირის სისტემები გამოიყენება ხვრელების გარშემო, რომლებიც განკუთვნილია მისასვლელი ადგილებისთვის (კიბით ჩასასვლელი), ასეთი ხვრელები აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური საფარით ან იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ არ მოხდეს ადამიანის მარტივად შეღწევა;
- ✓ როდესაც დამცავი მოაჯირი გამოიყენება ღიობებთან, ღიობების ყველა მხარე უნდა იყოს დაფარული;
- ✓ როდესაც ღიობები გამოიყენება ტვირთის სამოძრაო ადგილად, გამოყენებული უნდა იქნეს მობილური მოაჯირები. იმ შემთხვევაში, თუ ღიობი არის გამოუყენებელი, იგი უნდა იყოს აუცილებლად დაფარული მთლიანი ფენილით;
- ✓ ნებისმიერ ღიობთან ახლოს მდებარე პანდუსი ან დაქანებული ადგილი, რომელიც გამოიყენება ადამიანის სავალ ბილიკებად, უნდა იყოს მოაჯირებით შემოსაზღვრული;
- ✓ თუ მოაჯირის ზედა ნაწილი შედგება მანილის, პლასტმასის ან სინთეტიკური ბაგირისგან, აუცილებელია მისი შემოწმება საჭირო პერიოდულობით, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ, რათა დადასტურდეს, რომ ის უძლებს 5 სმ-ის დისტანციიდან არანაკლებ 90 კგ-ის მიწოლით დატვირთვას;
- ✓ მოაჯირი უნდა განთავსდეს სამუშაო პლატფორმის კიდიდან არანაკლებ 10 სმ-ის მანძილისა.

9.10. ზოგადი მოთხოვნები ხარაჩოების დამონტაჟებისთვის

ხარაჩოებისა და კარკასული საყრდენი სტრუქტურების (დიდი ზომის, ნახევრად მუდმივი სტრუქტურები, რომლებიც, სამშენებლო პროექტებში გამოიყენება) აღმართვა და დაშლა მაღალი რისკის შემცველი სამუშაოა არა მხოლოდ მათთვის, ვინც სამუშაოებს ასრულებს, არამედ მესამე პირებისთვის. როდესაც ხარაჩოებთან დაკავშირებული სამუშაოები მიმდინარეობს, მოსახლეობა უნდა გავიდეს როგორც თავად სამუშაო არეალიდან, ისე მისი მიმდებარე ტერიტორიიდან.

მეხარაჩოები უნდა იცავდნენ მუშაობის უსაფრთხო სისტემებს, რათა ადამიანები არ ჩამოვარდნენ. კერძოდ:

- ✓ ხარაჩოები უნდა იყოს სწორად დაპროექტებული, ქარხნულად დამზადებული და მოვლილი, რათა გამოირიცხოს მათი ჩამოშლა ან შემთხვევითი გამოძრავება.
- ✓ ხარაჩოების მოაჯირები უნდა იყოს 90-120 სმ-ის სიმაღლის. მოაჯირის ზედა ძელი უნდა უძლებდეს 5 სმ-ის დისტანციიდან არანაკლებ 90 კგ-ის მიწოლით დატვირთვას.დაუშვებელია ხარაჩოს ინსტალაცია, ჩანაცვლება და დაშლა უბნის უფროსის და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ზედამხედველობის გარეშე. პასუხისმგებელ პირს შესაბამისი გამოცდილება და ცოდნა უნდა გააჩნდეს. ზედამხედველ პირს უნდა გააჩნდეს შესაბამისი გამოცდილება და კომპეტენცია. ხარაჩოს გამოყენებული მასალები გამოყენებამდე ყოველ ჯერზე უნდა მოწმდებოდეს..
- ✓ ნებისმიერი სახის ხარაჩო და მასთან დაკავშირებული ყველა დეტალი უნდა იყოს დამზადებული მყარი და სათანადო მასალებისგან. ხარაჩოში გამოყენებული ლითონის დეტალები და აღჭურვილობა უნდა იყოს დამზადებული შესაბამისი მასალისგან. არ უნდა იყოს გაცვეთილი და არ უნდა გააჩნდეს აშკარა დეფექტები.;
- ✓ სამუშაო პლატფორმები, წანწალები და ხარაჩოების კიბეები უნდა იყოს ისეთი ზომისა და კონსტრუქციის, რომ დასაქმებულები დაცული იყვნენ ჩამოვარდნისა და ჩამოცვენილი საგნებისგან. აკრძალულია უხარისხო/დეფექტური ბაგირების გამოყენება;
- ✓ ხარაჩოს საყრდენები/ბოძები ეწყობა:
- ✓ პერპენდიკულარულად;
- ✓ რამდენადაც შეიძლება ერთმანეთთან ახლოს;
- ✓ ბოძებს შორის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 3 მეტრს;
- ✓ დაუშვებელია ბოძების დაცურება, ნიადაგში ჩაფლობა ან ნებისმიერი სახის მოძრაობა;
- ✓ მასალების აწევისას ან ქვემოთ ჩაწოდებისას, ხარაჩოზე მომუშავეები უნდა იყვნენ მიბმულები ან მუშაობდნენ პლატფორმაზე, რომელიც სრულად შემოღობილია და აღჭურვილია ორმაგი დამცავი მოაჯირებითა და ფეხსადგამებით;
- ✓ ხარაჩოზე მომუშავეებს მუდამ უნდა ეკეთოთ უსაფრთხოების ქამრები;

- ✓ ხარაჩოზე ასასვლელი უსაფრთხო კიბე ხარაჩოს აწყობის პროცესშივე უნდა ჩამონტაჟდეს მასში;
- ✓ სტრუქტურაზე ხარაჩოს დასამაგრებელი ანკერები ფუძის მასალას უნდა შეეფერებოდეს და სათანადოდ დამონტაჟდეს;
- ✓ დაუშვებელია ხარაჩოების გადატვირთვა აღჭურვილობით, განსაკუთრებით მილებით და ფიცრებით;
- ✓ აგური, ხის ფიცრები და სხვა არასტაბილური მასალა არ უნდა გამოიყენებოდეს ხარაჩოს სტრუქტურის საყრდენად;
- ✓ პლატფორმის იატაკის მოსაწყობი ხის ფიცრები თუ სხვა მასალა განლაგდეს ისე, რომ ფიცრებს ან ლითონის ფურცლებს შორის დაშორება არ აღემატებოდეს 3 სმ-ს. .
- ✓ სამუშაო პლატფორმის მინიმალური სიგანე უნდა შეადგენდეს 80 სმ-ს. პლატფორმის ნაფენი ხარაჩოს ჩარჩოს სრულად უნდა ფარავდეს;
- ✓ სამუშაოების კედლის კიდეზე შესრულებისას სამუშაო პლატფორმა კედლის კიდიდან მინიმუმ 60 სმ-ით უნდა იყოს დაშორებული;
- ✓ სამუშაო პლატფორმის გვერდებსა და ნაგებობას შორის დაშორება 25 სმ-ს არ უნდა აღემატებოდეს;
- ✓ ხარაჩოს ნაწილობრივ მოხსნა ან დაუსრულებელი სახით დატოვება (როდესაც ამგვარ მდგომარეობაში მყოფი ხარაჩოს გამოყენების შესაძლებლობა არსებობს) დაუშვებელია. ნაწილობრივ მოხსნილი ან დაუსრულებელი სახით ხარაჩოების დატოვების შემთხვევაში (როდესაც ამის აუცილებლობა არსებობს), შემდეგი სახის ზომები უნდა იქნეს მიღებული: ნაწილობრივ მოხსნილ ან დაუსრულებელ ხარაჩოებთან თვალსაჩინო ადგილებზე უნდა იყოს განთავსებული ამკრძალავი/მაფრთხილებელი ნიშნები, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ნიშნების განთავსებასთან დაკავშირებულ მინიმალურ მოთხოვნებს; ამ ხარაჩოებთან მიმავალი გზები უნდა იყოს გადაკეტილი შესაბამისი სახის მოაჯირებით;
- ✓ ხარაჩოს შემოწმება და მომსახურება სრულდება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის და უბნის უფროსის მიერ, არსებული სტანდარტების შესაბამისად.

ხარაჩოზე მომუშავეთა ეფექტური ტრენინგი არსებითად მნიშვნელოვანია ინციდენტების თავიდან ასარიდებლად.

9.11. მოცურება, ფეხის წამოდება და ვარდნა

ყოველწლიურად, მოცურებისა და სიმაღლიდან ვარდნის გამო ადამიანების დაშავება ხშირია სამშენებლო ობიექტებზე . იმისათვის, რომ ასეთ შემთხვევები თავიდან იქნეს არიდებული, სამუშაო ადგილი უნდა იყოს სუფთა და მოწესრიგებული,. კომპანიისთვის მნიშვნელოვანია;

- ✓ სამუშაო ადგილზე წესრიგის შენარჩუნება. თუკი რაიმე დაიღვარა, დაუყოვნებლივ უნდა გაიწმინდოს;

- ✓ მასალები და აღჭურვილობა შენახული უნდა იყოს უსაფრთხოდ ანგატანილი იყოს სამუშაო ადგილიდან, რათა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ინციდენტის შესაძლებლობა.
- ✓ . სამუშაო ადგილზე გამოყენებული უნდა იყოს სწორი მარშუტები და ბილიკები. დაუშვებელია ისეთი გზებით სარგებლობა, რომლებიც ამოკლებს გზას, სარისკოა და არ აქვთ მოაჯირები.
- ✓ აუცილებელია დამცავი ფეხსაცმელის გამოყენება.
- ✓ იატაკის ზედაპირის, ხელის მოაჯირების, ღობეების და ბარიერების დაზიანების და ჩახერგვის ასევე, ცუდად განათებული მონაკვეთების შესახებ ინფორმაცია უნდა ეცნობოს პროექტის მენეჯერს. დროული შეტყობინება შეამცირებს უბედური შემთხვევების რისკს.
- ✓ ყურადღება უნდა მიექცეს დროებით ღიობებს , რომელიც, უნდა შემოიღობოს სასიარულო ბილიკებზე. სამუშაოს დასრულების შემდგომ, უსაფრთხო შეცვლას ექვემდებარება ცხაურები და სახურავები;
- ✓ დაუშვებელია უყურადღებოდ სიარული, ხედვის არეალი მუდმივად უნდა აღიქმებოდეს.

9.12. პორტატული კიბეები

პორტატული (გადასატანი) კიბე, თუ მას სწორად ვიყენებთ, სიმაღლეებზე მუშაობისას კარგი მისასვლელი/მისადგომი საშუალებაა. არასწორად სარგებლობამ შეიძლება მძიმე დაშავება გამოიწვიოს.

გადასატანი კიბეები დამზადებული უნდა იყოს გამძლე მასალისგან, უნდა მიმდინარეობდეს მათი სწორი მოვლა/ექსპლუატაცია და გამოიყენებოდეს დანიშნულებისამებრ.

აკრძალულია ისეთი გადასატანი კიბეების გამოყენება, რომლებსაც აკლია საფეხურ(ებ)ი ან აღენიშნებათ სხვა რაიმე დეფექტი.

საფეხურები ჩასმული უნდა იყოს ძელებში არსებულ შესაბამის (ამისთვის განკუთვნილ) ღრმულებში და უნდა იყოს კარგად დამაგრებული. ამ პუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება ლითონისაგან დამზადებულ კიბეებზე.

საფეხურებს შორის დაშორება არ უნდა აღემატებოდეს 30 სმ-ს.

ოთხ მეტრზე გრძელი გადასატანი კიბე დამზადებული უნდა იყოს მყარი ლითონის მასალისგან.

კიბის ზედა ნაწილი (როდესაც კიბე ვერტიკალურ ან დახრილ მდგომარეობაშია) მიმაგრებული უნდა იყოს იმ ადგილზე, რომელსაც ის ეყრდნობა. თუ კიბის ზედა ნაწილის უსაფრთხოდ მიმაგრება შეუძლებელია, მაშინ ის სამუშაო ზედაპირზე მყარად უნდა დამაგრდეს. თუ კიბის ზედა და ქვედა ნაწილების დამაგრება ვერ ხერხდება, მაშინ ნიადაგზე/იატაკზე უნდა იდგეს ადამიანი, რომელიც აღკვეთს კიბის დაცურებას. კიბე მყარ ნიადაგსა და ზედაპირზე უნდა დადგეს და გამაგრდეს იმგვარად, რომ თავიდან იქნეს

აცილებული მისი ზედმეტი რხევა ან გაღუნვა.იმ შემთხვევაში, თუ კიბის საფეხური გამოიყენება სამუშაო ადგილად, კიბის საფეხური მინიმუმ ერთი მეტრით უნდა იყოს დაშორებული ბოლო საყრდენი წერტილიდან.

მშენებლობაზე გამოყენებულ კიბეს უნდა გააჩნდეს ვერტიკალური ღერძები და საფეხურები, რომლებიც არ უნდა იყოს დაზიანებული. კიბის საყრდენი უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში. აკრძალულია არაქარხნული წესით, კუსტარულად დამზადებული კიბეების გამოყენება. კიბე უნდა დაიდგას სათანადო კუთხით, სიმაღლის შესაბამისად, ხოლო კიბის ქვედა სადგამი კედლიდან გამოწეული უნდა იყოს კიბის სიმაღლის ¼-ის მანძილით.

აკრძალულია კიბეზე ერთზე მეტი ადამიანის ასვლა. დასაქმებულს კიბესთან უნდა ჰქონდეს სამწერტილოვანი კონტაქტი.

კიბის დადგმის ადგილი სწორად უნდა იქნეს შერჩეული და, საჭიროების შემთხვევაში, დაცული უნდა იყოს გამაფრთხილებელი ნიშნებით.

მისასვლელ არეს კიბე უნდა აცდეს არანაკლებ ორი საფეხურით.

ღია ელექტროსადენებთან სიახლოვეს გამოყენებულ უნდა იქნეს მშრალი, დიელექტრიკული კიბეები. ხარაჩოების, დამცავი ღვედების, კიბეების, სამუშაო პლატფორმებისა და ყველა ზემოთ აღნიშნული საშუალებების შემოწმება უნდა ხორციელდებოდეს პერიოდულად, კომპეტენტური პირის/სამსახურის მიერ, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს დოკუმენტურად და შემოწმების აქტით.

9.13. ჩამოვარდნილი ობიექტები და მასალები

მასალები და აღჭურვილობა უსაფრთხოდ უნდა ინახებოდეს ან საერთოდ მოცილდეს სამუშაო ადგილს, რათა ჩამოვარდნით გამოწვეული ინციდენტები მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. სამუშაო ადგილზე მუდამ უნდა გამოიყენებოდეს დამცავი ჩაფხუტები და დამცავი ფეხსაცმელი, ხოლო განსაკუთრებულ სიტუაციებში, დამატებითი დამცავი სამოსი მოითხოვება.

9.14. პორტატული ხელსაწყოები

ხელის ინსტრუმენტების გამოყენებისას დაშავებას, ყველაზე ხშირად, არასათანადო ინსტრუმენტით სარგებლობა, მისი არასწორი გამოყენება ან არასწორი შენახვა იწვევს. ამისთვის დაცული იქნება შემდეგი მოთხოვნები:

- ✓ მუდმივად გამოყენებული უნდა იყოს სამუშაოს შესაფერის ინსტრუმენტი. ქანჩის გასაღები ჩაქუჩისთვის / ჩაქუჩად არასოდეს იქნება გამოყენებული.
- ✓ ყოველთვის იქნება გამოყენებული ისეთი ქანჩის გასაღები, რომელიც ქანჩის და ჭანჭიკის თავს ზუსტად ერგება
- ✓ საჭრელი ინსტრუმენტებით მუშაობისას ხელები მჭრელი პირის უკან უნდა იყოს.
- ✓ უქარქაშო დანები, საჭრისები და სხვა ბასრი ინსტრუმენტები უნდა ინახებოდეს უსაფრთხო ადგილას და არა ჯიბეში.

- ✓ ინსტრუმენტები უნდა ინახებოდეს სუფთად. ბასრი ინსუმენტის პირები დაცული უნდა იყოს ხელში ჭერისას ან შენახვის დროს.
- ✓ ღოჯით მუშაობისას, მასშტაბის აღებისას, ქვისა და ბეტონის მოპირკეთებისას, ცეცხლგამძლე მასალების ზედაპირზე დატანისას და მოქლონების ჭრისას ან ნებისმიერი იმ სამუშაოსას, როდესაც არსებობს ნაპერწკლების ან ნამსხვრევების საფრთხე, მუდამ უნდა გამოიყენებოდეს დამცავი სათვალე.
- ✓ არაა რეკომენდირებული დაზიანებული ან გაცვეთილი იარაღის გამოყენება, მაგ., მოსუსტებულთავიანი ჩაქუჩი, გახლეჩილ ან მოსუსტებულსახელურიანი ქლიბი, მომრგვალებულთავიანი საჭრისები, ქანჩის გასაღები ცერა ტუჩებით.
- ✓ უსახელურო ქლიბით სარგებლობა არაა რეკომენდირებული, რადგან, მისი ბოლო სახიფათოა.
- ✓ პატარა ინსტრუმენტები არ უნდა მოთავსდნენ თავღია ცხაურებიან იატაკზე, რადგან ისინი შეიძლება ჩავარდეს და ვინმეს დაეცესამიტომ,გამოყენების შემდეგ, ისევ ინსტრუმენტების ჩანთაში უნდა მოთავსდეს.

9.15. მაღალი ელექტროგადამცემი ხაზები

საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების ქვეშ აღჭურვილობისა და დანადგარების მოძრაობა კონტროლდება ბოძებით, რომლებიც, თოკითა და გამაფრთხილებელი ლენტით აღიჭურვება. ბოძები ელექტროხაზებთან აღჭურვილობის შეხებას შეზღუდავს. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები ბოძების მდგომარეობასა და მომსახურებას დააკვირდებიან.

9.16. დაბლოკვის/მონიშვნის პროცედურა

წინამდებარე გეგმა ადგენს ელექტროენერგიის წყაროების იზოლაციის მინიმალურ მოთხოვნებს, რათა, უზრუნველყოფილი იყოს თანამშრომელთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა (ეს ხდება იქ, სადაც, ენერგიის უეცარმა ჩართვამ ან დაგროვილი ენერგიის გამოთავისუფლებამ შეიძლება დაშავება გამოიწვიოს).

იმ მოწყობილობებისგან, რომლებიც შესაძლოა ენერგიას იგროვებენ (ზამბარები, ასაწევი დანადგარების ნაწილები, მბრუნავი მქნევარები, ჰიდრავლიკური სისტემები, ჰაერი, აირი, ორთქლი, წყლის წნევა და ა.შ.), ენერგიის მოულოდნელმა გამოთავისუფლებამ შეიძლება ამ მოწყობილობასთან მომუშავე ადამიანის დაშავება გამოიწვიოს. ასეთი მოწყობილობები უნდა დავიცვათ ენერგიის მოულოდნელი გამოთავისუფლებისგან ან მოხდეს მათი შესაბამისი მარკირება.

ამ პროცედურის მიზანია იმ ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, რომლებიც მუშაობენ იმ ელექტრულ ან სხვა აღჭურვილობასთან, რომელმაც შეიძლება ენერგია გამოათავისუფლოს. ეს პროცედურა იმისათვის გამოიყენება, რომ აღჭურვილობა და დანადგარები გაჩერდეს, მოხდეს მათი იზოლაცია ყველა შესაძლო სახიფათო ენერგიის წყაროსგან და დაიბლოკოს მანამ, სანამ, მომსახურე პერსონალი შეაკეთებს მათ .

კომპანია მიაწვდის, ან დაავალდებულებს კონტრაქტორ კომპანიას დასაქმებულებს მიაწოდოს საკეტები, იარლიყები, ჯაჭვები, სოლები, გასაღების ბლოკი და სხვა

აღჭურვილობა, რომელიც, ამ პროცედურისთვის დაცვისთვის აუცილებელია. ენერგიის კონტროლის ერთადერთი საშუალებაა ბლოკირებული და მონიშნული მოწყობილობები. იარლიყებით მონიშვნა აუცილებელია ხიფათის შესახებ გაფრთხილებისთვის, თუ აღჭურვილობა ენერგიით არის დამუხტული, მაგ., წარწერა „არ ამუშაოთ“ სამუშაოს დაწყებამდე მოწმდება, გამორთულია თუ არა მოწყობილობა. სამუშაოს დასრულების შემდეგ ეს პროცედურა მეორდება პირუკუ მიმდევრობით. აუცილებელია, მინიმუმ, შემდეგი ინსტრუქციების დაცვა:

- ✓ სამუშაოს დაწყებამდე უნდა დაიბლოკოს ენერგიით დამუხტული აღჭურვილობა / მექანიკური სისტემები. დაბლოკვა შეიძლება იყოს რთული და დროში გაწელილი და მოითხოვოს ჟალუზების დაყენება და სარქველების მოხსნა ან შეიძლება იყოს მარტივი მაგ., ბურღის ან საოფისე პრინტერის ქსელიდან გამორთვა.
- ✓ დაუშვებელია დამონტაჟებული ბლოკებისა და იარლიყების მოხსნა.
- ✓ მუშაობის დაწყებამდე ყოველთვის უნდა შემოწმდეს აღჭურვილობა, არის თუ არა ენერგიის წყაროსგან დაცლილი.
- ✓ ყველა თანამშრომელს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია, რომ დანადგარი ან აღჭურვილობა საჭიროებს შეკეთებას, აუცილებელია რომ აღჭურვილობა ან დანადგარი გამოირთოს, დაიბლოკოს და მოინიშნოს შეკეთების მიზნით.
- ✓ ელექტრიკოსი ადგენს ენერგიის ტიპსა და სიხშირეს, რომელსაც, დანადგარი მოიხმარს, აფასებს ენერგიის საფრთხეს და იცის ენერგიის მართვის მეთოდები.
- ✓ დანადგარის ან აღჭურვილობის გამორთვა უნდა მოხდეს შესაბამისი ინსტრუქციის მიხედვით. თანმიმდევრული გამორთვა საჭიროა დამატებით საფრთხეების თავიდან ასარიდებლად.

შეკეთების დასრულების შემდეგ და როდესაც დანადგარი ან აღჭურვილობა მზად არის ჩვეულ მუშაობას დაუბრუნდეს, საჭიროა შემდეგი:

- ✓ უნდა შემოწმდეს დანადგარი ან აღჭურვილობა და სამუშაო არეალი, რათა უზრუნველყოფილი იყოს არასაჭირო საგნების მოცილება და აღჭურვილობისა და დანადგარის კომპონენტების დაუზიანებლობა.
- ✓ უნდა შემოწმდეს სამუშაო არეალი და დასაქმებულების სამუშაო პოზიციები;
- ✓ შემოწმდეს ელექტრიკოსის პოზიცია.
- ✓ პროექტის მენეჯერი, რომელმაც მოწყობილობა დაბლოკა და მონიშნა, ხსნის ბლოკს და მონიშვნებს და აღჭურვილობას ან დანადგარს ხელახლა მუხტავს ენერგიით. საჭიროების შემთხვევაში, დასაქმებული პროექტის მენეჯერს ატყობინებენ ხელახალი ჩართვის შესახებ.
- ✓ როდესაც ელექტრიკოსი არ იმყოფება ადგილზე, დაბლოკვას და მონიშვნის მოხსნას ახორციელებს უბნის უფროსი.

9.17. ხელით აწევა და დამუშავება

საგნების ხელით აწევისა და მოპყრობას დროს, წორად მუშაობის შემთხვევაში, , უზრუნველყოფილია დასაქმებულის დაცვა ნაღრძობებისა და ზურგის ტკივილისგან. კომპანიის დასაქმებული შეასრულებს ამ მითითებებს, რათა ამ ტიპის დაშავება შეამციროს. კომპანიის სამშენებლო ობიექტებზე დასაქმებულმა პირებმა უნდა დაიცვან შესაბამისი ზომები დაზიანებების თავიდან არიდებისთვის.

ყოველთვის გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:

- ✓ კონკრეტულ საქმეზე დასაქმებულის შესაძლებლობა
- ✓ რა სახის ტვირთია;
- ✓ გარემო პირობები;
- ✓ ტრენინგის საჭიროება;
- ✓ მუშაობის ორგანიზება.

ხელით აწევა:

- ✓ დასაქმებულის დახრა, მოხრა და გაწელვა მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი;
- ✓ არ არის რეკომენდირებული იატაკიდან აწევა ან მხრის სიმაღლეზე მაღლა აწევა, განსაკუთრებით მძიმე ტვირთების შემთხვევაში;
- ✓ შესანახი არე უნდა მოეწყოს ისე, რომ ასეთი მოძრაობები მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი;
- ✓ ხელით მასალების გადატანა არ უნდა ხდებოდეს შორ მანძილზე;
- ✓ უნდა შეფასდეს შეძლებს თუ არა დასაქმებული ამ ტვირთის უსაფრთხოდ გადატანას თუ დახმარება დასჭირდება - შესაძლოა, ტვირთი დაიშალოს უფრო მცირე და მსუბუქ ნაწილებად.

9.18. წნევის ქვეშ მყოფი სისტემები

ისეთ აღჭურვილობასთან ან მის სიახლოვეში მუშაობისას, რომელიც წნევის ქვეშ მყოფი სისტემის ნაწილია (ჰაერის კომპრესორი და ა.შ.), აუცილებელია განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა. წნევის ქვეშ მყოფი აღჭურვილობის თუნდაც მცირედმა ამოხეთქვამ შეიძლება დამანგრეველი ენერგია გამოათავისუფლოს. ასევე, ძალიან სახიფათოა სისტემები, რომლებიც წნევის ქვეშ სითხეებს შეიცავენ. აღჭურვილობას შეიძლება მოწყდეს მძიმე სამაგრები და წნევის ქვეშ სითხე გამოისროლოს, რამაც შეიძლება დააბრმავოს, დაწვას კანი ტოქსიკური სითხეებით ან გამოიწვიოს სიკვდილი. წნევის ქვეშ მყოფ აღჭურვილობასთან მუშაობისას საჭიროა უსაფრთხოების შემდეგი წესების დაცვა:

- ✓ წნევის სისტემის გახსნამდე მომუშავე პერსონალი უნდა დარწმუნდეს, რომ წნევა გამოშვებულია;

- ✓ მომუშავე პერსონალი უნდა დარწმუნდეს, რომ წნევის ქვეშ მყოფ სისტემას დამატებული ყველა სამაგრი სწორი ზომისა და სიმძლავრისაა;
- ✓ მომუშავე პერსონალი უნდა დარწმუნდეს, რომ წნევის ქვეშ მყოფი სისტემის ხრახნის/ჭანჭიკის კუთხვილები არის სუფთა, კარგ მდგომარეობაში და სრულად მოჭერილია მუშაობის დამთავრებისას;
- ✓ პროექტის მენეჯერს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ნებისმიერი დეფექტის შესახებ;
- ✓ წნევის ქვეშ მყოფი აღჭურვილობა არ უნდა დაექვემდებაროს დარტყმით დატვირთვებს, როგორიცაა მაგალითად, ჩაქუჩით დარტყმა ან დავარდნა.
- ✓ წნევის ქვეშ მყოფი აღჭურვილობა არ უნდა დაექვემდებაროს გახურებას და ასეთ აღჭურვილობაზე (მიუხედავად იმისა, წნევის ქვეშ იქნება თუ არა) შესაბამისი ნებართვის გარეშე რაიმეს მიდუღება აკრძალულია.
- ✓ მილგაყვანილობა არ უნდა გაიჭრას იქამდე, სანამ, არ შემოწმდება მისი კავშირი წნევის ქვეშ მყოფ სისტემასთან.
- ✓ არ შეიძლება უსაფრთხოების სარქველების იზოლირება;
- ✓ აღჭურვილობა, რომელიც შესაძლოა იყოს წნევა, განიხილება, როგორც წნევის ქვეშ მყოფი, სანამ არ შემოწმდება, რომ წნევა მასში არის ნოლი.

10 ამწეები და ამწევი მოწყობილობები

ამწეები და ამწე მოწყობილობები უნდა იყოს გამართული და სათანადოდ აწყობილი. მათი დაშლა და აწყობა შეიძლება მხოლოდ უბნის უფროსის და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ზედამხედველობით. ამწის ან ამწე მოწყობილობის ყველა ნაწილი (მათ შორის, ანკერების, დამაგრების, სტაბილიზაციისა და საყრდენი საშუალებები), რომელთა მწყობრიდან გამოსვლა მათ უსაფრთხო მუშაობას დაარღვევს, უნდა იყოს:

- ✓ სათანადოდ დამზადებული, სათანადოდ ძლიერი იმ მიზნის შესაბამისად, რომლისთვისაც იგი გამოიყენება და არ უნდა ჰქონდეს დეფექტი;
- ✓ საჭიროა ხსენებული მოწყობილობების სწორი მომსახურება.

10.1. ამწეების და გარკვეული ამწე მოწყობილობების ტესტირება და შემოწმება

დაუშვებელია ამწის პირველად გამოყენება ან მასში ცვლილებების შეტანისა და შეკეთების შემდეგ გამოყენება, თუ არ მოხდა მისი სრული ტესტირება და შესწავლა ინსპექტრების ორგანოს მიერ და თუ არ გაიცა ასეთი ტესტირება-შემოწმების სერტიფიკატი, რომელიც შეიცავს ყველა დეტალის დამტკიცებას და ხელმოწერილია იმ პირის მიერ, რომელმაც ეს ტესტირება და შემოწმება ჩაატარა;

დაუშვებელია ამწის გამოყენება, თუ ის პერიოდულად დაწვრილებით არ შეამოწმა კონტრაქტორის ზედამხედველმა პირმა; ეს პერიოდულობა განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით ან შეიძლება იყოს ნაკლები პერიოდებიც, მითითებების მიხედვით.

თუ კომპეტენტური პირი ატარებს დაწვრილებით შემოწმებას და ის მივიდა იმ აზრამდე, რომ დაუშვებელია ამწის უსაფრთხო გამოყენება უნდა შეჩერდეს სამუშაო ამწის შეკეთებამდე;

ასეთ შემთხვევაში, კონტრაქტორი პირი დაუყოვნებლივ ატყობინებს, ამწე მოწყობილობის კომპანიას, რომლებიც, ამ ინფორმაციის მიღებისთანავე, მოხსნიან ამ ამწეს ექსპლუატაციიდან;

10.2. ამწეების სტაბილურობა

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება ამწის ან ამწე მოწყობილობის სტაბილურობისადმი, როდესაც ისინი გამოიყენება ისეთ ზედაპირზე, რომელიც უსწორმასწოროა, ან შეიძლება ჩაიზნიქოს ამწის, ამწე მოწყობილობის და ტვირთის წონის გამო;

კოშკურა ამწის ან სხვა, გადასატანი ბალასტით სტაბილიზებული ამწის ყოველი აწყობა-დაშლის შემდეგ (შენობასთან მუშაობის ან საინჟინრო სამშენებლო სამუშაოებისას) და ადგილიდან ასეთი ამწის გაყვანის ან ადგილზე მოძრაობის შემდეგ, ან ასეთი ამწის რომელიმე ნაწილის რეგულირების შემდეგ, იქნება ეს მოხსნა თუ რეგულირება, რომელიც ამწის ანკერებასა და ბალასტირებაში ცვლილებას იწვევს, უნდა შემოწმდეს ანკერების და ბალასტის ადეკვატურობა კონტრაქტორის ზედამხედველი პირის მიერ (უბნის უფროსი, საქმის მწარმოებელი), სანამ ასეთ ამწეს ისევ გამოიყენებენ. შემოწმება წარიმართება დატვირთვით, რომელიც ამწის მიერ ასაწევ მაქსიმალურ დატვირთვას 25%-ით აღემატება, მას მერე, რაც ამწე აეწყობა იმ პოზიციებზე, სადაც თითოეულ ანკერზე მაქსიმალური მოქაჩვა მოდის. შესაძლებელია ნაკლები დატვირთვა ანკერების ან ბალასტის დაგეგმვისთვის. უნდა შედგეს ჩატარებული ტესტირების ანგარიში. დაწვრილებით ანგარიშს ხელს აწერს პირი, რომელმაც ჩაატარა ტესტირება. ანგარიში დაუყოვნებლივ უნდა შედგეს და გაეგზავნოს შრომის უსაფრთხოების მენეჯერს, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს და პროექტის მენეჯერს;

- ✓ ამწის სტაბილიზაციისთვის გამოყენებული ნებისმიერი გადასატანი ბალასტი ამწე მოწყობილობაზე სწორად უნდა განთავსდეს და სათანადოდ დამაგრდეს, რათა შემთხვევით არ მოხდეს მისი გამოძრავება.
- ✓ თუ ამწის სტაბილურობას მოხსნადი სიმძიმეები უზრუნველყოფენ, მაშინ ამწეზე მაგრდება დიაგრამა ან შენიშვნა, რომელიც, კარგად უნდა ჩანდეს და თითოეულ მოხსნად სიმძიმეს მისი შესაბამისი წონა უნდა ეწეროს;
- ✓ დაუშვებელია ამწის გამოყენება ან მისი აღმართვა ისეთ ამინდში, რომელიც მის სტაბილურობას საფრთხეს შეუქმნის;
- ✓ როგორც კი ამწე აღმოჩნდება ისეთ ამინდში, რომელიც მის სტაბილურობას საფრთხეს შეუქმნის, მაქსიმალურად მალევე უნდა შემოწმდეს ანკერების განაწილება და ბალასტი. შემოწმებას კომპეტენტური პირი ახდენს. ამწე არ გამოიყენება, სანამ მისი სტაბილურობა უზრუნველყოფილი არ იქნება;
- ✓ ყველა მოძრავ ამწეს უნდა ჰქონდეს დონის შესაფერისი ინდიკატორი, გარდა ამწეებისა, რომლებიც ხაზზე ან ლიანდაგებზე მოძრაობენ. ინდიკატორებს ამწეკრანის ოპერატორი თავისი კაბინიდან ყოველთვის კარგად უნდა ხედავდეს.

10.3. კომბინირებული აწევა (კომბინირებული გადაადგილება სიმაღლეზე)

იქ, სადაც ერთი ტვირთის აწევას ან ჩამოწევას 2 ამწე სჭირდება:

- ✓ აწევის ოპერაცია იგეგმება წინასწარ;
- ✓ აწევის ოპერაციის ზედამხედველად ინიშნება პირი, რომელიც ოპერაციას თავიდან ბოლომდე ესწრება;
- ✓ გამოყენებულ უნდა იქნეს ერთნაირი ამწეობისა და მსგავსი კონსტრუქციის ამწეები;
- ✓ აწევის ოპერაცია ისე უნდა დაიგეგმოს, რომ, თითოეულ ამწეზე ტვირთი ამწის უსაფრთხო სამუშაო დატვირთვის 3/4-ს არ აჭარბებდეს.

ერთი ტვირთის ასაწევად ან დასაწევად 2 ამწეზე მეტი არ გამოიყენება.

10.4. უსაფრთხო სამუშაო დატვირთვის მარკირება (SWL)

ყველა ამწეზე, ჯალამბარზე, შკივზე, ტალზე, ორკაპა სატვირთველზე და ნებისმიერ ამწე მოწყობილობაზე უნდა მოინიშნოს უსაფრთხო სამუშაო დატვირთვა და განმასხვავებელი ნომერი ან ნიშანი.

ყველა ამწე, რომელსაც უსაფრთხო სამუშაო დატვირთვა გააჩნია, რომელიც იცვლება სამუშაო რადიუსის ან ისრის დახრის მიხედვით, უნდა აღიჭურვოს ზუსტი ინდიკატორით, რომელიც, სამუშაო რადიუსსა და ისრის დახრას აჩვენებს არსებულ დროს. ამგვარად, სამუშაო რადიუსის ან ისრის დახრის შესაბამისი უსაფრთხო სამუშაო დატვირთვა ნაჩვენებია ინდიკატორზე. ასევე, შეიძლება მისი გამოთვლა ოპერატორის კაბინაში არსებული ცხრილების მიხედვით. აღნიშნული ცხრილები მწარმოებლის მიერ მზადდება.

ინდიკატორებს და უსაფრთხო სამუშაო დატვირთვებს შესაბამისი მოვლა სჭირდება. ისინი ყოველთვის კარგად უნდა ჩანდეს ამწის კაბინიდან, რომ ოპერატორმა მათი დანახვა შეძლოს.

უსაფრთხო სამუშაო დატვირთვების ცხრილებში შესაფერისი და საკმარისი ჩანაწერები უნდა იყოს, რომ ოპერატორმა უსაფრთხო სამუშაო დატვირთვის განსაზღვრა შეძლოს ნებისმიერ სამუშაო რადიუსზე და ისრის ნებისმიერ დახრაზე, სამუშაო რადიუსის ფარგლებში და ისრის დახრის კუთხეებში.

10.5. აწევის ოპერაციები

დაუშვებელია ამწის, ორკაპა სატვირთავის, მექანიკური სატაცი მოწყობილობის, მექანიკური ჩამჩის ან ხიმინჯების ჩასასმელი მანქანის გამოყენება, თუ არ დაკმაყოფილდა შემდეგი პირობები:

- ✓ ამწის ოპერატორმა ან ამწის ან მოწყობილობის მესაკუთრემ უნდა დაამოწმოს, რომ პირი ამ საქმეში კომპეტენტურია; ან
- ✓ პირი, რომელიც გადის ტრენინგს ამწე-მოწყობილობის მართვაში, მასუნდა მართავდეს შესაბამისი სერტიფიცირებული პირის მუდმივი და უშუალო ზედამხედველობის ქვეშ.

დამსაქმებელს და ოპერატორ მემანქანეს უნდა ჰქონდეთ სერტიფიკატი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არის გაცემული და რომელსაც ტექნიკური ინსპექტორი შეამოწმებს.

10.6. ძირითადი მოთხოვნები

ამწის ოპერაციებში ჩართულმა პერსონალმა უნდა უზრუნველყოს, რომ დასაქმებულებს ჰქონდეთ ზუსტი ინფორმაცია ასაწევი ტვირთების შესახებ და აწეული ტვირთის ქვეშ არავინ უნდა იდგეს.

ზოგადად, ამწის ოპერატორები შემდეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდნენ:

- ✓ უნდა გააჩნდეთ ამწის მართვის კომპეტენცია და სერთიფიკატი
- ✓ ფიზიკურად შეეძლოთ ამწის უსაფრთხო მართვა;
- ✓ ესმოდეთ სლინგერ/რიგერის (ან მარეგულირებლის) მოვალეობები და სრულად ესმოდეთ სიგნალები;
- ✓ მომზადებული იყვნენ კონკრეტულ ამწეზე მუშაობისთვის;
- ✓ შეეძლოთ მანძილების, სიმაღლეების და ხილვადობის განსზღვრა და ფერების გარჩევა.

10.7. სიგნალიზაცია

- ✓ თუ ამწის ოპერატორი ვერ ხედავს კარგად ტვირთს ან თუ ტვირთი არ არის, მაგრამ ვერ ხედავს ტვირთის დამაგრების ადგილს და სამუშაოს გარშემო მიდამოს (გარდა იმ ადგილებისა, სადაც ასეთი ხილვადობა არ არის აუცილებელი უსაფრთხო მუშაობისთვის), მაშინ, უნდა დაინიშნოს და სათანადოდ დადგეს ერთი ან რამდენიმე კონტრაქტორის ზედამხედველი პირი, რომლებიც ოპერატორს საჭირო სიგნალებს მისცემენ;
- ✓ მესიგნალის მიერ მიცემული ამწის მოძრაობის ან გაჩერების ყოველი სიგნალი კარგად უნდა ჩანდეს და ისმოდეს;
- ✓ ოპერატორი ემორჩილება მხოლოდ დანიშნულ მესიგნალეს სიგნალებს, გარდა შემთხვევისა, როდესაც ოპერატორი მიიღებს სხვა თანამშრომლისგან საგანგებო გაჩერების სიგნალს.

10.8. მიწის პირობები (მახასიათებლები)

მიწის პირობები:

- ✓ აწევის დაგეგმვისას, ყურადღება უნდა მიექცეს მიწის პირობებს.
- ✓ საყრდენი დგარი და დანადგარის დასატვირთი მონტაჟდება ამწის განთავსებამდე; კონტრაქტორის უბნის ზედამხედველა და საქმისმწარმოებელმა პირმა, ასევე უნდა გაითვალისწინონ ის დამატებით წონა, რომელიც აწევის დროს იქნება;
- ✓ როდესაც ამწე განთავსდება სამშენებლო არეში და ბეტონის ზედაპირზე, უსაფრთხო დატვირთვის ზღვრები გამოითვლება ბეტონის, ფუნდამენტის დასხვა სპეციფიკაციიდან გამომდინარე, უშუალოდ იმ არეში. სხვა არეებისთვის საჭიროა სიმკვრივისა და შემჭიდროების თვისებების შეფასება.

10.9. ამწევი მექანიზმი

ამწევი მექანიზმი არის აღჭურვილობის ნაწილი, რომელიც კაუჭის ქვემოთ არის და გამოიყენება ტვირთის მისამაგრებლად. ამწევი მექანიზმი მოიცავს:

- ✓ ჯაჭვებს;
- ✓ სლინგებს (მავთული ტროსებიანი სლინგი, სინთეტიკური ნაქსოვი სლინგები და ა.შ)
- ✓ კავებს;
- ✓ კაუჭებს;
- ✓ ჯაჭვული სლინგების მარეგულირებლებს;
- ✓ გამანაწილებელ კოჭებს;
- ✓ ასაწევ ჩარჩოებს.

ყველა ამწევი მექანიზმი მოწმდება კონტრაქტორის უბნის უფროსის და საქმისმწარმოებლის/რიგერის/მესიგნალეს მიერ, სანამ მას გამოიყენებენ.

11. ციცაბო ფერდობებზე ან რთულ რელიეფზე მუშაობა

წინასწარი კვლევა ადგენს იმ არეებს, სადაც საჭირო იქნება უჩვეულო პირობებში მუშაობა ან არეებს, რომლებიც განსაკუთრებულ რისკს წარმოადგენს უსაფრთხოების კუთხით. განსაკუთრებით, საუბარია, ციცაბო ფერდობებზე. ციცაბო ფერდობებად განისაზღვრება ის ფერდობები, რომელთა დახრა არის 20°-ზე მეტი, თუმცა, ნაკლებ ციცაბო ფერდობებსაც უნდა მიექცეს ყურადღება, სადაც გასათვალისწინებელია ნიადაგი, ამინდის პირობები და მისადგომები.

ასეთი არეებისთვის მომზადდება და შემუშავდება დაწვრილებით სამუშაო პირობები, რომელშიც მოცემული იქნება მუშაობის ტექნიკა და უსაფრთხოების ზომები.. ასეთი დოკუმენტის მიზანია ავტომობილების/აღჭურვილობის მისასვლელად და მასალების შესანახად საჭირო მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილება.

12. დამატებითი მოთხოვნები ზამთრის სამუშაოების დროს

12.1. ძირითადი მოთხოვნები

დასაქმებულები, რომლებიც გარეთ / ღია ცის ქვეშ მუშაობენ, სიცივესთან დაკავშირებულ საფრთხეს ექვემდებარებიან. ყინვაში ხანგრძლივმა მუშაობამ შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის პრობლემები, როგორებიცაა სხეულის ნაწილების მოყინვა და ჰიპოთერმია. დასაქმებულები ზამთრის ამინდში განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყვნენ ასეთი ამინდის ზემოქმედების კუთხით, ასევე, გაითვალისწინონ სათანადო პრევენციული ტექნიკა და სიცივით გამოწვეული ჯანმრთელობის პრობლემების მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში ადგილზე უნდა ჩატარდეს მკაცრ ამინდში მუშაობის ტრენინგი.

12.2. ცივი გარემო

ადამიანი სითბოს იღებს საკვებისგან და კუნთების მუშაობისგან, ხოლო სითბოს კარგავს კონვექციით, კონდუქციით, გამოსხივებით, ოფლით. რაც უზრუნველყოფს სხეულის მუდმივ ტემპერატურას.

როდესაც სხეულის ტემპერატურა ნორმალურ ზღვარზე თუნდაც რამოდენიმე გრადუსით ქვემოთ ეცემა 370C, სისხლძარღვები იკუმშება, იკლებს პერიფერიული სისხლის დინება, რათა კანის ზედაპირიდან სითბოს დანაკარგმა იკლოს. კანკალი წარმოქმნის სითბოს სხეულის მეტაბოლიზმის კოეფიციენტის ზრდით.

ოთხი გარემო პირობა, რომელიც იწვევს სიცივისგან სტრესს: დაბალი ტემპერატურა, ძლიერი ცივი ქარი, სინესტე და ცივი წყალი. ქარისგან გაციება, ტემპერატურისა და სიჩქარის კომბინაცია, არის გარეთ მუშაობისას გასათვალისწინებელი არსებითი ფაქტორი. მაგალითად, როდესაც ქარის ჰაერის ნამდვილი ტემპერატურა არის 40C, მისი სიჩქარე კი 56 კილომეტრი საათში, დაუცველი კანი იგივე პირობებშია, როგორც -110C იქნებოდა ქარის გარეშე. ძლიერ ქარსა და დაბალ ტემპერატურებზე მომუშავე ადამიანი შეიძლება აღმოჩნდეს სახიფათო სიტუაციაში, როდესაც ის სითბოს კარგავს.

კომპანიის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სპეციალისტი უნდა დარწმუნდეს, რომ ყველას, ვინც ცივი გარემო პირობების გავლენას განიცდის, შესაბამისად იყოს ჩაცმული და აღჭურვილი.

13. სამუშაო ადგილის ინსპექტირება და მონიტორინგი

არსებობს მონიტორინგის მრავალი ტიპი, თუმცა მათი ზოგადი კლასიფიკაცია არის „აქტიური“ ან „რეაქტიული“.

აქტიური მეთოდები აკვირდება მართვის გეგმის პროექტს, განვითარებას, მონტაჟს და მუშაობას. ეს, თავისი ბუნებით, პრევენციული ზომებია, მაგალითად:

- ✓ სათავსოების, დანადგარების და აღჭურვილობის რუტინული შემოწმება პერსონალის მიერ;
- ✓ ჯანმრთელობაზე დაკვირვება, რათა მისი დაზიანება ავირიდოთ;
- ✓ დანადგარების საკვანძო ნაწილების გეგმიური ფუნქციური შემოწმება.
- ✓ რეაქტიული მეთოდები აკვირდება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის ცუდ პრაქტიკას და ასევე ადგენს უკეთეს პრაქტიკას, რომელიც საქმიანობის სხვა სფეროებზე შეგვიძლია გადავიტანოთ, მაგალითად:
- ✓ შემთხვევებისა და ინციდენტების გამოძიება;
- ✓ ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევებზე დაკვირვება და ავადმყოფობის შესახებ ანგარიშის წარმოება.

უნდა შეირჩეს სწორი მიდგომა, რაც გამოყენებული იქნება ქმედებების გასაზომად. მცდარი გაზომვები გამოიწვევს ზედმეტ და უშედეგო ძალისხმევას.

როდესაც ვიღებთ გადაწყვეტილებას მონიტორინგის სიხშირეზე, მნიშვნელოვანია შემდეგი:

- ✓ ობიექტურობა;
- ✓ რისკის დონის გაანალიზება;
- ✓ აკვანძო რისკებზე და სიფრთხილის ზომებზე უფრო ხშირად და უფრო დეტალურად დაკვირვება;
- ✓ ყურადღება უნდა გამახვილდეს, რომ ზოგიერთი მონიტორინგისა და ინსპექციის სიხშირე კანონით განისაზღვრება.

უნდა დაიგეგმოს ქმედებები, რომლებიც გატარდება შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ქმედებების ცვალებადობის დროს. ქმედებების მონიტორინგი გამოიყენება:

- ✓ ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად;
- ✓ ადამიანებისა და ორგანიზაციების შეცდომებზე სასწავლად;
- ✓ მიღებული ცოდნის პროექტებთან გასაზიარებლად.

13.1. შრომითი უსაფრთხოების ინსპექტირება

უნდა შემუშავდეს პროგრამა, რომლითაც მინიმუმ თვეში ერთხელ ჩატარდება მთელი სამუშაო ადგილის შემოწმება. შემოწმება დაიგეგმება კომპანიის შრომის უსაფრთხოების მენეჯერის მიერ და დამტკიცდება გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების კომიტეტის მიერ. სამუშაო ადგილი შეიძლება ნაწილებად დავყოთ და თითოეულ ნაწილს თავისი ინსპექტორი ან გუნდი მივუჩინოთ, ინსპექტორებად ამ შემთხევაში მოიაზრებიან შრომის უსაფრთხოების მენეჯერი და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები. შესაძლებელია, ასევე, ინსპექტირების დანიშვნა დღიურად, ყოველკვირეულად, ყოველთვიურად ან ყოველწლიურად ან სხვა სიხშირით საკითხიდან, კანონის მოთხოვნებიდან და რეგულაციებიდან გამომდინარე ან აღჭურვილობის მწარმოებელთა რეკომენდაციების მიხედვით. საფრთხის დადგენის სისტემა და წარსული ინციდენტების ისტორია შეიძლება გამოყენებული იყოს იმ არეალის დადგენაში, რომელიც უფრო ხშირად იწვევს მონიტორინგის საჭიროებას. იდეალურად, ინსპექციები უნდა შესრულდეს იმ გრაფიკით , რომელიც სახიფათო პირობების შექმნას აგვარიდებს.

მონიტორინგის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს სამუშაო ადგილის შემდეგ ელემენტებზე: ადამიანები, გარემო, აღჭურვილობა და პროცესი. გარემო მოიცავს ისეთ საფრთხეებს, როგორებიცაა ხმაური, ვიბრაცია, განათება, ტემპერატურა და ვენტილაცია. აღჭურვილობა მოიცავს მასალებს, ინსტრუმენტებს და აპარატებს, რომლებიც სამშენებლო პროცესში გამოიყენება. პროცესი გულისხმობს დაგეგმილ საქმიანობებს და დავალებებს, რასაც სამშენებლო ობიექტზე დასაქმებულები იღებენ.

არსებობს ინსპექციების ოთხი მთავარი ტიპი:

- ✓ ფორმალური (გეგმიური) - ასეთი ინსპექცია ტარდება რეგულარულ ინტერვალებში.
- ✓ არაფორმალური (ადგილზე) - მას ატარებს მენეჯმენტი, ზედამხედველები ან/და შრომის უსაფრთხოების მენეჯერი და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები.

ისინი ადგენენ- არის თუ არა იქ სახიფათო მოქმედებები და პირობები. შემდეგ, ამზადებენ ანგარიშს ინპექტირების შესახებ.

- ✓ სპეციალიზებული ინსპექციები - ასეთ ინსპექტირებასსპეციალისტები ატარებენ (მაგ., ბოილერებისთვის, ელექტრო აღჭურვილობისთვის, მექანიკური ან სავენტილაციო სისტემებისთვის).
- ✓ სარეგულაციო - შედგება ინსპექციებისგან, რომლებსაც ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობაითხოვს. შენიშვნა: წინამდებარე შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გეგმა მოიცავს ფორმალურ და გეგმიურ ინსპექციებს.

შიდა ინსპექტირების გუნდში შედიან კომპანიის შრომის უსაფრთხოების მენეჯერი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და პროექტის მენეჯერი, ინსპექტირებას ესწრება კონტრაქტორის წარმომადგენელი.

ფორმალური ან გეგმიური ინსპექციები ტარდება ფორმალური საკონტროლო სიის მეშვეობით, რომელიც, შედგენილია კომპანიის შრომის უსაფრთხოების მენეჯერის მიერ, სამუშაო ადგილის საჭიროებების გათვალისწინებით. საკონტროლო სიის პუნქტები არ არის მუდმივი, რადგან ინციდენტები, პროცესში არსებული ცვლილებები და ცდომილებები იწვევს საჭიროებას, რომ საკონტროლო სიაში ახალი პუნქტები იქნეს დამატებული.

უზრუნველყოფილი უნდა იყოს დასაქმების ადგილის ინსპექტირება მინიმუმ თვეში ერთხელ, რათა დადგინდეს, თუ რა რისკებს ექვემდებარება დასაქმებულთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება.

შრომის უსაფრთხოების მენეჯერის მიერ შემუშავდება ინსპექტირების პროგრამა და ყოველი ინსპექციის შედეგები ეცნობება კომპანიის მენეჯმენტს.

დასაქმებულებს ჩაუტარდებათ შესაბამისი ტრენინგი, რომ მათ რეგულარულად შეამოწმონ დანადგარები, ინსტრუმენტები და აღჭურვილობა.

ინსპექტირების შედეგები იქნება დოკუმენტირებული და მნიშვნელოვან აღმოჩენებზე მოხდება შესაბამისი რეაგირება.

წარმატებული ინსპექტირება შემდეგ ნაბიჯებს მოიცავს:

1. ყველაზე აქტუალური საკითხების ჩამოწერა, მართვა და მათზე დაკვირვება.
2. ამოცანების შესრულებაზე დაკვირვება.
3. კითხვების დასმა და შენიშნების ჩაწერა.
4. აღჭურვილობის შემოწმება და მომსახურების ჩანაწერების შემოწმება.
5. სამუშაო ადგილის სისუფთავისა და ინსტრუმენტების შესანახი ადგილების შემოწმება.
6. ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ საკითხებზე, რომლებიც ერთი შეხედვით არ არის აშკარა, მაგალითად, სახანძრო გასასვლელის კარები არ იღება გარე მიმართულებით ან ჩახერგილია.

7. უნდა შემუშავდეს გასაგები პროცედურები, რომლებიც დაადგენენ, როდის და რამდენად ხშირად უნდა ჩატარდეს თითოეული ინსპექტირება. ზოგი ამოცანა საჭიროებს ყოველდღიურ ინსპექტირებას ან ინსპექტირებას ცვლის დაწყების წინ. უნდა განისაზღვროს, ვინ ჩაატარებს მათ.

8. სამუშაო ადგილი მოითხოვს ყოველთვიურ ინსპექტირებას, თუმცა შეიძლება საჭირო გახდეს უფრო ხშირი ინსპექტირება, ამიტომ უნდა შედგეს გრაფიკი სამუშაოს სიხშირის, საფრთხის დონის, ინციდენტებისა და შეცდომების ისტორიის გათვალისწინებით.

9. აუცილებელია ყველა ინსპექტირების, აღმოჩენების, რეკომენდაციების და შესრულების შემოწმებების შესახებ ანგარიშების მომზადება.

10. ანგარიშები ეგზავნება კომპანიის მენეჯმენტს.

14. გარემოსდაცვითი საკითხები

14.1. ძირითადი

კომპანია მართავს პროცესებს ისე, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი გარემოზე ქიმიური ნივთიერებების ზეგავლენა მათი სწორი შერჩევის, გამოყენების და განკარგვის მეშვეობით. კომპანია მიიღებს ყველა ზომას, რომ ქიმიური ნივთიერებები მიწაზე და წყალში არ დაიღვაროს. ნებისმიერი ტიპის სამუშაოს დაწყებამდე კომპანია (კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მენეჯერი), შეაფასებს გარემოსთან დაკავშირებულ რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია პროექტის განხორციელებასთან და შეიმუშავებს გარემოსდაცვით და სოციალურ მართვის გეგმას, სადაც განსაზღვრული იქნება კონკრეტული ქმედებები და პასუხისმგებლობები გარემოს დაცვასთან დაკავშირებით. კომპანიის მიზანია არ მიადგეს ზიანი გარემოს. ამიტომ, ყველა დასაქმებულის პასუხისმგებლობაა, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს სამუშაოებით გამოწვეული ნეგატიური ზეგავლენა. აღნიშნული შესაძლებელია შემდეგი მიდგომით:

- ✓ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ის არეალი, რომელზეც მოსალოდნელია ზეგავლენა;
- ✓ ტერიტორიის სუფთად შენარჩუნება;
- ✓ ნარჩენების მართვა მოხდება ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად, რომელიც შეთანხმებული იქნება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.
- ✓ ადგილზე უზრუნველყოფილი იქნება დაღვრის საწინააღმდეგო ნაკრები (Spill Kit), რათა მოხდეს ყველა დაღვრის კონტროლი და მართვა, იქნება ეს დაღვრა საწყობიდან თუ ობიექტზე მომუშავე ტექნიკიდან.
- ✓ საღებავების, საწვავის და სხვა სახიფათო მასალის შესანახად მოეწყობა სპეციალური საწყობი, რათა თავიდან იყოს არიდებული ნიადაგის დაბინძურება.
- ✓ ფლორისა და ფაუნის სახეობებზე მოსალოდნელი ზიანი შეფასდება პროექტის დაწყებამდე და საჭიროების შემთხვევაში შემუშავდება შესაბამისი ღონისძიებები ზიანის თავიდან ასარიდებლად ან მინიმუმამდე შესამცირებლად.

- ✓ რეგულარულად უნდა მომწმდებოდეს ზეთისა და საწვავის გაჟონვები. თუ დანადგარს ძლიერი გაჟონვა აქვს, ის დაუყოვნებლივ უნდა შეკეთდეს,თუმცა შეკეთების დასრულებამდე გაჟონვის ადგილის ქვეშ განთავსდება ქვესადგამი, რათა გაჟონვამ ნიადაგში არ შეაღწიოს.

14.2. სამუშაო გარემოზე ზრუნვა

სამუშაო გარემოზე ზრუნვა არის სამშენებლო საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი და ის იქნება პროექტში მომუშავე ყველა კონტრაქტორის და ქვე-კონტრაქტორის პასუხისმგებლობა.

სამუშაო არეები, მისასვლელი გზები და ყველა სხვა არე ნაგვისა და მასალებისგან თავისუფალი უნდა იყოს, შესანახი ადგილები უნდა იყოს სუფთა, ხოლო მასალები აკურატულად დალაგებული. ბილიკებსა და ისეთ ადგილებზე, სადაც პერსონალი გადაადგილდება არ განთავსდება აღჭურვილობა და სხვა მასალები, რათა დასაქმებულებმა შეძლონ შეუფერხებლად გადაადგილება, თავიდან იქნეს არიდებული მათი დაშავება და სხვა ინციდენტები. სახიფათო მასალები შეინახება ან დალაგდება და მათთან მოპყრობა მოხდება სახიფათო მასალების მართვის გეგმის შესაბამისად.

ბეტონის გამყარების შემდეგ ყალიბები დაიშლება და მათგან დაუყოვნებლივ მოხდება ლურსმნების ამოღება.

სასადილო არეებში შენარჩუნებული უნდა იყოს სისუფთავე, უნდა გაიწმინდოს საკვების ნარჩენებისგან, შესაფუთი მასალისგან, ქაღალდის ჭიქებისგან და სხვა ნარჩენებისგან.

ყველა მასალა და აღჭურვილობა, რომელიც გარეთ იქნება განთავსებული, იქნება დაცული ცუდი ამინდის პირობებში.

14.3. გარემოსდაცვითი ღონისძიებები

კონტრაქტორმა ყურადღება უნდა მიაქციოს სატრანსპორტო საშუალებების/მექანიზმების და დანადგარების გამართულ მუშაობას, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი გარემოს დაბინძურების რისკი საქართველოში მოქმედი და საერთაშორისო კანონმდებლობის გათვალისწინებით/შესაბამისად, ხოლო ასეთი ფაქტის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი აღმოფხვრითი ღონისძიებების გატარება. მაგ. შესაძლოა იყოს დაბინძურებული ადგილის ლოკალიზაცია, გამოუსადეგარი გრუნტის მოხსნა და გატანა გარემოს დაცვის რეგიონალური სამსახურის მიერ მითითებულ ადგილზე.

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მოთხოვნების სრული დაცვა.

14.3.1.დოკუმენტაცია

- ნარჩენების მართვის გეგმა
- სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების დოკუმენტაცია
- ნავთობპროდუქტების დაღვრის შემთხვევაში გასატარებელი პროცედურა

14.3.2. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვა

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების თავიდან აცილების/შერბილების მიზნით კონტრაქტორმა, უნდა დაიცვას დოკუმენტში მოცემული პირობები და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.
კონტრაქტორმა სასურველია შექმნას „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა“ და გააცნოს თავის დასაქმებულებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე და მოთხოვოს მასში მოცემული პირობების დაცვა.
საჭიროების შემთხვევაში დამკვეთი განახორციელებს გარემოსდაცვით მონიტორინგს გეგმის შესაბამისად. კონტრაქტორი ვალდებულია უზრუნველყოს „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის“ განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება.
კონტრაქტორი ვალდებულია, დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გარემოსდაცვითი მოთხოვნა, მათ შორის:

- სამშენებლო მასალები შეძენა მხოლოდ ლიცენზირებული მომწოდებლისაგან;
- ინერტული მასალების მოპოვების მხოლოდ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის საფუძველზე;
- მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს, ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში ბეტონის კვანძისათვის და შეათანხმოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, თუ ბეტონს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა);
- საუკეთესო უსაფრთხო/ჟანსაღი გარემოს შესაქმნელად, სასურველია კონტრაქტორმა, ასფალტის წარმოების შემთხვევაში, აიღოს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა
- მოახდინოს მიწის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ზედმეტი გრუნტის განთავსება, მუნიციპალიტეტის გამგეობასთან წერილობით შეთანხმებულ ადგილზე;
- იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტორის საქმიანობის შედეგად, წლის განმავლობაში წარმოიქმნება 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი ან 400 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი ან 120 კგ-ზე მეტი სახიფათო ნარჩენი, კომპანია „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად ვალდებულია: დანიშნოს გარემოსდაცვითი მმართველი და მის შესახებ წარუდგინოს ინფორმაცია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს; მოამზადოს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარუდგინოს ნარჩენების ინვენტარიზაციის ანგარიში; მოამზადოს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგინოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა.
- ხეების მოჭრა განახორციელოს მხოლოდ შესაბამისი ნებართვის მიღების შემდეგ;
- წითელი ნუსხით დაცული სახეობის მოჭრის შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი თანხმობა და გადაიხადოს დადგენილი საკომპენსაციო საფასური;
- ნარჩენების (მათ შორის - სახიფათო) განთავსება შესაბამის ნაგავსაყრელზე ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების დაცვით.
- სამუშაოების დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს სახიფათო მასალების მართვის გეგმა
- სამუშაოების დაწყებამდე წარმოადგინოს ზეთის დაღვრის შემთხვევაში გასატარებელი პროცედურა

- საუკეთესო უსაფრთხო/ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად, სასურველია კონტრაქტორმა სამუშაოების დაწყებამდე წარმოადგინოს წყლის, რესურსების და ენერგიის მართვის გეგმა
- საუკეთესო უსაფრთხო/ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად, სასურველია კონტრაქტორმა, სამუშაოების დაწყებამდე დაამტკიცოს და წარმოადგინოს კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა (შემთხვევითი აღმოჩენის პროცედურა).

15. ინციდენტის გამოძიება და ანგარიშგება

სამშენებლო ობიექტებზე მომხდარი ინციდენტის გამოძიება მონიტორინგის პროცესის არსებითი ნაწილია, რომლის ჩატარება კომპანიას მოეთხოვება.

ინციდენტების გამოძიება და ინციდენტის დეტალების გაზიარება დაგვეხმარება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დარღვევების აღმოჩენასა და გამოსწორებაში და საქმიანობის კანონთან შესაბამისობაში მოყვანაში. ინციდენტის გამოძიების შედეგები, ასევე, საჭიროა სადაზღვევო კომპანიებისთვის, იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშვება საჩივარი დასაქმებულისგან ან სხვა პირისგან.

ინციდენტის გამოძიება დაგვეხმარება იმის დადგენაში, თუ რატომ ვერ იმუშავა არსებულმა რისკის კონტროლის ზომებმა და რა გაუმჯობესება ან დამატებით ზომებია მისაღები. აღნიშნული:

- ✓ მნიშვნელოვანია რეალური სურათის შესახებ, თუ რა ხდება და როგორ სრულდება სინამდვილეში სამუშაო, პერსონალმა შეიძლება გაიადვილონ ან დააჩქარონ საქმე და ამიტომ უგულებელყონ წესები);
- ✓ მნიშნელოვანია მომავალში რისკის მართვის გაუმჯობესებაში;
- ✓ მნიშვნელოვანია კომპანიის მომავალი პროექტებისთვის, როგორც მიღებული გამოცდილება;
- ✓ ზრდის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას და აამაღლებს დასაქმებულის ცნობიერებას და მის აზროვნებას ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

ისეთი შეცდომების და არასასურველი გარემოებების გამოძიება, როდესაც არავინ დაშავებულა, არის სასარგებლო და შეიძლება უფრო ადვილიც, ვიდრე ინციდენტების გამოძიება.

სამუშაო ადგილებზე დანიშნულ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სპეციალისტებს აქვთ შემდეგი უფლება:

- ✓ სამუშაო ადგილზე გამოიძიონ პოტენციური საფრთხეები და სახიფათო შემთხვევები;
- ✓ შეისწავლონ სამუშაო ადგილზე მომხდარი შემთხვევების მიზეზები.

ყველა ინციდენტი/შემთხვევა გამოძიებული იქნება და მოხდება მათი ანგარიშგება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. დანართები

16.1. დანართი 1

სამუშაოს საფრთხის ანალიზი	საქმიანობა:	თარიღი:	☐ ახალი ☐ შესწორებული
ალტერნატიული ინსტრუქციები	სამუშაოს შემსრულებელი პირის პოზიცია:	ხელმძღვანელი:	ანგარიში შედგენილია:
ორგანიზაცია:		დამტკიცებულია:	
რეკომენდებული ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობა:			
სამუშაოს ძირითადი ნაბიჯების მიმდევრობა	პოტენციური საფრთხე	რეკომენდებული ქმედება ან პროცედურა	

<u>ინსტრუქციები:</u>

ეს ძირითადი ფორმა უნდა გამოიყენებოდეს „დანიშნულებისამებრ“, რათა დადგინდეს საფრთხეები, კონტროლი და ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობა სამუშაო ამოცანის დონეზე. შესაძლებელია ამ ფორის შეცვლა სამუშაო ადგილის საჭიროებების მიხედვით. სამუშაო საფრთხის ანალიზის საფუძველზე, საფრთხის შესახებ ინფორმაციის გამოყენება შეიძლება უსაფრთხო სამუშაო პროცედურების შესამუშავებლად.

საქმიანობა: პირველ რიგში, უნდა აირჩეს დასაკვირვებელი სამუშაო ან მთავარი აქტივობა და გაანალიზდეს ის.

ამოცანები ან ნაბიჯები: უნდა ჩამოიწეროს ამოცანები და ნაბიჯები, რომლებიც იმ სამუშაოს ნაწილს შეადგენენ, რომელიც საქმიანობის სვეტში ჩაიწერა.

მაგალითი: „ლენტური სამაგიდო ხერხით მუშაობა“ იქნება სამუშაო, ხოლო „მჭრელი პირის დაყენება“ და „ჭრა“ იქნება ცალკე ამოცანები.

საფრთხეები: ნებისმიერი პირობა, რომელმაც შეიძლება პოტენციურად გამოიწვიოს სამუშაოზე დაშავება, სიკვდილი ან დაავადება უნდა აღინიშნოს სამუშაო ადგილზე.. რეკომენდირებულია ანგარიში მოიცავდეს დეტალებს, თუ როგორ წარმოიქმნება დაშავება საფრთხის გამო.

საფრთხის მაგალითები მოიცავს შემდეგს: სიმაღლეზე მუშაობა, სრიალა ზედაპირები, დანადგარების ღია მოძრავი ნაწილები, ხანძარი, აფეთქება, ხმაური, ელექტრობა, ტოქსიკური ნივთიერებების გამოფრქვევა, კოროზიული ქიმიკატები, ჟანგბადის დაბალი დონე, სიმძიმეების აწევა, სისხლში არსებული ინფექციური პათოგენები, თავდასხმა, მკვლელობა.

მაგალითები იმისა, თუ როგორ ხდება დაშავება: სიმაღლეზე მუშობისას არის გადმოვარდნის რისკი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ძვლების მოტეხილობა, პარალიზება ან სიკვდილი; ხმაურის ზეგავლენამ შეიძლება ყურებში ძლიერი ხმაური და სმენის დაკარგვა გამოიწვიოს; კოროზიული ქიმიკატების ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს კანის დაზიანება და სიბრმავე; ჟანგბადის ნაკლებობის პირობებში მუშაობამ შეიძლება უეცარი გაგუდვა, გონების დაკარგვა და სიკვდილი გამოიწვიოს.

კონტროლი: აუცილებელია იმ მეთოდების ცოდნა, რომლის მეშვეობით შესაძლებელია საფრთხის მინიმუმამდე დაყვანა ან აღმოფხვრა. ეს არ მოიცავს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს.

კონტროლის მაგალითებია: უფრო უსაფრთხო ინსტრუმენტის ან ქიმიკატის გამოყენება, დანადგარებში დამცავების დამატება, უსაფრთხო სამუშაო პრაქტიკის გამოყენება, ადგილობრივი გამწოვი ვენტილაციის გამოყენება ტოქსიკური გამოყოფისთვის, ხმაურიანი აღჭურვილობის შეზღუდვა ან მისგან თანამშრომლის დაშორება, რათა შემცირდეს ხმაურის ზეგავლენა.

გვერდი 71 - 72-დან

16.2. დანართი 2.

აქტივობების განხორციელების მიმდევრობის რეგისტრაცია

შესრულებული	აქტივობა	პასუხისმგებელი პირი	მითითებული თარიღი	თარიღი	პრიორიტეტი	სტატუსი	% დასრულება	შენიშვნა
					დაბალი	არ დაწყებულა	20%	
					საშუალო	შესრულების პროცესში	40%	
✓					მაღალი	დასრულებული	100%	
						მოლოდინის რეჟიმი	80%	
						ვადაგადაცილება	60%	
✓						დასრულებული	100%	

შესრულებული	პრიორიტეტი	სტატუსი
✓	დაბალი	არ დაწყებულა
	საშუალო	შესრულების პროცესში
	მაღალი	დასრულებული
		მოლოდინის რეჟიმში
		ვადაგადაცილება

დამტკიცებულია:	შპს „რივერ ინვესტი“

ტრანსპორტის მართვის გეგმა სამშენებლო ობიექტისთვის

სარჩევი

1 შესავალი 3

2 ტერმინთა განმარტება 3

3 ფარგლები 3

4 პასუხისმგებლობა 4

4.1 ძირითადი 4
4.2 პროექტის მენეჯერი 4
4.3 შრომის უსაფრთხოების თანამშრომელი 4
4.4 გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მენეჯერი 5
4.5 მძღოლის სტანდარტები და პასუხისმგებლობები 5
4.6 მგზავრის სტანდარტები და პასუხისმგებლობები 5

5 ავტომობილის უსაფრთხოება 6

5.1 უსაფრთხოებისთვის საჭირო აღჭურვილობა 6
5.2 მოვლა-პატრონობა 6
*5.2.1 საპროექტო ტერიტორიაზე ავტომობილის/ხელსაწყოს შეკეთება .... **Error! Bookmark not defined.***
*5.2.2 საწვავით შევსება ..... **Error! Bookmark not defined.***
5.3 ზამთრის სამუშაოების დროს ავტომობილის/ხელსაწყოს მოვლა **ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.**
5.3.1 ავტომობილის გამოყენებამდე ჩასატარებელი შემოწმება 7
5.3.2 სატრანსპორტო საშუალებების გადაუდებელი საჭიროების ნაკრები 7

6 ინფრასტრუქტურა და ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები 8

7 მედროშე 8

1 შესავალი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია შპს „რივერ ინვესტი"-სთვის (შემდგომ „კომპანია") შეიქმნას ტრანსპორტის მართვის გეგმა. გეგმა შემუშავებულია კომპანიის მიერ გამოყენებული ავტომობილების აქტივობების შედეგად მოსალოდნელი ზეგავლენის შემცირების მიზნით. მასში მოცემულია ტრანსპორტის მართვის მიმოხილვა და მოიცავს ყველა მასალის, აღჭურვილობის და პერსონალის ტრანსპორტირების საკითხს.

მოცემული გეგმა ასევე ეხება მშენებარე ობიექტის (ქალაქი თბილისი, ლომაურის ქ. N3-ის მიმდებარედ - საკადასტრო კოდი: 01.17.01.038.023;) მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მოსახლეობაზე ხმაურისგან, მტვერისგან, ავტომობილების გამონაბოლქვისგან გამოწვეულ ზიანს და არსებულ ინფრასტრუქტურის გადატვირთვას. ეს საკითხები ასახულია ამ გეგმაში, ან მასთან დაკავშირებულ პროცედურებში, ან არაპირდაპირ მოცემულია სხვა პროექტთან დაკავშირებულ დოკუმენტებში და გეგმებში.

გეგმაში იდენტიფიცირებულია გარემოსდაცვითი და სოციალური პოტენციური ზეგავლენა, რომელიც დაკავშირებულია ტრანსპორტთან და ასევე მოცემულია ზეგავლენის თავიდან აცილების და შერბილების გზები.

2 ტერმინთა განმარტება

- კომპანია - შპს „რივერ ინვესტი" და მასთან აფილირებული კომპანიები.
- აფილირებული კომპანია - შპს „რივერ ინვესტი"-ს მიერ დაფუძნებული და მათი შვილობილი კომპანიები, ასევე, კომპანიები, რომლებიც პირდაპირი ორგანიზაციული/ან არაპირდაპირი ფორმით თავისი საქმიანობით დაკავშირებულია კომპანიასთან ან/და მოიაზრება მასთან ერთად, ერთ ბიზნეს ჯგუფში.
- ზემოქმედების ქვეშ მოქცეული საზოგადოება - ის პირები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ხვდებიან პროექტის ზეგავლენის ქვეშ და შესაძლებელია პროექტის განხორციელებამ გამოიწვიოს მათი ან მათი ქონების დაზიანება.
- ავტორიზებული პირი - პირი რომელიც მუშაობს სამშენებლო ობიექტზე და აქვს კონკრეტული პასუხისმგებლობა და დაშვება კონკრეტულ საქმიანობაზე.
- არა ავტორიზებული პირი - პირი რომელიც არ მუშაობს სამშენებლო ობიექტზე, ან მუშაობს სამშენებლო ობიექტზე თუმცა არ აქვს დაშვება კონკრეტულ საქმიანობაზე.

3 ფარგლები

ტრანსპორტის მართვის გეგმა ეხება შპს „რივერ ინვესტი"-ს სამშენებლო პროექტზე მოძრავ ნებისმიერ ავტომობილს და მძიმე ტექნიკას.
გეგმა ასევე ეხება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე პოტენციურ ზეგავლენას, კომპანიის პროექტების განხორციელების რადიუსში ავტომობილების მოძრაობის ზრდის გამო.
გეგმა ეხება:

- მოთხოვნებს მძღოლებისადმი და მათ ქცევას;

- მგზავრის ქცევას;
- ავტომობილების გამოყენებას, შენახვას და უსაფრთხოების სტანდარტებს.

4 პასუხისმგებლობა

4.1 ძირითადი

თითოეული თანამდებობისთვის მოვალეობები და პასუხისმგებლობები მოცემულია ქვემოთ. თითოეული ინდივიდი, რომელსაც დაკისრებული აქვს პასუხისმგებლობა, ეცნობება ამის შესახებ.
შპს „რივერ ინვესტი" და მისი ყველა კონტრაქტორი ვალდებულია:

- დანერგოს უსაფრთხოების, ჯანმრთელობის, გარემოს დაცვის და სოციალური მოთხოვნები.
- დანერგოს ტრანსპორტის მართვის გეგმის მოთხოვნები.
- გამოავლინონ წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საზოგადოების საჩივრების განხილვაზე და გადაწყვეტაზე.
- ტრანსპორტის მართვისა და შესაბამისი დოკუმენტების შემუშავებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება.

შპს „რივერ ინვესტი"-ს პროექტის მენეჯერებს, შრომის უსაფრთხოების პერსონალს, გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მენეჯერს და მძღოლებს/ოპერატორებს აქვთ საერთო პასუხისმგებლობა ტრანსპორტის მართვის გეგმის განხორციელებაზე.

4.2 პროექტის მენეჯერი

პროექტის მენეჯერი პასუხისმგებელია პროექტის შესრულებაზე. ამ გეგმასთან დაკავშირებით პროექტის მენეჯერის პასუხისმგებლობებია:

- გეგმის დანერგვის პროცესის მართვა.
- უზრუნველყოს მართვის გეგმის შესრულებისთვის საჭირო რესურსის მობილიზება (ადამიანური, ტრანსპორტის და აღჭურვილობის რესურსის ჩათვლით).

4.3 შრომის უსაფრთხოების თანამშრომელი

კომპანიის შრომის უსაფრთხოების მენეჯერი პასუხისმგებელია გეგმა გააცნოს პროექტში ჩართულ შესაბამის პირებს.
საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილი შრომის უსაფრთხოების ოფიცრის პასუხისმგებლობებია:

- უზრუნველყოს, რომ ამ გეგმის მოთხოვნები შესრულდეს ობიექტზე;
- უზრუნველყოს ყველა საჭირო ტრენინგის ჩატარება ობიექტის თანამშრომლებისთვის და მძღოლებისთვის/ობიექტებისთვის;
- უზრუნველყოს, რომ ყველა აღჭურვილობა და ტრანსპორტი, რომელიც შემოდის ობიექტზე არის უსაფრთხო და წესების შედეგად შენახული.
- დარწმუნდეს, რომ ავტომობილებიდან და აღჭურვილობიდან არ ხდება ჰიდრავლიკური ზეთის ან საწვავის გაჟონვა.
- ამ გეგმასთან დაკავშირებული ინციდენტების ან შეუსაბამობების შემთხვევაში წარუძღვეს გამოძიების პროცესს, წარმოადგინოს ინციდენტის რეპორტი, სადაც მოცემული იქნება ინციდენტის მიზეზი და შეუსაბამობის გამოსწორებისთვის საჭირო ქმედებები.

4.4 გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მენეჯერი

გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მენეჯერი პასუხისმგებელია ამ გეგმაში მოცემული გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების დანერგვაზე. შესაბამისად, გარემოსდაცვითი და სოციალურის საკითხების მენეჯერმა, პროექტის მენეჯერთან კოორდინაციით უნდა უზრუნველყოს:

- ავტომობილების და ხელსაწყოების გამოყენების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს დაბინძურების თავიდან აცილებისთვის საჭირო ყველა ღონისძიება;
- მიღებულია ყველა შესაბამისი ზომა, რომ მინიმუმამდეა დაყვანილი ტრანსპორტის აქტივობით გამოწვეული სოციალური ზემოქმედება;
- მძღოლების, ოპერატორების და ობიექტის თანამშრომლების ყველა შესაბამისი ტრენინგის ჩატარება.

4.5 მძღოლის სტანდარტები და პასუხისმგებლობები

კომპანიის და მისი კონტრაქტორების/ქვეკონტრაქტორების მძღოლები შესაბამისობაში იქნებიან საქართველოს ტრანსპორტის სტანდარტებთან და რეგულაციებთან:

ყველა მძღოლს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია წინამდებარე გეგმის მოთხოვნების შესახებ. მძღოლებს არ აქვთ უფლება ავტომობილი მართონ როდესაც არიან დაღლილები ან არიან სტრესში. მძღოლის მუშაობა და სამუშაო საათები შესაბამისობაში უნდა იყოს საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონში მოცემულ მინიმალურ მოთხოვნებთან:
ყველა მძღოლი ვალდებულია:

- ჩაატაროს ავტომობილის პერიოდული შემოწმება.
- დაგეგმოს მგზავრობა.
- მგზავრობამდე, მძღოლი უნდა იყოს მზად, ყურადღებით და ჰქონდეს შემდეგი დოკუმენტები:

✓ მართვის მოწმობა;
✓ ავტომობილის ტექნიკური პასპორტი;
✓ დაზღვევა (თუ და როცა სავალდებულოა);
✓ ავტომობილის/მძიმე ტექნიკის შემოწმების ფურცელი/ჩექლისტი (თან ერთვის ამ დოკუმენტს).

- მგზავრის მიერ საფრთხის შემცველი ყველა ქმედება უნდა გამოსწორდეს დაუყოვნებლივ და შეტყობინება გაეგზავნოს შესაბამის პირს.
- აკრძალულია არა ავტორიზებული მგზავრების გადაყვანა.

კომპანია და მისი კონტრაქტორი კომპანიები დაუყოვნებლივ გაათავისუფლებენ და ჩაანაცვლებენ ნებისმიერ თანამშრომელს, რომელიც დაარღვევს უსაფრთხოების წესებს. ყველა მძღოლს/ოპერატორს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ავტომობილის მართვის მოწმობა.

4.6 მგზავრის სტანდარტები და პასუხისმგებლობები

მგზავრები ვალდებულები არიან დაიცვან მგზავრობის უსაფრთხოების წესები. მათ უნდა ეკეთოთ უსაფრთხოების ღვედი მგზავრობისას. მათ არ უნდა გაუფანტონ ყურადღება მძღოლს. ისინი დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ მძღოლი იცავს უსაფრთხოების წესებს მგზავრობისას.

5 ავტომობილის უსაფრთხოება

ავტომობილი უნდა იყოს შერჩეული მისი გამოყენების მიზნების შესაბამისად და მუდმივად უნდა იყოს უსაფრთხო გამოყენების კონდიციაში. უნდა ჰქონდეს ფუნქციური უსაფრთხოების ღვედები. ეს მოთხოვნა ეხება ყველა ავტომობილს (დიდ სატვირთო ავტომობილს, მგზავრების გადასაყვან ავტომობილს და მსუბუქ ავტომობილებს).

ავტომობილში მგზავრების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მწარმოებლის მიერ განსაზღვრულ რაოდენობას.
დატვირთვა უნდა ხდებოდეს უსაფრთხოდ და მწარმოებლის მიერ განსაზღვრული წესებით.
ავტომობილების გამოყენება არ მოხდება იმ შემთხვევაში თუ არ არის დაცული შემდეგი:

- მძღოლებს არ აქვთ გავლილი შესაბამისი ტრენინგი, არ აქვთ სათანადო კატეგორიის მართვის მოწმობა და საჭიროების შემთხვევაში, არ არიან სერტიფიცირებულები რომ მართონ შესაბამისი კლასის ავტომობილი;
- მგზავრების რაოდენობა აღემატება მწარმოებლის მიერ განსაზღვრულ ოდენობას;
- უსაფრთხოების ღვედები არ არის დამონტაჟებული და არ უკეთია მძღოლს და ყველა მგზავრს;
- მძღოლი იყენებს მობილ ტელეფონს და რადიოს, რომლის ხელში დაჭერაა საჭირო;
- ავტომობილის საწვავით შევსებისას ძრავი უნდა იყოს გამორთული.

5.1 უსაფრთხოებისთვის საჭირო აღჭურვილობა

ყველა ავტომობილი, რომელიც გამოიყენება კომპანიის და მისი კონტრაქტორების მიერ უნდა იყოს აღჭურვილი შემდეგით:

- ფუნქციური უსაფრთხოების ღვედები;
- ფხვნილოვანი ცეცხლმაქრი (სასურველია);
- პირველადი დახმარების ყუთი;
- სათადარიგო საბურავი, საბურავის წნევის ტუმბო და ხელის ამწე (მანქანისთვის);
- რადიო ან მობილური ტელეფონი;
- შუქამრეკლი ჟილეტი;
- საბუქსირე თოკი;
- სატრანსპორტო შუქამრეკლი მაფრთხილებელი სამკუთხა ნიშანი.

5.2 მოვლა-პატრონობა

ავტომობილების და ხელსაწყოების მოვლა-პატრონობა უნდა ხდებოდეს მწარმოებლის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. თუ საპროექტო ტერიტორია არ არის აღჭურვილი სერტიფიცირებული სახელოსნოებით, ნებისმიერი სახის შეკეთებითი სამუშაო უნდა მიმდინარეობდეს კონტრაქტორის სერტიფიცირებულ სახელოსნოში.
ავტომობილების ყველა სისტემა უნდა იყოს მექანიკურად გამართული და უნდა იყოს ვარგისი გამოყენებისთვის, რაც დადასტურებული უნდა იყოს ტექნიკური დათვალიერებით, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.
ამ ნაწილის მიზანია, რომ ნებისმიერი ავტომობილი იყოს გამართული ისე, რომ თავიდან იყოს აცილებული ნებისმიერი სახის ავარია.

5.2.1 ავტომობილის გამოყენებამდე ჩასატარებელი შემოწმება

ნებისმიერ მგზავრობამდე შემოწმდება ამინდი. შემოწმდება რამდენად გამართულად მუშაობს მანქანა და აღჭურვილია თუ არა ყველა საჭირო ხელსაწყოთი. შემოწმდება საწვავის დონე.

ყველა შუშა უნდა გაიწმინდოს თოვლის და ყინულისგან, მათ შორის გვერდითა სარკეები. ასევე უნდა გაიწმინდოს ყველა ფარი და სანომრე დაფა.

5.2.2 სატრანსპორტო საშუალებების გადაუდებელი საჭიროების ნაკრები

თუ მგზავრობა იგეგმება ექსტრემალური ამინდის პირობებში, შორ გზაზე, ავტომობილი აღჭურვილი უნდა იყოს შემდეგი ხელსაწყოებით:

- ნიჩაბი
- საბუქსირე თოკი და ბორკილი (ნალის ფორმის ნაწილი ხრახნის თავით)
- გამაფრთხილებელი შუქები
- ცეცხლმაქრი
- ხელსაწყოების ყუთი
- თოვლის ჯაჭვები
- პირველადი დახმარების ყუთი და ჯიბის დანა
- ბოთლის სასმელი წყალი
- საკომუნიკაციო საშუალებები

5.2.2.1 ტემპერატურის შემოწმება

შორ გზაზე მგზავრობის შემთხვევაში, ტრანსპორტის მენეჯერი შეამოწმებს ამინდს და განსაზღვრავს გზების მდგომარეობას. ტრანსპორტის მენეჯერი შეატყობინებს ყველას, ვინც საჭიროა გზის მგომარეობის და ექსტრემალური ამინდის პირობების შესახებ.

5.2.2.2 მგზავრობის დრო

მგზავრობის დრო მოიმატებს გზის ცუდი მდგომარეობის და ნელი სიჩქარის პირობებში. აღნიშნულზე ყველა მგზავრობის დროს გამახვილდება ყურადღება. მგზავრობა დაიგეგმება ისე, რომ დღის შუქი იყოს გამგზავრების და უკან დაბრუნების დროს. ღამით მგზავრობა იქნება თავიდან აცილებული შეძლებისდაგვარად.
თუ მგზავრობის დრო განსაზღვრულია 2 საათზე მეტად, რეკომენდირებულია, რომ ყოველ 2 საათში ერთხელ მძღოლი გადმოვიდეს მანქანიდან 5 წუთით, გამოიცვალოს გარემო და შემდეგ გააგრძელოს გზა.

5.2.2.3 განათების დონე

დღის განათება ზამთრის თვეებში უფრო ხანმოკლეა. ბნელ დროს გამოყენებული იქნება შორი განათების ფარები. ნისლიან პირობებში გამოყენებული იქნება სანისლე ფარები.

5.2.2.4 ბუქსირება

ბუქსირების დროს დაცული იქნება შემდეგი წესები:

- არაავარიული ბუქსირება უნდა განხორციელდეს მხოლოდ სატრანსპორტო საშუალებებით, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ხისტი ბუქსირების მოწყობილობებით;
- აღჭურვილობას, რომელიც ექვემდებარება ბუქსირებას, უნდა ჰქონდეს თავისი სამუხრუჭე სისტემა;
- ბუქსირების დროს მაქსიმალური დასაშვები სიჩქარე არის 40 კმ/სთ;

- ნებისმიერ აღჭურვილობას, რომელიც არის საბუქსირე მანქანაზე დიდი, უნდა ჰქონდეს მოციმციმე ინდიკატორები და სამუხრუჭე ნათურები, რომლებიც დაკავშირებულია საბუქსირე სატრანსპორტო საშუალებასთან;
- ავტომობილი რომელიც ექვემდებარება ბუქსირებას არ უნდა იყოს საბუქსირე ავტომობილზე მძიმე.

5.2.2.5 ავტომობილის დატვირთვა

ავტომობილის დატვირთვა უნდა მიმდინარეობდეს უსაფრთხოების წესების დაცვით. მასალების ტრანსპორტირება მგზავრების კაბინით აკრძალულია, ისინი უნდა იყოს დამცავი შუშის მიღმა.

- დასატვირთი მასალების წონა არ უნდა აღემატებოდეს ტექნიკურ პასპორტში მოცემულ წონას;
- ტვირთი არ უნდა იყოს სატვირთო ავტომობილზე დიდი;
- ნებისმიერი ტვირთი რომელიც უფრო დიდია ვიდრე სატვირთო ავტომობილი უნდა იყოს მონიშნული წითელი დროშით და წითელი შუქით.

5.2.2.6 კოლონაში მოძრაობა

კომპანიის და მისი კონტრაქტორების ავტომობილების ჯგუფური მოძრაობა უნდა იყოს ორგანიზებული ისე, რომ მგზავრობის მიმართულება დადასტურებული იყოს 48 საათით ადრე;

6 ინფრასტრუქტურა და ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები

კომპანია დააორგანიზებს საქმიანობას ისე, რომ ზეგავლენა ადგილობრივ ინფრასტრუქტურაზე იყოს მინიმალური. გზები უნდა შენარჩუნდეს ისეთ მდგომარეობაში, რომ გადაადგილება იყოს უსაფრთხო, გზა იყოს გამოყენებადი და არ ჰქონდეს გავლენა საზოგადოებაზე, ინფრასტრუქტურაზე ან საკუთრებაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ადგილებს სკოლის, საავადმყოფოს საბავშვო ბაღის და სხვა მსგავსი დაწესებულებების სიახლოვეს. მსგავსი დაწესებულებების სიახლოვეს გადაადგილება აიკრძალება ან შეიზღუდება.

ხმაურის, მტვრის ან საცობების თავიდან აცილების მიზნით, ურბანულ ადგილებში ან მოსახლეობის სიახლოვეს მდებარე უბნებში გათვალისწინებული იქნება შემდეგი შემარბილებელი ზომები:

- მძიმე ტექნიკის გადაადგილება მოხდება ისე, რომ არ ტრანსპორტმა არ იმოძრაოს პიკურ საათებში;
- საცობების შექმნის თავიდან არიდებისთვის გამოყენებული იქნება ალტერნატიული მარშუტები;
- გზის უსაფრთხოების შეფასებაზე დაყრდნობით, დადგინდება სიჩქარის ლიმიტები გზების სხვადასხვა სექციებზე (სკოლებთან და საბავშვო ბაღებთან ახლოს და სხვა).

7 მედროშე

სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებისთვის, სამშენებლო სამუშაოების დროს სამშენებლო ტერიტორიებზე დაინიშნება მედროშე.

მედროშის პასუხისმგებლობაა სამუშაო პერიოდში, ტრანსპორტირების ან გათხრების სამუშაოების დროს საფრთხის იდენტიფიცირება და დროული შეტყობინება აღმასრულებელი პირებისთვის.

მინიმუმ ერთი მედროშე იქნება წარმოდგენილი სამუშაო ადგილზე, იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომლებს მოეთხოვებათ იმუშაონ ტრანსპორტის მოძრაობის უშუალო სიახლოვეს. აღნიშნული პირი იქნება კომპეტენტური, შესაბამისად გადამზადებული, განახორციელებს რისკების შეფასებას და მიიღებს ადეკვატურ ზომებს.
თუ ამწე აღჭურვილობამ უნდა გაიაროს საჰაერო ელექტრო-გადამცემი ხაზების ქვეშ და შესაძლებელია ამწე მოხვდეს ხაზს ან მასთან ახლოს გაიაროს, მაშინ მედროშემ უნდა მიიღოს ზომები შეჯახების შესაძლებლობის აღმოსაფხვრელად.
ზოგადად, როდესაც ნიშნები ან ბარიკადები არ უზრუნველყოფს ადეკვატურ დაცვას, მაშინ და არა მხოლოდ, აუცილებელია მედროშეს დანიშვნა. თუ მედროშე ხელით აწვდის სიგნალს, მაშინ მან უნდა გამოიყენოს წითელი და მწვანე დროშები.